

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ეკონომიკურ - პუმანიტარული ფაკულტეტი

კვებერელი შალვა

მეძროხეობის განვითარების პრობლემები და მათი
გადაწყვეტის გზები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის

მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ გ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი:
სულიკო ყამარაული

თბილისი 2011 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
თავი 1. ქვლევის ობიექტის დახასიათება / ანალიზი	9
1.1 ბუნებრივ - კლიმატური პირობები	11
1.2 საწარმოო რესურსები	13
1.2.1 მიწის რესურსები	13
1.2.2 მატერიალური რესურსები	23
1.2.3 შრომითი რესურსები	36
1.3 ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო	42
თავი 2. მეძროხეობის, როგორც აგროწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების ეკონომიკის ფორმირება და მათი ანალიზი	48
2.1 რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფორმირება და მისი ანალიზი	51
2.2 პროპორციულად ცვლადი დანახარჯების ფორმირება და მისი ანალიზი	55
2.3 მარენინალური მოგების ფორმირება და მისი ანალიზი	62
2.4 ცვლადი და მუდმივი დანახარჯების წარმოშობა და მათი ანალიზი	64
2.5 მეწარმის მოგების და მოგების ფორმირება და მათი ანალიზი	68
2.6 ზღვრული ფასების შესწავლის მდგომარეობა	73
თავი 3. მეძროხეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები	79
3.1 მეძროხეობაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა	79
3.2 საკვები ბაზის არსებული მდგომარეობა და მისი გამტკიცების გზები	90
3.3 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული პიგიენური მდგომარეობა	117
3.4 დამხმარე, სერვისმომსახურების არსებული მდგომარეობა	125

3.5 რძის გადამმუშავებელ საწარმოთა გაადგილება და მათი განვითარების გზები	137
თავი 4. რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის ფორმირება და განვითარება	144
4.1 აგრომარკეტინგი და სასურსათო ბაზრის თავისებურებანი	144
4.2 საქართველოს რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის მიმოხილვა / კვლევები	151
4.2.1 საქართველოში რძის ბაზრის პოტენციალი	154
4.2.2 რძის მოთხოვნასა და ფასზე მოქმედი ფაქტორები	157
4.2.3 საქართველოში ყველის ბაზრის პოტენციალი	160
4.2.4 ყველის მოთხოვნასა და ფასზე მოქმედი ფაქტორები	162
4.2.5 რძის პროდუქტების გასაღების ძირითადი არხები	165
4.2.6 არსებული ინფორმაციული, საკანონმდებლო და მარეგულირებუ- ლი გარემო	167
4.3 რეგიონში წარმოებული რძის და რძის პროდუქტების რეალიზაციის ანალიზი	169
დასკვნები და წინადადებები	179
გამოყენებული ლიტერატურა	189
დანართი	

შესავალი

თემის აქტუალურობა: საქართველო ოდითგანვე აგრძარული ქვეყანაა, აქ სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის დარგს, კერძოდ კი მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მექონიზმების ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მეცხოველეობა და კონკრეტულად მექონიზმება ქვეყნის ყველა ადმინისტრაციულ რაიონშია წარმოდგენილი, მაგრამ რიგ მთიან რაიონებში იგი სოფლის მეურნეობის წამყვანი საქმიანობაა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყარო.

საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, ასევე რძის ადგილობრივ წარმოებას ბოლო 10 წლის კვლევით, კლებადი ტენდენცია გააჩნია. პოტენციალის მიუხედავად, ხორცისა და რძის ადგილობრივი წარმოებით ვერ ხერხდება ქვეყნის თვითუზრუნველყოფა.

მექონიზმებაში არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასებისათვის არჩეულ იქნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

სტატისტიკური მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება ქვეყნაში არსებული სიტუაციის ანალოგიურია. რაც შეეხება რძის წარმოებას, აქ უკეთესი მდგომარეობაა ქვეყნის მასშტაბით არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

ჩვენ ნაშრომში შევეცადეთ, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფარებელზე წარმოგვეჩინა მექონიზმების განვითარების გზები. აღნიშნული საკითხები ქვეყნაში 90-იანი წლების შემდეგ არასაკმარისადაა შესწავლილი, მითუმეტეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ჭრილში.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: საქართველოში მეცხოველეობის, კერძოდ კი მექონიზმების განვითარების საკითხებზე უკანასკნელ წლებში ქართველ მეცნიერთა მრავალი საინტერესო შრომა

გამოქვეყნდა. თუმცა ეს საკითხი ჩვენი აზრით ამომწურავად არ არის შესწავლილი, განსაკუთრებით რეგიონალურ ჭრილში. არც ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული საკითხი ყოვლისმომცველად გვაქვს გაშუქებული. ჩვენ შევეცადეთ ეს რთული პრობლემა შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და ამის საფუძლველზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ჭრილში, წარმოვადგინეთ ზოგიერთი მოსაზრება მეძროხეობის განვითარების საკითხებზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევა მიზნად ისახავდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობის განვითარების პრობლემების შესწავლას და მათი გადაწყვეტის გზების შეთავაზებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- მეძროხეობაში არსებული თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის და მის განვითარების ღონისძიებების დასახვა.
- მეძროხეობაში ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა და მისი ამაღლების ღონისძიებების დასახვა.
- რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის ფორმირება და შემდგომი განვითარების შესაძლებლობები.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ძირითადი ობიექტია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეძროხეობის მეურნეობები. ნაშრომში რიგი საკითხებისა განხილულია და გაანალიზებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის საგანია საქართველოს რძითა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება. აღნიშნულის მიღწევაში ფერმერული / ოჯახური მეურნეობების როლის ამაღლება, ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ზრდის გზების ძიება, მათი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: მოცემულ ნაშრომში კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები ეყრდნობა ოთხ ძირითად წერტილს:

- სახელმწიფო ინსტიტუტების ოფიციალურ მონაცემებს (სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნოების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, რეგიონული მართვის სამსახურების მონაცემები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები და ა. შ.);
- ქვეყანასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროფილის (თემის სპეციფიკას მისადაგებული) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს;
- თემას მისადაგებული საქართველოში (ასევე საზღვარგარეთ) აქამდე ჩატარებული კვლევების მონაცემებს. დისერტაციებს, სამეცნიერო ნაშრომებს, გამოქვეყნებულ ლიტერატურას, სტატიებსა და სხვა;
- ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევას.

ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევას საფუძვლად უდევს გეგმა, რომელშიც გაერთიანებულია, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხები მერძეული მექროსეობის მიმართულებით ამომწურავი ინფორმაციის მიღების უზრუნველსაყოფად. გეგმის შესაბამისად მიღებული მონაცემები დამუშავდა ერთ მთლიან მონაცემთა ბაზაში.

2005-2009 ანუ ხუთი წლის მონაცემები აღებულ იქნა რეგიონის 36 მეურნეობიდან. თავიდანვე განვახორციელეთ გამოკვლეული 36 მეურნეობის კლასიფიკაცია მათში მეწველი ფურების რაოდენობის მიხედვით: 1. ძალიან მცირე მეურნეობა $1 \div 2$ მეწველი ფურით (მ.ფ.); 2. მცირე $3 \div 5$ მ.ფ.; 3. საშუალო $6 \div 10$ მ.ფ. და 4. დიდი, 10-ზე მეტი მ.ფ.-ით.

ეტაპობრივად მიმდინარეობდა მოპოვებული მონაცემების დამუშავება, სისტემატიზაცია და გადამოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების მოპოვებას თან სდევდა მრავალი სირთულე. ზოგ

შემთხვევაში სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული მონაცემები ერთმანეთთან შეუსაბამო იყო.

პრობლემის ცალკეული ასაქტის გამოკვლევისას გამოყენებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა შესწავლის და შეფასების სხვადასხვა მეთოდი: მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საანგარიშო-კონსტრუქციული და სხვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომი წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობის განვითარების დამთავრებული კვლევის შედეგს, რომლის განზოგადოება შესაძლებელი იქნება ქვეყნის მასშტაბით.

თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგად სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დადგენილია მეძროხეობის ფერმერულ/ოჯახურ მეურნეობების ოპტიმალური სიდიდე.
- დასაბუთებულია მეურნეობების პრიორიტეტული მიმართულებები, შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები.
- რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით დადგენილია მეძროხეობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.
- შემუშავებულია მეურნეობების სერვისის მომსახურებების, დაფინანსება-დაკრედიტების, მიწების კოოპერირების და მარკეტინგული მომსახურების სრულყოფის წინადადებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობის ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური განვითარება ნაკლებადაა შესწავლილი.

კვლევის ძირითადი წინადადებები, რეკომენდაციები და შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი შესაბამისი ქვესაუწყებო სამსახურების, ასევე

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის მარეგულირებელი სამსახურების მიერ.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს საქართველოში და კერძოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მემროხეობის განვითარების საკითხებზე მომუშავე მკვლევარებს, ექსპერტებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ სპეციალისტებს და განსაკუთრებით ფერმერებს.

პუბლიკაცია და აპრობაცია: დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახული და გამოქვეყნებულია ხუთ მეცნიერულ ნაშრომში. გარკვეული დებულებების განხილვა მოხდა საერთაშორისო კონფერენციაზე “საქართველოში ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება” და მათი ეკონომიკური შეფასება, ბაკურიანი 2008.

ნაშრომი განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის, აგრარული ეკონომიკის და ბიზნესის დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №13, რიცხვი: 04 მაისი 2011 წელი).


ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და წინადაღებებისაგან. იგი მოიცავს 188 კომპიუტერულ მანქანაზე ნაბეჭდ გვერდს, 32 ცხრილს, 30 დიაგრამას, 7 თვალსაჩინოებას, 3 სქემას, 9 დანართს და ნაშრომის დისკუსიების ჩაწერილ ელექტრონულ ვარიანტს. ნაშრომს თან ერთვის 145 გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. კვლევის ობიექტის დახასიათება / ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ფართობი 6,4 ათასი კვ. კმ-ია, ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ახალციხე, მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და ობიექტის შორის – 207 კმ.

მხარეს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება დმანისისა და წალკის რაიონები, დასავლეთის მხრიდან ხულოს რაიონი, ჩრდილოეთის მხრიდან ჩოხატაურის, ვანის, ბაღდათის, ხარაგაულის, ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონები, ხოლო სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო თურქეთისა და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრებს.

თვალსაჩინოება 1: სამცხე-ჯავახეთის რუკა



○ მოსახლეობა:

მოსახლეობის რიცხოვნობა 1/01/2009წ – 208100 ადამიანი.

მათ შორის: ქალაქის – 67642; სოფლის – 140458 ადამიანი.

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1/01/2009წ. – 1 კვ.კმ-ზე – 32 კაცი.

მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან:

სულ დასაქმებულია – 110,4 ათ. კაცი;

მ.შ. დასაქმებულია ეკონომიკაში – 35,3 ათ. კაცი;

უმუშევართა რიცხოვნობა – 15,1 ათ. კაცი.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა:

ქართველი – 42 % (87733 კაცი);

სომები – 56,4 % (117812 კაცი);

რუსი – 0,7 % (1462 კაცი);

ბერძენი – 0,2 % (417 კაცი);

ოსი – 0,4 % (835 კაცი);

სხვა – 0,3 % (629 კაცი).

○ სატრანსპორტო კომუნიკაციების დახასიათება:

სატრანსპორტო არტერიები, ტრანსპორტის სახეები მათი მნიშვნელობის მიხედვით საავტომობილო არტერიები: ახალციხე-თბილისი, ახალციხე-ქუთაისი, ახალციხე-ბათუმი, ახალციხე-თურქეთის რესპუბლიკა, ახალციხე-სომხეთის რესპუბლიკა.

სარკინიგზო ტრანსპორტი: ვალე-თბილისი, ახალქალაქი-თბილისი.

სატრანსპორტო ორგანიზაციები და მათი მუშაობის მაჩვენებლები სარკინიგზო და საავტომობილო გზების სიგრძე:

საავტომობილო გზების სიგრძეა – 1340 კმ, აქედან:

საერთაშორისო მნიშვნელობისა – 195 კმ. საერთაშორისო მაგისტრალური გზები სატრანზიტო მნიშვნელობისაა და მხარისა და ქვეყნის რეგიონებს აკავშირებს სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებთან.

შიდა სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 270 კმ; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 945 კმ.

სარკინიგზო გზები: მხარეში ფუნქციონირებს საქართველოს რკინიგზის განშტოებები, „ხაშური-ახალციხე-ვალე“ და „მარაბდა-

ახალქალაქი“, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სატვირთო (70-80%) და სამგზავრო გადაზიდვები.

○ კავშირგაბმულობა:

ს.ს. (სააქციო საზოგადოება) „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ სამცხე-ჯავახეთის მხარის ელექტროკავშირების 6 ტერიტორიული ფილიალი ემსახურება 13500 აბონენტს. ქ. ბორჯომსა და დაბა ბაკურიანში 2005 წელს დამონტაჟდა და მოქმედებს თანამედროვე ციფრული სატელეფონო სადგურები. სს „საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ“ 2007-2008 წლებში ანალოგიური სადგურები დამონტაჟა მხარის ყველა მუნიციპალიტეტში.

მხარის ექვსივე მუნიციპალიტეტი (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ნინოწმინდა) მოქცეულია „MAGTI-GSM“-სა და „GEO GCELL“-ის დაფარვის ზონაში. ნაწილობრივ შესაძლებელია „BILAIN“-ის მომსახურებით სარგებლობა.

რეგიონის მცხოვრებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტის თანამედროვე მომსახურებით.

1.1 ბუნებრივ – კლიმატური პირობები

სამცხე-ჯავახეთის მხარე ორი რელიეფურ-კლიმატური ზონისაგან შედგება: სამცხისა – ზომიერად მშრალი, სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატით, მცირე თოვლიანი ზამთრითა და თბილი, ხანგრძლივი ზაფხულით. ჯავახეთის ზონაში გაბატონებულია ზომიერად მშრალი ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი, გრილი ზაფხულით.

ნალექების რაოდენობა მხარეში უთანაბროდაა განაწილებული როგორც დროის, ისე სივრცის მიხედვით. საშუალო წლიური რაოდენობის მინიმუმია 498 მმ (ხერთვისთან), მაქსიმუმი 1822 მმ არსიანის ქვედის თხემზე (გოდერძის უღელტეხილთან 2025 წ-ზე ზღვის

დონიდან). ნალექების მნიშვნელოვანი ნაწილი თოვლის სახით მოდის, რომლის სიმაღლე და ხანგრძლივობა მერყევია. მაგალითად, ახალციხეში თოვლის საშუალო სიმაღლე 18 სმ-ია, ხანგრძლივობა კი 63 დღე. შესაბამისად, 24 და 101 – ბაკურიანში და ცხრაწყაროში – 98 და 191; ხოლო 3000 მეტრზე მაღალი მწვერვალები წლის უმეტეს დროს თოვლითაა დაფარული.

○ წყლის ძირითადი არტერიები:

წყლის მთავარი არტერია მდ. მტკვარია, რომელიც ამ მხარეში მიედინება დაახლოებით 170 კმ-ზე. იგი ტიპური მთის მდინარეა, რომლის წლიური საშუალო ხარჯი წმ-ში 95 კუბ.მ-ს აღწევს (მდ. დვირის შესართავთან). მტკვრის მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან მთავარია ფოცხოვი, ქვაბლიანი (მარცხნიდან) და ფარავანი (მარჯვნიდან). ფოცხოვი (სიგრძე 70 კმ, აუზის ფართობი – 1840 კვ.კმ.) თავისი შენაკადებით ჯაყის წყლით, ქვაბლიანითა და ოცხეთი (აბასთუმნის წყლით) აწარმოებს სამცხის ტერიტორიის დიდი ნაწილის დრენირებას. ისინი ტიპური მთის მდინარეებია, მიედინებიან ძირითადად ვიწრო ხეობაში, ახასიათებთ ვარდნა და სწრაფი დინება. ფარავანი ჯავახეთის ზეგანის მთავარი მდინარეა (ამიტომაც მას ჯავახეთის მტკვარსაც უწოდებენ). იგი სიგრძით 81 კმ-ია, აუზის ფართობი – 2280 კვ.კმ-ს უდრის. მისი შენაკადებია: ბუდაშენის, კულიკამის, ბარალეთის წყლები და სხვა.

მდინარეთა საზრდოობა შერეულია: სამცხეში თოვლით საზრდოობა 37%-ს ჭარბობს, მიწისქვეშა წყლებით - 32%-ს, ხოლო წვიმით - 31%-ს. რაც შეეხება ჯავახეთს, აქ მარტო მიწისქვეშა საზრდოობა 60%-ზე მეტია.

სამხრეთ საქართველოს მდინარეების საერთო ენერგეტიკული სიმძლავრე დაახლოებით 400 ათასი კვტ/სთ-ია.

ჯავახეთის ზეგანი ტბების სიუხვით ხასიათდება. აქ 80-მდე დიდი და პატარა ტბაა. არსებული მრავალრიცხოვანი ტბებიდან მხოლოდ 8 ტბას უჭირავს 1-დან 40 კვ.კმ ფართობი. ყველაზე დიდი ტბაა ფარავანი, მოქცეულია აბულ სამსარისა და ჯავახეთის ქედებს შორის მდებარე ქვაბულში, მისი სარკე ზღვის დონიდან 2075,5 მეტრის სიმაღლეზეა, სიგრძე 9,5 კმ-ს აღწევს, სიგანე 6 კმ-ს, სარკის ფართობი 37 კვ.კმ უდრის, სიღრმე 3,8 მეტრს.

ჯავახეთის პლატოს ჩრდილო ნაწილში არსებული ტბებიდან ყველაზე დიდია ვულკანურ-ტექტონიკური წარმოშობის დახმული ტბა ტაბაწყური. იგი ზღვის დონიდან 1990,6 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ტბის სარკის ფართობი 14,5 კვ.კმ-ს უდრის, აუზის ფართობი აღემატება 75 კვ.კმ-ს. სიღრმე 33 მეტრს აღწევს და მხარის უღრმეს ტბად ითვლება.

1.2 საწარმოო რესურსები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საწარმოო რესურსების თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, რესურსები დავყავით ძირითად ჯგუფებად და განვიხილავთ ცალკე ქვეთავებში.

1.2.1 მიწის რესურსები

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ფართობი 6,4 ათასი კმ²-ს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი ფართობის 9,21%-ია. სასოფლო-სამეურნეო სავარგული მხარეში - 396399 ჰა-ია, საიდანაც სახნავს უკავია - 77721 ჰა, ანუ 19,6%, მრავალწლიან ნარგავებს - 3009 ჰა, ანუ 0,76%, სათიბს - 31607 ჰა, ანუ 7,97%, საძოვარს - 280142 ჰა, ანუ 70,67%, ხოლო ნასვენს - 3920 ჰა, მხოლოდ 1%.

რეგიონის ნიადაგური საფარი დიდი სხვადასხვაობითა და თავისებური ზონალური გავრცელებით გამოირჩევა. აქ გამოიყოფა ახალციხის ქვაბულის ქვეოლქი გარდამავალი ტყე-ველის რუხისავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგების, მთა-ტყეთა ნიადაგების და მთა-მდელოთა ნიადაგების ზონებით, და ვულკანური

ზეგნის ქვეოლქი - მთის ველების (შავმიწების) და მთა-მდელოთა ნიდაგების ზონებით.

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მდგომარეობა თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1: სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში (ათასი ჰა.)

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასახელება	სასოფლო- სამეურნეო სავარგულე- ბის ფართობი	აქედან, გამოყენებული				
		2004წ.	2005*წ	2006წ.	2007წ.	2008წ.
სახნავი	77	32	32.5	33	26	26
მრავალწლიანი ნარგავი	3	1.5	1.3	1	1	1
სათიბი და საძოვარი	311	58	36	14	13	18
ნასვენი/დაუმუშავებელი	3	14	10	6	11	7
სულ სავარგული	394	105.5	79.8	54	51	52

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

მონაცემების თანახმად დიდი სხვაობაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არსებულ და გამოყენებულ ფართობს შორის. წლების მიხედვით შემცირების ტენდენცია ახასიათებს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულს.

განსაკუთრებით გამოსაყოფია სათიბ-საძოვრების ფართობის შემცირება. 2008 წელს 2004 წელთან შედარებით იგი შემცირდა მთელი 40 ათასი ჰექტრით (69%-ით). იმავე წლებში სახნავი მიწის ფართობი შემცირდა 6 ათასი ჰექტრით (19%-ით), მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 0.5 ჰექტრით (34%-ით), მთლიანად სავარგულების ფართობი კი 53.5 ათასი ჰექტრით, ანუ 51%.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის პროცესი 2005 წელს დასრულდა, როცა ძალაში შევიდა ახალი კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის შესახებ. ახალი კანონის

თანახმად, გაუქმდა შეზღუდვები მიწის პრივატიზაციაზე სასაზღვრო რეგიონებში, რომლებიც 1992-1998 წლებში მოქმედებდა. ძველი კანონის თანახმად, საზღვრის 21 კილომეტრიან ზონაში აკრძალული იყო მიწების პრივატიზაცია (ახალი კანონით ეს შეზღუდვა დაყვანილია 5 კილომეტრიან ზონამდე). თუმცა შეიძლებოდა მისი იჯარით გაცემა. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელი გახდა მიწების აუქციონის გზით გაყიდვა იმ შემთხვევაში, თუ ის არ იყო იჯარით გაცემული. ახალი კანონმდებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის, რადგან ის სასაზღვრო ზოლზე მდებარეობს და ეძლევა შესაძლებლობა გაზარდოს ასათვისებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ფართობი.

მიუხედავად მიღებული კანონპროექტისა, მისი განხორციელება რეგიონში დაგვიანდა, ვინაიდან შესაბამისი სპეციალისტების რესურსების სიმწირის გამო მათ რიგრიგობით უწევთ მუნიციპალიტეტებში მუშაობა¹. საკუთრივ კანონის დანერგვის პროცესს მოსახლეობა კრიტიკული თვალით უყურებდა და გარკვეულ უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა. მათი გულისწყრომის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ მიწებს ყიდულობდნენ არა ადგილობრივი, არამედ აუქციონზე ადგილობრივებზე მეტის გადახდის შემძლე პიროვნებები.

სამცხე-ჯავახეთის მიწის ფონდის და მისი პრივატიზაციის აღწერისას არ შეიძლება არ აღინიშნოს თურქი მესხების მესხეთის ტერიტორიაზე დაბრუნების მოთხოვნის შესაძლო საფრთხე. ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ (1997 წლის 27 იანვარი), მეტად აქტუალური გახდა XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოდან აზიაში იძულებით გადასახლებული მესხეთის ადგილობრივი მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხი². თუ

¹ ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში. გაეროს ასოციაცია.

² სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2006 წლის მეორე ნახევარი
http://ombudsman.ge/files/468_6_ombusman-Report-2006-Part-2pdf

გავითვალისწინებთ, რომ ისინი მატერიალურად უფრო მდიდრები არიან, არის შესაძლებლობა პრივატიზებული მიწების დიდი ნაწილის მათ ხელში გადასვლისა და ეს იმ ფონზე, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ოჯახის რჩენისა და შემოსავლების ფორმირების უმთავრეს წყაროს სწორედ მიწის რესურსი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს.

ცხრილში 2 წარმოდგენილია მეურნეობათა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები და მათი სტრუქტურა მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით, თანახმად რეგიონში (რაიონულ ჭრილში) ჩატარებული 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა.

ცხრილი 2: სასოფლო-სამეურნეო მიწები და მათი სტრუქტურა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რაიონების მიხედვით, 2004 წელი.

	სას.-სამ. მიწა, სულ	სახნავი	მრავალწლია ნი ნარგავები	სათბურები	სათიბ- საძოვრები
სამცხე- ჯავახეთი	105 819	45 940	1 540	7	58 331
ადიგენი	24 282	3 673	413	0	20 196
ასპინძი	9 681	2 725	471	0	6 485
ახალქალაქი	30 729	18 332	36	3	12 358
ახალციხე	7 342	5 417	616	3	1 306
ბორჯომი	7 330	1 321	4	0	6 005
ნინოწმინდა	26 455	14 473	0	1	11 981

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის კრებული.

სახნავ-სათესი ფართობების 50%-ზე მეტი განლაგებულია ახალციხის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებში, სათიბ-საძოვრების ფართობები ადიგენის, ასპინძის და ბორჯომის რაიონებში.

რეგიონში კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის წილი მეტად მცირეა, ხოლო სხვა ფართობების რაოდენობა უმნიშვნელო.

როგორც ცნობილია, პრივატიზებული 1 ჰექტარამდე სახნავი მიწის ფართობი ოჯახს მიღებული აქვს ერთმანეთისაგან 100 მ-დან $2\div3$ კმ-დე მანძილით (საშუალოდ – 500 მ), დაშორებულ $4\div6$ ადგილას, რაც ართულებს მათ სრულად დამუშავებასა და ათვისებას.

სხვადასხვა თემებში მიწა სხვადასხვა მეთოდით დანაწილდა (ზოგან ნაწილდებოდა ერთ სულ მოსახლეზე და არა ოჯახზე). მსგავსი განაწილების გამო ისევე, როგორც იჯარით აღებული მიწის გამო, რეგიონის ზოგიერთ ნაწილში გაიზარდა მიწათმფლობელების რაოდენობა. კერძო საკუთრებაში არსებული $1\div3$ ჰა ფართის მიწების მოცულობა შეადგენს 64%-ს მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი ახალციხეში მხოლოდ 19%-ია, ბორჯომში – 17%, ადიგენში – 25% და ასპინძაში – 33%. მიწის საკადასტრო მაჩვენებლები განსხვავებულ მდგომარეობას ასახავს. მიწის ნაკვეთების მთლიანი ფართობი ახალციხეში შეადგენს 59100, ხოლო მესაკუთრეთა რაოდენობა – 37400. მოსახლეობის არსებული რაოდენობისთვის (46 000) ეს მეტად მაღალი მაჩვენებელია.

სამცხეში მიწა ოჯახური პრინციპით განაწილდა, განსხვავებით ჯავახეთისაგან, სადაც ეს მოხდა ერთ სულ მოსახლეზე.

სასოფლო-სამეურენო მიწის სრული ფართობის მეურნეობათა სარგებლობის ჭრილში განხილვისას, რეგიონში შემდეგი სურათია: სასოფლო-სამეურნეო მიწის გარეშე 2700 მეურნეობაა, ხოლო მიწიანი მეურნეობების რაოდენობა 44000 აღემატება. აქედან 0.5 ჰექტარამდე მიწის ფართობს ფლობს – 8221 ოჯახი. შესაბამისად, 0.5-დან 1 ჰა-მდე – 9257; 1 ჰა-დან 3 ჰა-მდე – 18789; 3 ჰა-დან 5 ჰა-მდე – 4348; 5 ჰა-დან 10 ჰა-მდე – 2416, ხოლო 10 ჰა-ზე მეტს – 996 მეურნეობა.

რეგიონში არსებული სარწყავი მიწა უმეტეს წილად გამოიყენება კარტოფილის (მოსავალი ჰექტარზე $10\div20$ ტ-ს აღწევს) და სხვა ბოსტნეულის მოსაყვანად. არასარწყავი მიწა, როგორც წესი, გამოიყენება ხორბლის მოსაყვანად, რომლის მოსავალიც დაბალია

(1,5÷2,5 ტ. ჰექტარზე). ხეხილის ბადებში, უმეტესად, იწარმოება ვაშლი და მსხალი, რომლის მოსავალიც, როგორც წესი, გამოიყენება საკუთარი მოხმარებისათვის.

მიწის ფონდის განაწილება მიწათმოსარგებლეთა და სავარგულების მიხედვით 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია დანართში 1.

რეგიონის ზოგიერთ ნაწილში სარწყავი მიწის დეფიციტი დიდი პრობლემაა (ბორჯომი), ხოლო მიწის უმეტესობა არ წარმოადგენს საბაზო ვაჭრობის საგანს. ბორჯომის რაიონი გამონაკლისს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების, სამთო-სათხილამურო სიმძლავრე-ებისა და სხვათა გამო; აქ მიწა იყიდება და მისი ფასი ზოგან მეტად მაღალია. თუმცა, რეგიონის მასშტაბით, ეს უფრო გამონაკლისია³.

მიწის პრივატიზაციის მხრივ ჯერჯერობით რეგიონში არასახარბიელო მდგომარეობაა. ბოლო წლებამდე პრივატიზებულია სასოფლო-სამეურნეო ფართის დაახლოებით 20%⁴. პრივატიზებულია უფრო სახნავი დანიშნულების მიწები, შემდეგ მოდის სათიბ-საძოვრები და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სათიბ-საძოვრები) ჯერ კიდევ რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, რაც შეიძლება მათი ინტენსიური ათვისების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად ჩაითვალოს. ბოლო წლების მონაცემებით რეგიონში შემცირდა სასოფლო მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი და მან 2008 წელს შეადგინა 36 ათასი ჰა, ნაცვლად 2004 წელს არსებული 61 ათასი ჰა-სა. იმავე წლებში სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული

³ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, რეგიონული განვითარების გეგმა, ახალციხე 2008, გვ. 21

მიწის ფართი შეადგენდა 19 ათას ჰექტარს, რაც 2004 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია 26 ათასი ჰექტრით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის, ასპიდის, ადიგენის და ბორჯომის რაიონებში არსებული მიწის ფონდის მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოვებით 10%-მდე)⁵ მუშავდება სასოფლო-სამეურნეოდ, ვინაიდან მიწების დიდი ნაწილი პროდუქციის წარმოებისათვის გამოუსადეგარია (ქვიანია, კლდოვანია), ან დაფარულია ტყით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული ნათესი ფართობების ანალიზით ირკვევა, რომ რეგიონში (ქვეყნის მასშტაბითაც) ნათესი ფართობის მოცულობა ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა, 2009 წლის მონაცემები 2003 წლის მონაცემების 40%-ამდეა.

ცხრილი 3: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები

	წლები							2009 წელს 2003 წელთან შედარებით %-%
	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	
საქართველო	561.7	534.0	539.6	330.2	297.2	329.2	289.8	52 %
სამცხე- ჯავახეთი	56.9	59.3	54.6	33.4	26.7	26.4	21.9	38.5 %

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2007 – 2009 წლის კრებულები.

მიწის დაბეგვრა (მათ შორის დაბეგვრის ობიექტია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. გადასახადები დიფერენცირებულია მიწის ხარისხის (კარგი/მაღალნაყოფიერი და მწირი მიწა) და მდებარეობის (რაიონის) მიხედვით. აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია საგადასახადო კოდექსით და რაიონულ დონეზე (გამგეობის მიერ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

⁴⁻⁵ ანალიტიკური კვლევა, ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში, თბილისი 2008, გვ. 9 - 13

ცხრილი 4: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის საბაზისო და საკრებულოების მიერ დამტკიცებული განაკვეთები

ა) სახნავ-სათესი მიწა

რაიონული გამგეობა	საბაზისო განაკვეთი საგადასახადო კოდექსით (ლარი/ჰა)		მოქმედი განაკვეთი საკრებულოს გადაწყვეტილებით (ლარი/ჰა)	
	მიწის ხარისხი		მიწის ხარისხი	
	კარგი	მწირი	კარგი	მწირი
ახალციხე	34	19	20	10
ალექსანდრე	18	11	18	11
ასპინძა	17	9	17	9
ბორჯომი	18	11	24	15

ბ) ბუნებრივი სათიბები და საძოვრები

რაიონული გამგეობა	საბაზისო განაკვეთი საგადასახადო კოდექსით (ლარი/ჰა)				მოქმედი განაკვეთი საკრებულოს გადაწყვეტილებით (ლარი/ჰა)			
	სათიბი	საძოვარი	სათიბი	საძოვარი	სათიბი	საძოვარი	სათიბი	საძოვარი
ახალციხე	4	2	7	3	3	1	9	4
ალექსანდრე	4	2	7	3	4	2	7	3
ასპინძა	4	2	7	3	4	2	6	3
ბორჯომი	4	2	7	3	5	3	9	4

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი; რაიონული გამგეობები

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ადგილობრივი საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ყველაზე მაღალი გადასახადი, როგორც სახნავ-სათესზე ისე სათიბ-საძოვრებზე, დადგენილია ბორჯომის რაიონში. არადა სოფლის მეურნობის ინტენსიური კაცის მხრივ ეს ყველაზე სუსტად განვითარებული რაიონია და სხვა რაიონებთან შედარებით ამ კუთხით ყველაზე მწირი

რესურსები გააჩნია. დანარჩენ წარმოდგენილ სამ რაიონში მიწათსარგებლობის ბეგარის მხრივ მეტნაკლებად თანაბარი სურათია. კანონმდებლობით 5 პექტარზე ნაკლები მიწის ფართობის მფლობელები, განთავისუფლებული არიან ბეგარისაგან.

მთავრობის №394 დადგენილებით 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მიწის დაბეგვრის თითქმის გაორმაგებული ტარიფი (როგორც სახნავ-სათესზე, ისე სათიბ-საძოვარზე). 2010 წლის 9 აგვისტომდე მიწის პრივატიზება მიწის გადასახადის ათმაგი მოცულობა ლირდა, 2010 წლის 9 აგვისტოდან, კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პრივატიზების საფასური მიწის გადასახადის ოცმაგ მოცულობამდე გაიზარდა. ფერმერები ძველი სატარიფო განაკვეთით არსებული გადასახადის გადახდას ძლივს ახერხებდნენ და ამ დროს მათ თანხა გაუორმაგეს.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით მიწის პრივატიზება 2011 წლის 1 მაისამდე უნდა დასრულდეს. თუ მოიჯარები ამ ვადაში პრივატიზებას ვერ მოასწრებენ, “სახელმწიფო ქონების შესახებ” კანონის თანახმად, მოიჯარესა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება გაუქმდება და მიწა გაიყიდება. მაღალ საფასურთან ერთად საქმეს ისიც ართვლებს, რომ პრივატიზაციის პროცესი დროებით შეჩერებულია.

სამუშაო თემის ფარგლებში გამოკვლეული 36 ოჯახიდან, რომლებიც მეძროხეობას მისდევენ (გამოკითხვა ჩატარდა ადიგენის, ასპინძის, ახალციხის და ბორჯომის რაიონებში) შემდეგი სურათია სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილების მხრივ (წარმოდგენილია აღებული მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული საშუალო მონაცემები): მეურნეობათა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა სულ 3.6 ჰექტარია. აქედან 0.8 ჰექტარი სახნავ-სათესია, ხოლო 2.9 ჰა სათიბ-საძოვარი. საკუთრებაშია 2.3 ჰა-63%, 1.3 ჰა-27% იჯარითაა აღებული (ძირითადად სახელმწიფოსგან). სარგებლობაში

არსებული ფართობი დანაწილებულია $4\div 8$ ნაწილად, რაც ართულებს მთელი ფართობის ათვისებას, ზრდის დამუშავების/გადაადგილების-თვის გაწეულ ხარჯებს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საიჯარო გადასახადს (მის სიდიდეს), ის რეგიონში მეტნაკლებად თანაბარია. საიჯარო გადასახადის განსაზღვრისას მიწას ადგილობრივი მეურნეობები შემდეგ ძირითად ჯგუფებად ანაწილებენ: სარწყავი მიწა, ურწყავი მიწა, ბუნებრივი სათიბები. ფასის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება მიწის მდებარეობას, დაშორებას მეურნეობიდან, გადამმუშავებელი საწარმოდან, ან ბაზრიდან, სადაც უნდა გაიტანონ მიღებული მოსავალი. სახნავ-სათესი მიწის იჯარის გადასახადი რეგიონში მერყეობს: სარწყავი 300-დან 500 ლარამდე წელიწადში, ურწყავი 200-დან 300 ლარამდე წელიწადში და ბუნებრივი სათიბის 70-დან 120 ლარამდე წელიწადში. მიწის იჯარის გადახდა ხდება ნატურითაც (მაგალითად, მიღებული მოსავლის წინასწარ შეთანხმებული ნაწილით), ამ შემთხვევაში, როგორც ზოგადადაა მიღებული, მოიჯარე იხდის დაბალი რისკის დამატებით საფასურს.

რეგიონში ხშირია შემთხვევები (ძირითადად) მიწის იჯარის ნატურალური ფორმით ანაზღაურებისა. ამ დროს იჯარის საფასური მატულობს (დაახლოებით $5\div 10\%-ით$) მისი ფულადი ფორმით გადახდასთან შედარებით, თუმცა უფრო მისაღებია, როგორც მეიჯარისთვის, ისე მოიჯარისთვის მოსავლის მიღების და პროდუქციაზე ფასების არასტაბილურობის გამო. ადნიშნულს თან ერთვის მოიჯარეთა დიდი ნაწილის შეზღუდული ფულადი რესურსები.

მიწის რესურსების ეფექტურად გამოსაყენებლად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გადაიხედოს მიწის რეფორმის, როგორც აქამდე არსებული შედეგები, ისე მისი არსი. სახელმწიფო მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს ფერმერებს აითვისონ სასოფლო-სამეურნეო

სავარგულები და შესაბამისად, შექმნან დოკუმენტით. აუცილებლად მიგვაჩნია ფერმერებისათვის პრივატიზების გარეშე დარჩენილი სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნულის განხორციელებისას შემუშავებული და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები.

1.2.2 მარტერიალური რესურსები

წინა ქვეთავებში ჩვენ დავახასიათეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბუნებრივი მატერიალური რესურსები, როგორიცაა მიწა, წყალი, კლიმატი და ასე შემდეგ. ასევე მოვიყვანეთ ზოგიერთი მონაცემი ქვეყნის მასშტაბით. წინამდებარე ქვეთავში განხილულია რეგიონის ეკონომიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ხოლო შრომითი რესურსები განხილულია ცალკე ქვეთავში. ზოგიერთი საკითხი მოცემულია მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით, რეგიონულ ჭრილში მათზე სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მატერიალური რესურსები ორ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: წარმოების ძირითადი საშუალებები და წარმოების საბრუნავი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო მატერიალური რესურსების დასახასიათებლად მათ ვყოფთ აქტიურ და არააქტიურ (პასიურ) ძირითად საშუალებებად. აქტიურ საშუალებათაგან ჩვენ ვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, პირუტყვს (ძირითადად მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს) და მრავალწლიან ნარგავებს. არააქტიურ (პასიურ) საშუალებათაგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს და სამეურნეო ინვენტარს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შემდეგ ქვეყანაში რეგიონებისა და რაიონების დონეზე აღარ აღწერილა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მხოლოდ 2006 წლიდან

დაიწყო სტატისტიკის დეპარტამენტმა მსგავსი ინფორმაციის ქვეყნის
მასშტაბით დამუშავება. მე-5 ცხრილში მოცემულია სასოფლო-
სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა, რეგიონში მთლიანად და რაიონებში
2004 წლის აღწერით, ხოლო მე-6 ცხრილში მოცემულია მეურნეობების
მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების პროცენტული წილი.

ცხრილი 5: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა (ათასი ერთეული)

	ტრაქტორი	სელის ტრაქტორი	კომბაინი	სატვირთო ავტომობილი	სხვა ტიპის ავტომობილი
საქართველო	381 585	53 890	78 676	173 971	75 770
სამცხე-ჯავახეთი	28 469	8 159	15 905	17 250	7 146
ადიგენი	4 563	935	1 328	4 241	504
ასპინძა	2 027	380	845	2 320	392
ახალქალაქი	10 148	4 350	8 041	4 424	3 544
ახალციხე	5 347	2 257	3 224	3 020	1 149
ბორჯომი	741	166	23	1 034	143
ნინოწმინდა	5 643	71	2 444	2 211	1 414

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2004 წლის კრებული

ცხრილი 6: პროცენტული წილი მეურნეობებისა, რომლებმაც გამოიყენეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

	ტრაქტორი	სელის ტრაქტორი	კომბაინი	სატვირთო ავტომობილი	სხვა ტიპის ავტომობილი
საქართველო	52.3	7.4	10.8	23.8	10.4
სამცხე-ჯავახეთი	60.9	17.5	34.0	36.9	15.3
ადიგენი	75.9	15.6	22.1	70.6	1.1
ასპინძა	59.1	11.1	24.6	67.7	0.8
ახალქალაქი	73.3	31.4	58.1	32.0	7.6
ახალციხე	54.5	23.0	32.8	30.8	2.5
ბორჯომი	13.1	2.9	0.4	18.2	0.3
ნინოწმინდა	70.7	0.9	30.6	27.7	3.0

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2004 წლის კრებული

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო
ტექნიკის გამოიყენებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეურნეობებს,

ზემოთ ქლასიფიცირებული ტექნიკის ყველა სახეობაში უკათესი მაჩვენებელი აქვს ქვეყნის მასშტაბით მიღებულ საშუალო მონაცემებთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობრივი მაჩვენებლებითა და მეურნეობათა მიერ მათი გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით რეგიონში გამოირჩევა ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები. ეს ძირითადად განპირობებულია მათი ტერიტორიული სიდიდითა და შედარებით მეტი სასოფლო-სამეურნეო საგარეულების და პირველ რიგში, სახნავ-სათესი მიწების ფართობით. რაც შეეხება ბორჯომის რაიონის დაბალ მაჩვენებლებს, ამის მიზეზი მისი შედარებით დაბალი სასოფლო-სამეურნეო ინტენსივობაა.

2006 წლის მონაცემებით ქვეყანაში აღწერილია სულ 30 ათასი ტრაქტორი; 2007 წელს 40 ათასი. კომბაინთა რაოდენობამ 2006 და 2007 წლებში შეადგინა 0.2 ათასი, ხოლო სატვირთო ავტომანქანამ, შესაბამისად, 8.1 ათასი და 7.3 ათასი ერთეული.

მონაცემების მიხედვით, 2004 წლის შემდგომ ქვეყნის მასშტაბით მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. სამწუხაროდ, არ არსებობს მონაცემები რეგიონების დონეზე, თუმცა ზოგადი ფონი ისედაც ნათელია.

ბოლო 2007, 2008 და 2009 წლებში შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის ზრდის ტენდენცია, თუმცა მონაცემები 2004 წელთან შედარებით შემცირებულია. 2007 წელს, 2004 წელთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყო: ტრაქტორი 10,5%; კომბაინი 0,003%; სატვირთო ავტომობილი 0,04%.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის კატასტროფული შემცირების გარდა, ბოლო წლებში შეინიშნება მისი მოძველების ტენდენციაც.

2008-2009 წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასაახლებლად შეიქმნა შვიდი ამხანაგობა (ტექნიკის სერვის მომსახურების ცენტრები). სულ ამხანაგობებს გადაეცათ სხვადასხვა სახის ტრაქტორის 27 ერთეული; სხვადასხვა სახის მისაბმელი ტექნიკის 44 ერთეული. ამხანაგობების ჩამონათვალი და გადაცემული ტექნიკის ზუსტი მონაცემები მოცემულია დანართში 2. ამას ემატება რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა პროექტების ფარგლებში შეძენილი და მეურნეობებისათვის გადაცემული რამდენიმე ერთეული სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა.

2010 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცენტრი შ.კ.ს. “მექანიზატორი”, რომლის 100%-იან წილს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ფლობს. მის განკარგულებაშია 10 ერთეული ტრაქტორი და დაახლოებით 20 ერთეულამდე სხვადასხა სახის მისაბმელი ტექნიკა.

რეგიონში ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კურძო ორგანიზაციები, რომლებიც ამხანაგობებთან და სახელმწიფო შ.კ.ს.-სთან ერთად მომსახურებას უწევენ რეგიონის ფერმერებს.

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული პოზიტიური სიახლეებისა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის დონე, მისი ფერმერებისათვის ხელმისაწვდომობა შორსაა იდეალურისაგან. ახალი ტექნიკა ბევრად განსხვავდება (ტექნიკურად) ძველი საბჭოური ტექნიკისაგან, რაც ართულებს მის სერვისმომსახურებას. საჭირო ხდება მომსახურე კვალიფიციური კადრების მომზადება.

მნიშვნელოვანია რეგიონში ახალი ტექნიკის რაოდენობრივი ზრდა სახელმწიფო და კერძო პროგრამების მეშვეობით. ამის პარალელურად რეგიონში უნდა შეიქმნას ტექნიკის სერვისმომსახურების მოქნილი ცენტრები.

პროდუქტიული პირუტყვი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მისდევენ ყველა იმ ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო/პროდუქტიული პირუტყვის მოშენებას, რასაც მთელ ქვეყანაში. ბუნებრივი და კლიმატური პირობების შესაბამისად, აქ ისტორიულად გავრცელებული იყო და დღესაც წამყვანი ადგილი უკავია მესაქონლეობას, კერძოდ მექრობეობასა და მეცხვარეობას.

ცხრილი 7: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პროდუქტიული პირუტყვის სულადობა

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
მს. რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	98.6	99.5	100.9	106.1	94.2	92.6	121.0	101.6	88.6	103.0
ფური/ფურკამქნი (ათასი სული)	59.0	63.7	64.6	67.1	57.4	57.8	60.4	54.8	49.5	56.0
ცხვარი (ათასი სული)	114.9	87.2	94.4	96.9	89.0	87.8	90.0	63.9	46.9	87.4
ფუტკრის ოჯახები (ათასი სკა)	10.7	12.9	14.3	15.6	17.1	16.4	16.7	16.7	12.6	17.9

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2007-2009 წლების კრებულები

რეგიონში, ბოლო წლების მიხედვით, აღინიშნება პროდუქტიული პირუტყვის სულადობის შემცირების ტენდენცია. გამონაკლისს წარმოადგენს 2009 წელი, რომელშიც წინა წელთან შედარებით პროდუქტიული პირუტყვის სულადობის ზრდა დაფიქსირდა.

მეცხვარეობაში 1999 წლიდან მოყოლებული მცირდება ცხვრის სულადობა. 2002 – 2003 წლებში თითქოს სიტუაციის საპირისპირო, მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა, თუმცა მომდევნო წლებში კლება კვლავ გაგრძელდა და მატება წინა წელთან შედარებით 2009 წელს დაფიქსირდა.

რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მათ შორის კამების) სულადობას, 1999 წლიდან 2003 წლამდე სტაბილურად მზარდი იყო. მომდევნო 2004 - 2005 წლებში დაფიქსირდა სულადობის მკვეთრი შემცირება, რასაც მოჰყვა მისი კვლავ სწრაფი ზრდა. სამწუხაროდ, ბოლო სამი წლის მიხედვით, მ.რ.პ.-ის სულადობის ტენდენცია კვლავ კლებადი ხასიათისაა, გამონაკლისს წარმოადგენს 2009 წელი. იგი 2009 წელს 2003 წელთან მიმართებაში 3.1 ათასი სულით, ანუ 3%-ით შემცირდა. მსგავსი სურათია ფურების სულადობის მხრივაც. 2009 წლის გამოკლებით ბოლო წლების განმავლობაში ფურების სულადობა კლებადია. 2009 წელს 2003 წელთან შედარებით, ფური 11.1 ათასი სულით, ანუ 17%-ით შემცირდა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თითქმის მთლიანი რაოდენობა ადგილობრივი პიბრიდია. მათში კავკასიური წაბლა ჯიშის მცირე ნაწილია შემორჩენილი, ძირითადად ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში. ბოლო წლებში სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში რეგიონში შემოყვანილ იქნა რამდენიმე სული სხვადასხვა ჯიშის მაღალპროდუქტიული პირუტყვი, რაც, რა თქმა უნდა, არსებულ სიტუაციას ვერ ცვლის.

მეწველი ფურების გამოყენების ხანგრძლივობა $15\div 20$ წლის ფარგლებშია. გამოსაზრდელად და გასასუქებლად მოზარდს პირუტყვს ძირითადად ყიდიან $3\div 4$ თვის ასაკში, სახორცელ კი ძირითადად გამოწუნებულ ფურებს ყიდიან.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და მისი განვითარების გზები იხილეთ ქვეთავი 3.1.

სახური: არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მკვეთრად შეამცირა საქართველოში შხამქიმიკატების იმპორტი და სოფლის

მეურნეობაში მისი გამოყენების შესაძლებლობა, რამაც, თავის მხრივ, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. თუმცა ამგვარი გაუმჯობესება დროებითია. მოსალოდნელია, რომ ფერმერული მეურნეობების განვითარებასთან ერთად კვლავ გაგრძელდება მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების ეკოლოგიური თვალსაზრისით არასწორი გამოყენება, თუ არ იქნა მიღებული ადეკვატური ზომები⁶.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბოლო ხუთი წლის მონაცემებით საინტერესო ტენდენცია ჩამოყალიბდა, რეგიონის მეურნეობები სულ უფრო ინტენსიურად მოიხმარენ ნაკელს. წლების მიხედვით იზრდება ნაკელით განოყიერებული ფართობების რაოდენობა. ვფიქრობთ, აღნიშნული უკავშირდება მეურნეობების მიერ ბუნებრივი სასუქის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის გაცნობიერებას. საპირისპირო მდგომარეობაა მინერალური სასუქების გამოყენების მხრივ.

ვთვლით, რომ რეგიონში მესაქონლეობის, კერძოდ კი მექონიზმების, განვითარება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორგანული სასუქით (ნაკელით) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაყოფიერებას.

შენობა-ნაგებობები: ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა (90-იანი წლებში) სავალალო კვალი დატოვა, როგორც მთელს ქვეყანაში ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც. გაპარტახდა და დღემდე ვერ მოხერხდა უზარმაზარი კომპლექსების აღდგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებიც, განადგურდა.

დღესდღეობით არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა მცირე ნაწილს წარმოადგენს ძველად არსებული მეურნეობების (კოლმეურნეობების) გარკვეულ კონდიციამდე „შეკეთებული“ შენობა-ნაგებობები, ძირითად ნაწილს კი ოჯახურ მეურნეობებში არსებული, მწირი შესაძლებლობებით აგებული და მოწყობილი ნაგებობები (თავლები).

⁶ მარკეტინგი, სულიკო ყამარაული, თბ., მეცნიერება, 2002, გვ. 459.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომების დიდი უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი წყლით (გამოკვლეული 36 მეურნეობიდან მხოლოდ 5-ს პქონდა), ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფილია მხოლოდ შედარებით დიდი და საშუალო სიდიდის მეურნეობები (გამოკვლეული 36 მეურნეობიდან მხოლოდ 18). მრავალ მათგანში პირუტყვის საკვები, სადგომი მოედნები (ერთი სულისათვის განკუთვნილი ფართი) მიღებულ სტანდარტულ კონდიციებს არ აკმაყოფილებს. არ არის გამიჯნული მოსაგები მოედნები, ნამატისთვის სპეციალური მოედნები, ასევე დაავადებული პირუტყვისთვის იზოლირებული მოედნები. ხშირ შემთხვევაში ერთად ათავსებენ წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვს. არსებულ ცხოველთა სადგომებში, სამწუხაროდ, არ არის დაცული სათანადო სისუფთავე, მათი უმეტესობა ჩაბნელებულია, არ აქვთ საკმარისი სიდიდის სარკმლები, საჭარო სისტემა (ზოგ ცხოველთა სადგომში სარკმელი საერთოდ არ არის) და შესაბამისად, ცუდად ნიავდება. ცხოველთა სადგომების უმეტესობაში შეინიშნება დიდი რაოდენობით ამიაკის კონცენტრაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს პირუტყვის ჯანმრთელობასა და მათ პროდუქტიულობაზე.

ძირითადი შენობა-ნაგებობების გარდა, არასახარბიელო მდგომარეობაა დამხმარე შენობა-ნაგებობებშიც. ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეურნეობებში) ისინი ან საერთოდ არ არსებობს, ანაც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. უმეტესობაში წესების დარღვევით არის მოწყობილი სანაკელე მოედნები. აქედან გამომდინარე, მეურნეობები (თუ ისინი მოიხმარენ ნაკელს მიწის გასანოებიერებლად) განიცდიან ეკონომიკურ ზარალს, რადგან წესების დაცვის გარეშე მოწყობილ სანაკელე მოედნებზე ბუნებრივი სასუქი კარგავს თვისებას და ნაკლებად ვარგისიანი ხდება (ნაკელი ზედმეტად გამოიწვება). ნედლეულის და წარმოებული

პროდუქციის შენახვის პირობების არარსებობა, ან მათი ცუდი მდგომარეობა ბევრ მეურნეობას უქმნის პრობლემებს. ხშირად არ არის სათანადო მოწყობილი აღჭურვილობის და ინვენტარის შესანახი ადგილებიც, რაც საბოლოოდ აისახება აღნიშნულ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის დაბალ ხარისხსა და შესაბამისად, მათთვის შემცირებულ შემოსავლებზე. ჩვენი მონაცემებით შენობა-ნაგებობების დიდი უმეტესობა 20 წელზე მეტი წელისაა და საჭიროებს შეკეთებას.

ჩვენი ანალიზით, მეურნეობებს მცირე დანახარჯებით და რაც მთავარია, საკუთარი ძალებით შეუძლიათ იმ ელემენტარული ლონისძიებების გატარება, როგორიცაა ცხოველთა სადგომებში, სამეურნეო და სხვა დამხმარე ნაგებობებში ელემენტარული ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა, სარკმლების და სავენტილაციო სისტემის მოწყობა, ელექტროენერგიის და წყლის გაყვანა (წყლის გაყვანა იქ სადაც არის წყალმომარაგება).

სამეურნეო ინვენტარი: ნედლეულის მისაღებად და პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი სამეურნეო ინვენტარის სიმცირე, სიძველე და გაუმართაობა ასევე ერთ-ერთი მწვავე პრობლემათაგანია რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მეურნობებისათვის. საერთო სურათის შესაქმნელად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჩვენს მიერ გამოკვლეული მეურნეობებიდან: მათგან არც ერთს არ აღმოაჩნდა ნედლი რძის რაოდენობისა და ხარისხის გასაზომი ხელსაწყო, რძის შესანახი სპეციალური რეზერვუარი (მაცივარი), რძის საწველი აპარატი. ირკვევა, რომ პრობლემას წარმოადგენს მეურნეობებში ისეთი აუცილებელი ინვენტარის სიმცირე, როგორიცაა რძის საწველი აპარატი და რძის შესანახი ჭურჭელი, ყველის ამოსაყვანი საჭირო ფორმები და მათ შესანახად განკუთვნილი ჭურჭელი. პრობლემაა ასევე საძროხეებში მუშაობისათვის საჭირო სპეციანსაცმლის არარსებობა და ასე შემდეგ.

სამეურნეო ინვენტარით და აღჭურვილობით მეურნეობების შეიარაღება საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული (საწველი აპარატი, რძის შესანახი მაცივარი, ლაქტოსკანი და ა.შ.), რაც ფერმერთა უმეტესობას არ გააჩნია. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს გარკვეული სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეურნეობებისათვის შესაძლებელი იქნებოდა გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხის აღება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერთა უმრავლესობას თავისავე ძალებით შეუძლია საჭირო რაოდენობის ისეთი ინვენტარით აღჭურვოს თავისი მეურნეობები, როგორიცაა სათლები, პირველი გამონაწველის შესამოწმებელი ტოლჩები, პროდუქციის დასამზადებელი და შესანახი ინვენტარი, სამუშაო ფორმები და ა.შ.

ძირითადი ფონდების კვლავწარმოება: მეურნეობათა ეკონომიკურად ეფექტიანი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ფონდების დროულ და ობიექტურ გადაფასებას, წარმოების პროცესში მათი თანდათანობითი ცვეთისა და ლირებულების შემცირების გამო. შექმნილი ამორტიზაციის ფონდების მეშვეობით აუცილებელია მათი აღდგენა. ზემოთ აღწერილიდან ნათლად ჩანს, რომ ძირითადი საშუალებები განიცდის, როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ცვეთას.

ძირითადი საშუალებების სამორტიზაციო ასაკი, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვაა და სხვადასხვანაირად იანგარიშება.

ჩვენ მიერ გამოკვლეული მეურნეობებიდან არც ერთ მათგანში არ აღმოჩნდა ურნალი სამეურნეო ჩანაწერებით, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ძირითადი საშუალებების შესახებ. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის მონაცემები გამყარდა რეგიონში მოქმედი კეტერინარულ-საკონსულტაციო ასოციაცია „ჯანმრთელობის“ და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი სხვა ორგანიზაციების

მონაცემებით (აგრო-ბიზნეს კონსალტინგი, ქართველი, მერსიკორპსი), რომლებიც ასევე აღნიშნავენ, რომ რეგიონში არსებულ ოჯახურ მეურნეობებში იგნორირებულია ყველანაირი საწარმოო უურნალის (როგორც საწარმო, ისე სააღრიცხვო უურნალი) წარმოება, მათ შორის ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხებისა. ერთეულ გამონაკლისებს წარმოადგენს რამდენიმე მსხვილი მეურნეობა. ფერმერები განიცდიან დიდ ზარალს ძირითადი საშუალებების გაუმართაობისა და სიძველის გამო. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ტექნიკა მუშაობის პროცესში მწყობრიდან გამოდის. შენობანაგებობების ამორტიზებულობის გამო იქ მოთავსებული პროდუქცია ფუჭდება. სადგომებში არასათანადო მდგომარეობის გამო ავადდება პირუტყვი, მცირდება მათი პროდუქტიულობა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ძირითადი ფონდების კვლავწარმოების შესაძლო ფორმებიდან შედარებით გავრცელებულია არენდა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ არენდაზე შეთანხმება ხდება, როგორც წესი, სიტყვიერად და არ ფორმდება შესაბამისი საარენდო ხელშეკრულებებით. არენდა წარმოებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით. თუმცა ამ უკანასკნელს უფრო ხშირად მიმართავენ. არცთუ იშვიათად საარენდო გადასახადი დაკავშირებულია მოსავლის რაოდენობასთან და პროდუქციის საბაზო ფასების ცვლილებასთან. მაგალითად, სათიბების არენდის შემთხვევაში რეგიონში გავრცელებული გადახდის ფორმაა მოიჯარის მიერ მეიჯარესათვის მიღებული პროდუქციის (გათიბული თივის) 10%-ის გადაცემა. მსგავსი შემთხვევებია ტექნიკის გაქირავების დროსაც. რეგიონში ძირითადად გვხვდება რენტინგი და ჰაირინგი. ხოლო ხანგრძლივი არენდა, თუ არ ჩავთვლით გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მეურნეობებს მიწა გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოსგან აქვთ აღებული, პრაქტიკულად არ გვხვდება. ჯერჯერობით რეიგიონში

არაა დანერგილი ძირითადი ფონდების შეცვლა ლიზინგით, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში ეფექტურად იყენებენ.

ძირითადი ფონდების კვლავწარმოებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მეურნეობებში შეიქმნას შესაბამისი ჩანაწერები. ფერმერებმა ძირითად საშუალებებზე თავი უნდა მოუყარონ, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე საამორტიზაციო ანარიცხებს და განაახლონ ისინი (რემონტი/რესტავრაცია, ან ახლით ჩანაცვლება). თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული მეურნეობების უმეტესობის ძირითადი საშუალებები (როგორიცაა: სხვადასხვა სახის ტექნიკა, შენობა-ნაგებობები) 20 წელზე მეტი ხნისაა და უმეტეს შემთხვევაში, გასული აქვს საამორტიზაციო პერიოდი. ქვეყანაში ფორმირებად ახალ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ფერმერებმა თავიდანვე სათანადოდ ვერ აუწყეს ფეხი, გასული საუკუნის ცნობილ ქაოსურ 90-იან წლებში მათ ვერ შეძლეს და ალბათ ვერც შეძლებდნენ ეზრუნათ ძირითადი საშუალებების გასაახლებლად. დღესდღეობით მათ ამისათვის ესაჭიროებათ სპეციალური პროგრამებით ხელშეწყობა, რათა მათ საშუალება პქონდეთ შედავათიანი და გრძელვადიანი კრედიტებით შეიძინონ საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, შენობა-ნაგებობების მოსაწყობი მასალები. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ტექნიკის სიმძლავრე საშუალებას იძლევა დაიტვირთოს რამდენიმე ფერმაში მუშაობით, ასევე ფულად-საკრედიტო ინსტიტუტებისათვის უფრო მისაღებია არა ერთ, არამედ რამდენიმე ფერმერთან მუშაობა, მიზანშეწყობილ მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს ძირითადი საშუალებებით სარგებლობის ამხანაგობები/ფერმერთა გაერთიანებები.

ჩვენი აზრით ხელი უნდა შეეწყოს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, აღჭურვილობით და სამშენებლო მასალებით

მოვაჭრე/მწარმოებელი ორგანიზაციების წარმომადგენლობების
რეგიონებში დაფუძნებას.

საბრუნავი საშუალებები: ძირითად საშუალებებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური და საწარმოო ციკლის უწყვეტობის მიზნით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საბრუნავ საშუალებებს. მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია საბრუნავ და ძირითად საშუალებებს შორის სწორი თანაფარდობის განსაზღვრა.

სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიხედვით, საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა განსხვავებულია. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე განვიხილავთ მემროხეობის მეურნეობების საბრუნავი საშუალებების არსებულ მდგომარეობას.

პროდუქციის წარმოებაში საბრუნავი საშუალების ნაწილი გვევლინება წარმოების პროცესის პირდაპირ ხელშემწყობ ფაქტორად, ნაწილი არაპირდაპირად.

პირდაპირი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: პირუტყვის საკვები, სასუქი პირუტყვი და ასე შემდეგ, ხოლო არაპირდაპირი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: საწვავ-საცხები მასალები, მარაგნაწილები და სხვა.

საბრუნავი საშუალებების ფორმირების დროს, მათი ეკონომიკური ეფექტიანობისათვის მეურნეობები, როგორც წესი, ცდილობები განსაზღვრონ მათი საკმარისი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე პიკური პერიოდისათვის. წიანააღმდეგ შემთხვევაში მათ უწევთ დამატებითი (ზედმეტი) ხარჯების გაწევა. მაგალითად, პირუტყვის სულადობის შესაბამისად, მეურნეობები აგროვადებით განსაზღვრულ დროს ამზადებენ საკმარის საკვებს, ქმნიან მის მარაგს კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად. აგროვადების გასვლის შემდგომ, შემოდგომის ბოლოს იწყება პირუტყვის, როგორც ძირითად, ისე დამატებით საკვებზე ფასების ზრდა. მეურნეობის მიერ

აღნიშნულ პერიოდში საკვების შეძენის შემთხვევაში, საგრძნობლად იზრდება პროდუქციის თვითდირებულება და შესაბამისად, იგი ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხდება. ასეთი პრობლემის წინაშე ძირითადად დგებიან საშუალო და დიდი მეურნეობები, როდესაც არასწორი გათვლის გამო უხდებათ პირუტყვის საკვების შეძენა ადრე გაზაფხულზე. აღნიშნული პრობლემის არსებობა სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული, რომელთაგან მეურნეობები აღნიშნავენ საბრუნავი-ფულადი საშუალებების მნიშვნელოვან სიმცირეს.

გამოკვლეული მეურნეობების მიერ ფულადი რესურსების არათანაბარი განკარგვის მიზეზად სამეურნეო წლის განმავლობაში დასახელებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სეზონურობა. ასევე, ბოლო პერიოდში გართულებული მდგომარებაა გარედან მოზიდულ საშუალებებზე (ბანკის მოკლევადიანი კრედიტები).

ფულადი რესურსების სიმცირის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც მეურნეობები წინასწარ ვერ ახერხებენ აუცილებელი მარაგნაწილების შეძენას. ამიტომ მათზე ზრუნვა უშუალოდ წარმოების პროცესში უხდებათ, რაც, ხშირ შემთხვევაში, დამატებითი/ზედმეტი ხარჯების გაწევასთანაა დაკავშირებული.

საბრუნავი საშუალებების სწორად ფორმირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათზე მოთხოვნის სწორად პროგნზირება მეურნეობებში (მინიმუმ ერთი სამეურნეო წლისთვის) და შესაბამისი მარაგების შექმნა. საბრუნავი საშუალებების გარედან მოზიდვის აუცილებლობის შემთხვევაში, მეურნეობებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების შეღათიანი და მოქნილი მომსახურებით.

1.2.3. შრომითი რესურსები

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმოების საშუალებების მოქმედებაში მოყვანით

იქმნება დოვლათი და რეალიზდება ადამიანის მიზანი. შრომით რესურსებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სოფლის მეურნეობაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის შრომას ჯერ კიდევ განსაკუთრებული აღგილი უჭირავს, სამრეწველო დარგებისაგან განსხვავებით.

სასოფლო-სამეურენო შრომის თავისებურება წარმოადგენს მისი სეზონურობა, აუცილებელი ფართო სპეციალიზაცია და სხვა. აქ მთელი ძალისხმევა მიმართულია ცოცხალი ორგანიზმების (მცენარეთა, ცხოველთა) მოვლა-პატრონობაზე. შრომითი რესურსები, შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილია. შეიძლება ითქვას, შრომითი რესურსების რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნებასთან, ასევე ოფიციალურად დადგენილ შრომისუნარიანობის ასაკზე. საქართველოში იგი მამაკაცებისთვის შეადგენს 16-დან 65 წლამდე პერიოდს, ხოლო ქალებისთვის 16-დან 60 წლამდე. მე-8 ცხრილში მოცემულია ქვეყნის მთლიანი აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) წლების მიხედვით, დასაქმებულების რაოდენობა და აქედან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა.

მთლიანი სამუშაო ძალა, ბოლო წლების მიხედვით, ქვეყანაში მცირდება და ამის პარალელურად მატულობს უმუშევრობის დონე. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობაც ამ პერიოდში წინა წლებთან შედარებით $62\div63\%$ -ამდე შემცირდა. რაც შრომითი რესურსების მიგრაციაზე მიანიშნებს.

მე-8-ე ცხრილში არსებული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სოფლის მეურენობაში 1999 წლიდან დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. რაც მიუთითებს ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის დიდ მნიშვნელობაზე დასაქმების კუთხით. განვითარებული ქვეყნებისათვის კი დამახასიათებელია საპირისპირო მდგომარეობა. იქ (დასავლეთ ევროპის ქვეყნებში)

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოვებით $10 \div 15\%$ -ი.

ცხრილი 8: ქვეყანაში სამუშაო ძალის, დასაქმებულთა და აქედან, სოფლის მეურნობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ათასი კაცი)

წელი	აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	დასაქმებული, სულ	უმუშევრო- ბის დონე (%-ში)	მათგან სოფლის მეურნეობაში	რიცხოვნობა დასაქმებაში %
				რიცხოვნობა	
1995	-	1730	-	530	30.6
1998	1972.8	1731	12.4	837	48.4
1999	1939.3	1733	12.6	903	52.1
2000	2049.2	1839	10.3	957	52.0
2001	2113.3	1878	11.1	990	52.7
2002	2104.2	1839	12.6	988	53.7
2003	2050.8	1814	11.5	996	54.9
2004	2041.0	1783	12.6	962	54.0
2005	2023.9	1745	13.8	948	54.3
2006	2021.8	1747	13.6	966	55.3
2007	1965.3	1704	13.3	910	53.4
2008	1917.8	1601.9	16.5	-	-
2009	1991.8	1656.1	16.9	-	-

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

ქვეყნის მონაცემებთან შედარებით სოფლის-მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი დონეა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. რაც ნათლად ჩანს მე-9-ე ცხრილის მონაცემებიდან.

თვითდასაქმებულთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ სოფლის-მეურნეობაში დასაქმებულები. წლების მიხედვით მათი რაოდენობა მცირდება. კლებადია დაქირავებული სამუშაო ძალის რაოდენობაც. მოცემულ წლებში რეგიონში მცირდება აქტიური მოსახლეობა, თუმცა ეს შემცირება ზემოთ მოყვანილი თვითდასაქმებულთა და დაქირა-

ვებულთა რაოდენობის შემცირების პარალელურად არ მიმდინარეობს, რაც უმუშევრობის დონის ზრდაზე მიგვანიშნებს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალი მაჩვენებლი მიუთითებს მის დაბალ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დონეს, რაც სამწუხაროდ დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელია.

ცხრილი 9: მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში

	2005	2006	2007	2008
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა, ათასი კაცი)	110.3	119.0	106.8	101.8
მომუშავე	103.9	113.6	99.2	94.2
დაქირავებული	18.3	16.0	17.8	17.0
თვითდასაქმებული	85.5	97.6	81.4	77.2
გაურკვეველი	0.1	0.0	0.0	0.0
უმუშევარი	6.4	5.4	7.6	7.6
უმუშევრობის დონე (%)	5.8	4.5	7.1	7.5
აქტიურობის დონე (%)	76.7	76.0	76.9	77.1
დასაქმების დონე (%)	72.2	72.6	71.5	71.3

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

ქვეყნის საერთო მონაცემებთან შედარებით უმუშევრობის დაბალი დონე აიხსნება იმით, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქალაქური ტიპის დასახლებები და მათში მცხოვრებთა რიცხვი რეგიონის მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობის მხოლოდ 32 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა ქვეყნის მასშტაბით ეს ციფრი 53 პროცენტია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა კი (თითქმის 100%-იანი მნიშვნელობით), სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებში ავტომატურად, სოფლის-მეურნეობაში თვითდასაქმებულებს არის მიკუთვნებული.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შემოსავლების მუდმივი წყარო არ გააჩნია, ან მისი დონე იმდენად დაბალია, რომ უმუშევართაგან თითქმის არ განსხვავდება.

მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონებიდან გაედინება (ქვეყნის მასშტაბით მსგავსი სურათია), როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად დედაქალაქში), ისე მის ფარგლებს გარეთ. რეგიონიდან აქტიური მოსახლეობის მიგრაციას აქვს როგორც სეზონური (ძირითადად), ისე ხანგრძლივი ხასიათი⁷. სამწუხროდ, მონაცემები მიგრაციის სალდოს შესახებ რეგიონების მიხედვით არ არის, ქვეყნის მასშტაბით კი მას უარყოფით ნიშნული აქვს და 2007 წელს -20 ათას კაცს აჭარბებს.

რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დანართში 3.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უმუშევრობის ზრდის პირობებში მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესზე საუბარი ნაკლებად მისაღებია. აქ მთავარ როლს თამაშობს სუსტი ინვესტიციური გარემო და კვლავ-წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეები. საზოგადოების დაბალი მოტივირებულობა, ინფლაცია და სხვა გლობალური საკითხები.

ქვეყანაში საქმიანობების მიხედვით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასების შედარებისას იკვეთება, რომ სოფლის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა თვიური ანაზღაურება საშუალოდ შეადგენს 185 ლარს (2007 წლის მონაცემებით) მაშინ, როცა ქვეყანაში საშუალო თვიური ანაზღაურება 368 ლარია. მუშახელის ანაზღაურება სოფლის მეურნეობაში ბევრად ჩამორჩება საშუალო ანაზღაურებას სხვა თხუთმეტ საქმიანობასთან შედარებით. იგი მხოლოდ თევზჭერა-მეთევზეობასა და განათლებაში არსებულ საშუალო ანაზღაურებას აღემატება. ქვეყნის მასშტაბით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, საქმიანობის სახეების მიხედვით (1998-2007 წლებში), მოცემულია დანართში 4.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ მეურნეობათაგან მუდმივ დაქირავებულ შრომას არც ერთი არ იყენებს. სეზონური მუშახელი, მხოლოდ 9,

⁷ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განვითარების გეგმა, ახალციხე, 2008 წელი, გვ. 15 და 17.

ძალიან მცირე მეურნეობაში არ გამოიყენება, დანარჩენი 27 მეურნეობა სხვადასხვა ინტენსივობით იყენებენ სეზონურად “დაქირავებულ” სამუშაო ძალას. დაქირავებულ მუშა ძალაზე მოთხოვნა წარმოიქმნება, ძირითადად, პირუტყვის საკვების დამზადების დროს.

დღესდღეობით რეგიონში, სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის დღიური ანაზღაურება $10\div 15$ ლარის ფარგლებში მერყეობს. მაღალკვალიფიციური მუშახელისა კი, მისი კვალიფიკაციიდან და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მაღალია. გამოკვლეული მეურნეობებიდან მიღებული მონაცემებით, მათ მიერ დამხმარე მუშა ძალის გამოყენების დროს ხშირ შემთხვევაში სამუშაოს ანაზღაურება თანხით არ ხდება, რადგან მეურნეები (ძირითადად ნათესავები, თანასოფლელები) ერთმანეთს რიგრიგობით “უფასოდ” ეხმარებიან.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ მეურნეობების ხელმძღვანელების მხოლოდ 21%-ს გააჩნია სპეციალური განათლება სოფლის მეურნეობის რაიმე მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლება მათგან 41%-ს გააჩნია. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის აგრარულ სექტორში მოქმედი პროექტების დასკვნებში ყველგანაა აღნიშნული მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა, რაც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითაც დასტურდება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ვიწრო სპეციალობის მქონე სამუშაო ძალა, სათანადოდ თავს ვერ გაართმევს მის წინაშე დასმულ ამოცანებს. აქ აუცილებელია ფართო სპეციალიზაცია, რადგან საქმე გვაქვს სოფლის მეურნეობის მრავალ დარგთან, მემცენარეობის და მეცხოველეობის ცოცხალ ორგანიზმებთან და სათანდო ცოდნის გარეშე ეკონომიკური წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ზემოთ მოყვანილი კვალიფიციური მუშახელის მონაცემები და ზოგადად დარგში არსებული სიტუაცია თავისთავად მიგვანიშნებს მაღალკვალიფიციური მუშა ძალის სიმცირეზე.

ჩვენი დაკვირვებით რეგიონში შეინიშნება სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირთა დაბალი აქტივობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა. სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა დიდი უმრავლესობისათვის ეს საქმიანობა დროებითია. ისინი ცდილობენ დასაქმების ალტერნატიული გზების მონახვას სხვა დარგებში. აღნიშნულის მთავარ მიზეზად ასახელებენ მძიმე შრომას და დაბალ ანაზღაურებას/ შემოსავალს.

ნაკლები ყურადღება ექვევა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების მოტივაციას. სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია მისი კომპლექსური განხილვა სხვა ძირითად ფაქტორებთან, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად.

მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად ფაქტორად მიგვაჩნია მაღალკვალიფიციური მუშა ძალა. ამისათვის საჭიროა მეურნეობების მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს დასაქმებულთათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას. აუცილებლობად მიგვაჩნია ახალგაზრდობის მეტად ჩართვა, განსაკუთრებით ოჯახურ მეურნეობებში, მათთვის სასოფლო-სამეურნეო კუთხით განათლებისთვის ხელის შეწყობა. კარგი იქნება თუ რეგიონში ჩამოყალიბება ფერმერული გაერთიანებები, სადაც ფერმერები პერიოდულად გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.

1.3 ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო

ეკონომიკური გარემო: მთლიანი რეგიონული პროდუქტის სტრუქტურის ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია:

I - სოფლის მეურნეობა – 49% (ძირითადი პროდუქციის სახეები – მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მატყლი და სხვა);

II - მრეწველობა – 14% (მინერალური და მტკნარი წყლები, ნახშირორჟანგის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, პური-პურფუნთუშეულის ნაწარმი, მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავება, ხე-ტყის გადამუშავება);

III - მშენებლობა, ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი და სხვა – 37%.

მხარის მთლიანი პროდუქციის (520 მლნ. ლარი) ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 4,8%-ს; მთლიანი რეგიონული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე – 2489 ლარია.


სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური მაჩვენებლების დარგობრივი სტრუქტურა მოცემულია პირველ დიაგრამაში.

რეგიონის ძიუჯეტი: რეგიონის საკუთარი შემოსავლებით ვერ იფარება ხარჯები და იგი ივსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დოტაცია). რგიონის საკუთარი შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში 2004, 2005, 2006 და 2007 წლებში, შესაბამისად, შეადგენდა 59%, 60%, 68% და 78%.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე მცირე დახმარებას ღებულობს ბორჯომის მუნიციპალიტეტი. სახელმწიფო დოტაცია აღნიშნულმა მუნიციპალიტეტმა ბოლოს მხოლოდ 2006 წელს მიიღო 160 ათასი ლარის ოდენობით. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ სახელმწიფო დოტაციებს ღებულობენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები.

მრეწველობა: სამცხე-ჯავახეთის მრეწველობის ძირითადი დარგებია: ელექტროენერგიის წარმოება; კვების მრეწველობა; ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა; სხვადასხვა (სასმელი წყალი); სამშენებლო მასალების მრეწველობა; მსუბუქი მრეწველობა (სამკერვალო ნაწარმი); კულტურულ-სამეურნეო საქონელი (ავეჯი, გარნიტურა, საბლანკო პროდუქცია); ხე-ტყისა და ხის ნაწარმის დამუშავება.

**დიაგრამა 1: სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური მაჩვენებლების
დარგობრივი სტრუქტურა**



წყარო: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პასპორტი 2007, გვ. 18.

მხარეში სულ 3 საწარმოა ისეთი სადაც 100 და მეტი ადამიანია დასაქმებული და 3-ივე ბორჯომის რაიონში ფუნქციონირებს. საწარმოთა რაოდენობა, სადაც 20-დან 100 კაცამდეა დასაქმებული, დაახლოვებით 20-ია, ხოლო 200 არ აღემატება საწარმოთა რაოდენობა, სადაც 20 კაცამდეა დასაქმებული. მცირე საწარმოთა 37% მოდის ახალციხის რაიონზე, 26% ადიგენის, 16% ბორჯომის, 10% ასპინძის, 6% ახალქალაქის და 5% ნინოწმინდის რაიონებზე. დაახლოებით მსგავსი პროცენტული განაწილება აქვს საშუალო საწარმოთა პროცენტულ

ხვედრით წილს რაიონების მიხედვით. წარმოებული პროდუქციის ღირებულებით ბორჯომის რაიონი ყველა რაიონის (დიდი საწარმოების წარმოების ხარჯზე) მაჩვენებლებს აღემატება. შემდეგ მოდიან ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები.

ცხრილი 10: სამცხე-ჯავახეთის მრეწველობის დარგის ძირითადი მახასიათებლების დინამიკა

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
პროდუქცია (მლნ.ლარი)	16.5	52	64.4	72.9	80.4	130.5	103.2	107.9	134.7	118.2
ბრუნვის მოცულობა (მლნ.ლარი)	27.8	59.2	71.3	84.2	98	149.7	140.3	168.4	185.3	158.3
დასაქმებულთა რაოდენობა	8826	6980	6177	6292	5463	8206	7587	7424	8296	6352.9

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

სოფლის მეურნეობა: სამცხე-ჯავახეთის მხარეში გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. ამ დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49%. დარგში დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მეცხოველეობა;
- მეკარტოფილეობა;
- მებოსტნეობა;
- მარცვლეული კულტურები;
- მეხილეობა;
- საკვები კულტურების წარმოება;
- მეფუტკრეობა.

სამცხე-ჯავახეთში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არსებული მდგომარეობა, რაიონების მიხედვით მოცემულია გვ-11 ცხრილში.

ცხრილი 11: რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (ათასი ტონა)

რაიონი	მარცვლეული	კარტოფილი	ბოსტნეული	ხილი	ხორცი	რძე
ადიგენი	3,5	14,4	7,2	0,9	3,2	6,2
ასკინძა	2,5	3,8	3,3	0,7	2,1	4,5
ახალქალაქი	21,9	76,1	11,7	—	5,3	24,8
ახალციხე	7,9	21,5	9,4	0,9	3,9	9,2
ბორჯომი	1,2	7,3	3,2	—	1,7	3,7
ნინოწმინდა	6,9	20,8	2,0	—	4,3	24,2
სულ მხარეში	43,9	143,9	36,8	2,5	20,5	72,6

წყარო: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პასპორტი 2007, გვ. 27.

რეგიონში მცირეა მოქმედი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები (ფერმერთა ასოციაციები, კოოპერატივები და სხვა). ძირითადად გვხვდება ოჯახური მეურნეობის ფორმა, რომელთა ეკონომიკა სუსტია. მცირეა სოფლის მეურნეობის მომსახურე აგრო-ცენტრების, სერვის ცენტრების რაოდენობა. მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვის დონე არადამაკმაყოფილებელია.

ექსპორტი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, ქვეყნის შიდა ბაზარზე ექსპორტირებული ძირითადი პროდუქციის მოცულობათა დინამიკა, 2004, 2005 და 2006 წლებისათვის, წარმოდგენილია მე-12 ცხრილში.

ცხრილში მოცემული მონაცემები ასახავს მხოლოდ სამი წლის შედეგებს, რადგან ასეთი კვლევა სტატისტიკის დეპარტამენტს სხვა წლებისათვის აღარ უწარმოებია. თუმცა აღნიშნული მონაცემები მაინც ბევრის მთქმელია. რეგიონიდან ექსპორტირებული პროდუქციის ძირითადი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო დარგზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო დარგიდან კი სტაბილურად მზარდი მონაცემებით ხასიათდება ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება.

ცხრილი 12: რეგიონიდან ექსპორტირებული ძირითადი პროდუქტების დინამიკა (მლნ. ლარი)

პროდუქციის დასახელება	2004	2005	2006
სულ რეალიზებული პროდუქტი:	191	198	210
მათ შორის:			
მინ. წყალი „ბორჯომი“	45	45	41
ნახშირორჟანგი CO2	1.5	1.5	1.5
ხე-ტყე	1.3	1.3	1.2
კარტოფილი	22	21	20
ბოსტნეული	6.0	6.5	6.3
ხილი	1.2	1.0	-
ხორცი	36	38	40
რძის პროდუქტები	78	83.7	100

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

აღსანიშნავია, რომ რეგიონი მდიდარია მინერალური და რეკრეაციული რესურსებით. დღესდღეობით ამ რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გამოყენება ხდება, რის გამოც მხარის ეკონომიკაში მათი ხვედრითი წილი ძალზე მცირეა.

ტექნოლოგიური გარემო: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად, ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება (მცირეა), ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით. მაგალითად, მერძეულ მექროხეობაში რძის ხარისხის ამაღლებას და რაოდენობის გაზრდას ნაკლები ყურადღება ექცევა. ასევე არაა დანერგილი ახალი ტექნოლოგიები პირუტყვის საკვების დამზადებაში, მოვლასა და შენახვაში, რძის მიღების, გადამუშავების და შენახვის პროცესში. შესაბამისად, წარმოებული პროდუქციაც ერთფეროვანია (იმერული ოჯახური ყველი, ხაჭო და ა. შ.). მაღალხარისხიან რძის პროდუქტებზე სტაბილური მოთხოვნის დროს იქმნება დეფიციტი,

რადგან ასეთი პროდუქტები რეგიონში, სუსტი ტექნოლოგიური გარემოსა და სპეციალისტების სიმცირის გამო, მცირე რაოდენობით იწარმოება (მაგ.: დამწიფებული ყველი, ე. წ. ქარხნული ყველი და მისი ნაირსახეობები).

რეგიონში მცირეა ისეთი საკვლევ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდებოდა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. იშვიათობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რაც ასევე დადგითად იმოქმედებდა რეგიონში სხვადასხვა ტექნოლოგიური ნოვაციების გავრცელების პროცესზე.


თავი 2. მეძროხეობის, როგორც აგროწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების ეკონომიკის ფორმირება და მისი ანალიზი

სასოფლო სამეურნეო საწარმოში მეძროხეობის ტექნოლოგიურ პროცესებს იზოლირებულად ვერ განვიხილავთ, რადგან:

- მერძეული პირუტყვის გამოკვება ხდება საკვებ-წარმოებიდან მიღებული პროდუქციით;
- მიღებული ნაკელის გამოსაყენებლად აუცილებელია სასოფლო - სამეურნეო სავარგული;
- მიღებული ნამატი გამოიყენება ჯოგის აღწარმოებისათვის;
- საკუთარი დეკეულებით ხდება გამოწუნებული ფურების ჩანაცვლება.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო, საჭიროა მერძეული მესაქონლეობა ცალკე დარგად გამოიყოს სხვა მიმართულებებისგან (მეხორცული, საკვებწარმოება და ა.შ.).

სქემა 1: მერძეული მესაქონლეობის სხვა მიმართულებებისაგან გამოყოფა



სქემაზე ასახულ დაყოფას მეურნეობებში, სამწუხაროდ, ყურადღება არ ექცევა, წესად არა აქვთ ჩანაწერების სახით აღრიცხონ ისეთი მონაცემები, როგორიცაა წველადობა, ნამატის მიღება. შესაბამისად არ აღირიცხება შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი მონაცემები.

მეძროხეობაში გაანგარიშების ერთეულს წარმოადგენს ერთი მეწველი ძროხის საშუალო წლიური წველადობა და არა ერთი ლაქტაციის ხანგრძლივობა ან მოგებიდან მოგებამდე პერიოდი.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ძირითადად მოგებიდან, მოგებამდე პერიოდი შეადგენს ერთ წელს. ჯიშიანი ფურებისთვის მოგებებს შორის პერიოდი დაახლოებით 395 დღეა. აქედან 270 დღე ფურის მაკების პერიოდია, 60 დღე კ. წ. სერვისპერიოდი და 65 დღე პერიოდი დაგრილებამდე. შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში ნამატის რაოდენობა დაახლოვებით 0.92 ხდოს ტოლია. თუმცა ადგილობრივი ჯიშის ფურების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ წელიწადში მიღებული ნამატის რაოდენობა, მცირე სერვის და დაგრილებამდე საჭირო დროის ხარჯზე, საშუალოდ ერთ ხდოს უდრის.

ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს რძის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი. ეს მაჩვენებლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მათი იზოლირებულად შეფასება შეუძლებელია.

ყოველი ეკონომიკური მაჩვენებლით შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურობაზე (როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდში), რადგანაც შეუძლებელია ერთი მაჩვენებელი საწარმოს ეკონომიკურობას გამოხატავდეს, მეორე კი საპირისპიროს აჩვენებდეს. ეკონომიკური მაჩვენებლების ერთმანეთთან კავშირები შემდეგ სქემაზეა წარმოდგენილი:

სქემა 2: ეკონომიკური მაჩვენებლების ერთმანეთთან კავშირი

მარჯინალური მოგება/		
მეწარმის მოგება		ზღვრული ფასები
არა ეკონომიკური	< 0	> პროდუქციის ფასი
ეკონომიკურობის ზღვარი	= 0	= პროდუქციის ფასი
ეკონომიკური	> 0	< პროდუქციის ფასი

თუ მარჯინალური მოგება/მეწარმის მოგება ნაკლებია ნულზე, შესაბამისად, პროდუქციის ზღვრული ფასები მეტია პროდუქციის საბაზო ფასზე და აღნიშნული საქმიანობა არაეკონომიკურია. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც მეწარმის მოგება მეტია ნულზე, წარმოების ზღვრული ფასები ნაკლებია პროდუქციის სარეალიზაციო ფასზე და შესაბამისად, საქმიანობა ეკონომიკურად მომგებიანია. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმის მოგება ნულის ტოლია, წარმოების ზღვრული ფასები ტოლია პროდუქციის საბაზო ფასისა და გვაქვს საქმიანობის ეკონომიკურობის ზღვარი.

შემდეგ ქვეთავებში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი რძის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირება და მათი ანალიზი. შედეგები წარმოდგენილია და განხილულია, როგორც ერთიანი საშუალო მონაცემების საფუძველზე (ყველა ჯგუფის მეურნეობისა ერთად), ისე მეურნეობების ჯგუფების საშუალო მონაცემების საფუძველზე.

2.1 რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფორმირება და მისი ანალიზი

მეძროხეობის მთლიანი პროდუქციის საბაზრო დირებულება მოიცავს:

- რძის დირებულებას;
- მიღებული ნამატის (ხბოების) დირებულებას;
- ნახირის აღწარმოების მიზნით, გამოწუნებული ფურის (დაკლულის) დირებულებას;
- ნაკელის დირებულებას.

აქედან, რძის წარმოება და მისი დირებულება: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კახეთისა და ქართლის რეგიონებისაგან განსხვავებით, რძის შემგროვებელი ცენტრების დაარსება და ფუნქციონირება ფორმირების პროცესშია. მეურნეობები ნატურალური რძისაგან აწარმოებენ რძის პროდუქტებს (ძირითადად ყველს) და ახდენენ მათ რიალიზაციას. შესაბამისად, ჩვენს მიერ ხუთ წელზე (2005-დან 2009 წლის ჩათვლით) განხორციელებული ეკონომიკური გაანგარიშებებისათვის ერთი ლიტრი რძის ფასის გამოთვლა მოხდა პროდუქციის (ყველის) შესაბამისი წლისათვის არსებული საშუალო სარეალიზაციო ფასის მიხედვით. 2005 და 2006 წლებში აქ რძის საშუალო სარეალიზაციო ფასმა შეადგინა ლიტრზე 40 თეთრი, 2007 და 2008 წლებში, შესაბამისად, 45 თეთრი, ხოლო 2009 წელს 50 თეთრი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეგიონში რძის რეალიზაციის შემთხვევაში მეურნეობები დებულობენ ორმაგ ფასს. თუმცა მეურნეობების მიერ რძის რეალიზაცია, მასზედ მოთხოვნის სიმცირის გამო, იშვიათობაა. სამცხე-ჯავახეთის ტურისტულად განვითარებულ რეგიონებში (ბორჯომი, ბაკურიანი, აბასთუმანი), რძის სარეალიზაციო ფასი საგრძნობლად აღემატება რეგიონის საშუალო ფასებს.

გამოკვლეული მეურნეობებიდან, გარკვეული ნაწილი, ახერხებს ყველის უფრო ძვირად გასაღებას. საქმე ისაა, რომ ზაფხულში, როდესაც რძის რაოდენობა დიდია და ბაზარი ყველით გაჯერებულია, ზოგიერთ მეურნეობაში წარმოებულ ყველს ინახავენ და ბაზარზე გასაყიდად გამოაქვთ ზამთარში, როდესაც მასზე მოთხოვნა და შესაბამისად, ფასიც იზრდება. აღნიშნული პროცესი ზოგადად ახასიათებს საქართველოში ყველის ბაზარს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვაინტერესებდა რეგიონში არსებული საერთო მდგომარეობის ანალიზი და არა ერთი, რომელიმე კონკრეტული მეურნეობის მონაცემები, რძისა და ხორცის (ნამატის, გამოწუნებული ფურის) სარეალიზაციო ფასებად ავიდეთ შესასწავლი მეურნეობების საშუალო ფასები, რომლის გაანგარიშებაც მოხდა მეურნეობებიდან მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ნამატი (ხბოები) და სარემონტო ფური: შესწავლილი მეურნეობების დიდი უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ნამატის რეალიზება პირველსავე კვირაში, შედარებით მცირე ნაწილისათვის კი ნამატის 1 ან 2 წლამდე გამოზრდა და მისი შემდგომი რეალიზაცია.

ნამატის რეალიზაციის დროის სწორად შერჩევას მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შემდეგი მარტივი გაანგარიშებითაც დასტურდება. ახლად დაბადებულ ხბოს დღეში ესაჭიროება 5 ლიტრი რძე. ერთი ლიტრი რძის დირებულება 50 თეთრია. მოგებიდან პირველი 7 დღის განმავლობაში მონაწელი ხსენია და მას არა აქვს რძის საბაზრო დირებულება. თუ სარეალიზაციოდ გაიყვანეს ერთი კვირის ასაკის ხბო, მისი დირებულება დაახლოებით 100 ლარს შეადგენს. რაც შეგვიძლია მოგებად მივიჩნიოთ. ხბოს ერთი თვით გამოზრდის შემთხვევაში, მასზე საკვების სახით გაწეული დანახარჯი იქნება:

$$30.5 \text{ დღე } (\text{თვეში}) X 5 \text{ ლიტრი } \text{რძე} X 0.50 \text{ ლარი} = 76 \text{ ლარს}$$

საბაზრო ამონაგები (ერთოვიანი წონამატის გათვალისწინებით) ≈ 150 ლარია. მოგება: 150 ლარი – 76 ლარი = 74 ლარი.

მოგების სხვაობა პირველ და მეორე ვარიანტებს შორის 26 ლარს შეადგენს. ორი თვის ხბოს რეალიზების შემთხვევაში მოგება უფრო მცირდება. მაგალითად მოყვანილია გასასუქებლად დასაყენებელი ნამატის გაყიდვიდან მიღებული მოგების ანგარიში და არა სანაშენე ნამატისა, რომლის საბაზრო ამონაგები სხვანაირად განისაზღვრება.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ხბოებისთვის რძის შეძენა ნაღდი თანხის გაღებასთან არ არის დაკავშირებული. ზემოთ აღწერილ საკითხს არ ექცევა სათანადო ყურადღება არც მცირე ა და ბ ჯგუფის და არც დიდი გ და დ ჯგუფის მეურნეობების ხელმძღვანელების მხრიდან.


სარემონტო ფურის საბაზრო ამონაგების სიღიდე დიდადაა დამოკიდებული მეურნეობაში მეწველი ფურის გამოყენების ხანგრძლივობაზე.

გამოკვლევის შედეგებით მივიღეთ, რომ ფურის გამოყენების ხანგრძლივობა მეურნეობებში $8 \div 16$ წელს შეადგენს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დროულად არ ხდება ასაკოვანი და დაბალპრო-დუქტიული ფურების შეცვლა ახალგაზრდა მაღალპროდუქტიული დეკულებით (ან ფურებით). სარემონტო დეკულების გამოზრდა ყველა ჯგუფის მეურნეობაში ძირითადად საკუთარი ხახირიდან წარმოებს.

შესწავლილ მეურნეობებში საშუალო დანაკარგები, როგორც ნამატში, ისე სარემონტო ფურებში, $5 \div 6$ %-ის ფარგლებშია.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად რეგიონში მეწველ ფურზე საშუალო წლიური ამონაგების დინამიკა წლების მიხედვით შემდეგია:

დიაგრამა 2: საშუალო ამონაგები მეწველი ფური / წელი




წყარო: საკუთარი კვლევა

2005 წლიდან 2009 წლამდე მეწველი ფურის რეალიზაციიდან წელიწადში ამონაგების 237 ლარით ზრდა, ზოგადად რძესა და ხორციელ საბაზრო ფასების მატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განპირობებულია მეწველი ფურის საშუალო პროდუქტიულობის მატებით.

რაც შეეხება რეალიზაციიდან მიღებულ საშუალო ამონაგებს მეურნეობების ჯგუფების მიხედვით, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა 3: მეურნეობების ჯგუფების მიხედვით საშუალო ამონაგები ერთ მეწველ ფურზე გაანგარიშებით, წელიწადში:



წყარო: საკუთარი კვლევა

როგორც ცხრილშია მოცემული, ერთი ფურის რეალიზაციიდან წელიწადში მიღებული საშუალო ამონაგების სიდიდეები ა, ბ და გ ჯგუფის მეურნეობებში ერთმანეთთან ახლოსაა. მათთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია დ ჯგუფის მეურნეობებში. ასევე დ ჯგუფის მეურნეობებში, სხვა ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით, წლების მიხედვით ფიქსირდება ამონაგების მაღალი ზრდის მაჩვენებელი.

2.2 პროპორციულად ცვლადი დანახარჯების ფორმირება და მისი ანალიზი


პროპორციულად ცვლადი დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მეწველი ფურის გამოკვებაზე მოდის:

- მათ სასიცოცხლოდ და
- მათი წარმადობის (რძე, ნამატი, წონამატი) ზრდისათვის.

ძირითადი საკვების დამზადებას მეურნეობები თვითონვე ახორციელებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი საკვების რაც შეიძლება დაბალი თვითდირებულებით წარმოებას.

მეურნეობებში დამზადებული თივის თვითდირებულებას წლების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 4: თივის თვითდირებულება (კგ/ლარი)




წყარო: საკუთარი კვლევა

კილოგრამი თივის თვითდირებულება ყოველწლიურად მცირედით იზრდება. ამის მთავარ მიზეზად მეურნეობებში საწვავზე მზარდი ფასები სახელდება.

მეურნეობათა ცალკეული ჯგუფების მიხედვით დამზადებული ერთი კილოგრამი თივის თვითდირებულება შემდეგია:

დიაგრამა 5: მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით დამზადებული თივის თვითდირებულება (კგ/ლარი)



წყარო: საკუთარი კვლევა

ერთი კილოგრამი თივის დამზადება დ ჯგუფის მეურნეობებში წარმოებს დაახლოებით 2 თეთრით (34%-ით) ნაკლებად, ვიდრე ამას ახერხებენ ა ჯგუფის მეურნეობებში, დაახლოვებით 1 თეთრით (16%-ით) ნაკლებად, ვიდრე იგივეს აწარმოებენ ბ ჯგუფის მეურნეობებში და 0.5 (8%-ით) თეთრით ნაკლებად, ვიდრე გ ჯგუფის მეურნეობებში.

მეურნეობების ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს საკვებზე დანახრჯები. მეწველი ფურის საკვების ძირითადი ნაწილი ყველა ჯგუფის მეურნეობაში თივაზე მოდის, შესაბამისად, ყველა მათგანში მნიშვნელოვანია ხარისხიანი თივის მაქსიმალურად დაბალი თვითდირებულებით წარმოება.

საკუთრივ დამზადებული თივის თვითდირებულებისაგან საკმაოდ განსხვავდება შეძენილი თივის დირებულება. როგორც ზემოთაც აღვნი-

შნეთ, მეურნეობებში თივის დამზადება ძირითადად ადგილზე წარმოებს, თუმცა ზოგიერთ მათგანში მის გარკვეულ ნაწილს დამატებით იძენენ. შეძენილი თივის ღირებულება მინიმუმ ორჯერ მეტია საკუთრივ დამზადებული თივის თვითდირებულებაზე. 2005÷2009 წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შესაძენი ერთი კილოგრამი თივის ფასი $0.15÷0.35$ თეთრის ფარგლებში მერყეობდა. შესასყიდ თივაზე ფასთა მატება დამოკიდებულია, როგორც საწვავზე ფასების ზრდაზე, ისე კლიმატურ პირობებზე. მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის შემთხვევაში ფასები თივაზე საგრძნობლად იზრდება.

ძროხებისათვის დამატებითი საკვების სახით ძირითადად გამოიყენება ქაჭო, რომლის ყუათიანობა დაბალია. მეურნეობების უმეტესი ნაწილი დამატებით იძენს საკვებს. მინერალური საკვებისა და ვიტამინების გამოყენებას რეგიონში იმდენად დაბალი მაჩვენებელი აქვს, რომ მათზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაზე ვერ ახდენს.

ნახირის ბრუნვა, მეწველი ფურის გამოწუნება და მისი შეცვლა დროულად და გეგმაზომიერად უნდა წარმოებდეს მეურნეობებში. ნახირში ჩასანაცვლებელი ფურის რაოდენობა დამოკიდებულია მათი გამოყენების ხანგრძლივობაზე. ეკონომიკურ ანგარიშებში სარემონტო ფურზე (დეპეულზე) გაწეული ხარჯები, იმისდა მიუხედავად საკუთარ მეურნეობაშია გამოზრდილი იგი თუ ბაზარზეა შეძენილი, გაიანგარიშება მისი საბაზრო ფასით.

კვლევამ აჩვენა, რომ სარემონტო დეპეულის საბაზრო ფასი, 2005 წლიდან 2009 წლამდე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თითქმის გაორმაგდა და $550÷650$ ლარიდან $900÷1000$ ლარამდე გაიზარდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჯგუფის მეურნეობა ნახირის აღწარმოებისათვის ძირითადად საკუთარ მეურნეობებში გამოზრდილ დეპეულებს იყენებს. ასეთ დროს უპირატესობა შედარებით დიდ

მეურნეობებს აქვთ, რადგან მათ, სულადობის რაოდენობიდან გამომდინარე, უფრო ფართო არჩევანის საშუალება ეძლევათ. სარემონტო დეპაულების შერჩევისა და გადარჩევისას, მეურნეობებში ძირითადად ეყრდნობიან, როგორც გენეტიკურ მონაცემებს, ისე მოზარდის კონსტიტუციას, გარეგნობას.

სარემონტო დეპაულების სწორად შერჩევას ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ საკითხში არასწორი გადაწყვეტილების მიღება მძიმე ტვირთად აწვება მეურნეობებს. ისედაც დაბალპროდუქტიული პირუტყვიდან სარემონტო დეპაულის არასწორი შერჩევა, მასზე $2\div3$ წლის განმავლობაში ხარჯების გაწევა, შემდეგ კი გამოწუნება და შემცვლელის გამოზრდა, ფინანსურად დიდ ზარალს აყენებს მეურნეობებს.

საკუთარ მანქანა-დანადგარებზე გაწეული დანახარჯები ჩვენს ეკონომიკურ ანგარიშებში რამდენიმე მიზეზის გამო არ შევიტანეთ. უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობების ტექნიკით აღჭურვის დონე ძალზედ დაბალია და ის ძირითადად შემოიფარგლება სათიბი (ხელის სათიბელები) და სატრანსპორტო (სატვირთო) საშუალებებით. აღნიშნული ტიპის ტექნიკას ძირითადად გ და დ ჯგუფის მეურნეობები ფლობენ. მათზე საამორტიზაცო ხარჯების გათვალისწინება აღარ ხდება, რადგან უმეტესობა უკვე მოძველებულია. მეურნეობები განიცდიან სხვა აუცილებელი ინვენტარის სიმცირესაც, რაც ართულებს პროდუქციის ეფექტურ წარმოებას და შესაბამისად ზრდის ერთეული პროდუქციის თვითდირებულებას.

მეურნეობებს უწევთ სხვადასხვა ცვლადი დანახარჯების გაწევაც, კეტერინარულ მომსახურებაზე, კეტერინარულ პრეპარატებზე და ელექტროენერგიაზე. კეტერინარულ მომსახურებაზე და კეტერინარულ პრეპარატებზე გაწეული დანახარჯების ანალიზი დეტალურად

მოცემულია ქვეთავში: “დამხმარე სერვის მომსახურების არსებული მდგომარეობა”.

ზოგიერთ მეურნეობაში (გამოკვლეული მეურნეობებიდან სულ 3-ში) მიმართავენ ძროხების ხელოვნურ განაყოფიერებას. აღნიშნული ლონისძიების საფასური ერთ სულ ფურზე დაახლოებით 40 ლარს შეადგენს, ამას ემატება სპეციალისტის მგზავრობის ხარჯები.

რაც შეეხება დანახარჯებს ელექტროენერგიაზე, იგი ყველა მეურნეობას არა აქვს. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 2009 წლისათვის გლა დ ჯგუფის ყველა მეურნეობის პირუტყვის სადგომში იყო გაყვანილი ელექტროენერგია. აღნიშნულ წელს ელექტროენერგია გააჩნდა ბ ჯგუფის მეურნეობების 92%-ს, ხოლო ა ჯგუფის მეურნეობების 80%-ს. მეურნეობების მიერ გაწეული ელექტროენერგიის ხარჯი, ერთ სულ ფურზე გაანგარიშებით, წელიწადში 5-დან 20 ლარამდე მერყეობს.

ცხრილი 13: მეურნეობათა ჯგუფებში (სამროხეებში) ელექტროენერგიის არსებობის მაჩვენებელი (%-ში)

	2005	2006	2007	2008	2009
ა	60	65	57	80	80
ბ	72	75	75	89	92
გ	89	90	95	95	100
დ	100	100	100	100	100

წყარო: საკუთარი კვლევა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შედარებით დიდი მეურნეობები ზაფხულის პერიოდში მომთაბარეობას მისდევენ (ეს უფრო სამცხეში ხდება, ჯავახეთის ზეგანზე ამის საჭიროება არ არის, რადგან საკმარისი რაოდენობის საძოვრები მეურნეობების სიახლოვესაა განლაგებული) და ამ პერიოდში (მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე) პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე ჰყავთ. საძოვრებთან მისასვლელი გზების უმეტესი ნაწილი ცუდ მდგომარეობაშია, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს.

მეურნეობებს, რომლებიც მომთაბარეობას მისდევენ, სხვადასხვა ხარჯების გაწევა უწევთ. მომთაბარეობას მისდევენ გ და დ ჯგუფის მეურნეობები, იშვიათად ბ ჯგუფის მეურნეობები, ხოლო ა ჯგუფის მეურნეობებიდან არც ერთი. შესაბამისად, აღნიშნული სახის დანახარჯებთან არის დაკავშირებული ძირითადად გ და დ ჯგუფის მეურნეობების საქმიანობა.

პირუტყვის მომთაბარეობის პირობებში, დანახარჯების ძირითადი ნაწილი ავტოტრანსპორტის გამოყენებაზე მოდის, აქედან მაღალი ხვედრითი წილი უკავია საწვავის ხარჯებს. საწვავზე ფასების ცვლილება დიდ გავლენას ახდენს აღნიშნული ხარჯების სიდიდეზე. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გ და დ ჯგუფის მეურნეობების უმრავლესობას საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები ჰყავს. მომთაბარეობაზე გაწეული ხარჯები გ და ბ ჯგუფის მეურნეობებისათვის ერთ სულ მეწველ ფურზე გაანგარიშებით $20 \div 50$ ლარს შორის მერყეობს, ხოლო დ ჯგუფის მეურნეობებისათვის იგივე მაჩვენებელი $10 \div 30$ ლარის ფარგლებშია.

ცხრილი 14: მომთაბარეობის მაჩვენებელი (%-ში) მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით

	2005	2006	2007	2008	2009
ა	0	0	0	0	0
ბ	25	25	25	20	10
გ	90	95	95	90	80
დ	100	100	94	100	95

წყარო: საკუთარი კვლევა


რეგიონში მეურნეობები განიცდიან გარკვეულ სირთულეებს რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისას, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რძის შეგროვების სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე

ზრუნვა მეურნეობათა დიდ უმრავლესობას ჯერჯერობით თვითონ უხდება.

თითოეული მეურნეობის ხარჯებში გათვალისწინებულ იქნა ე.წ. გაუთვალისწინებელი ხარჯებიც.

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად პროპორციული ცვლადი დანახარჯების საშუალო მაჩვენებლები წლების მიხედვი შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა 6: პროპორციულად ცვლადი დანახარჯების მონაცემები (საშუალო) წლების მიხედვით, მეწველი ფური / წელი




წყარო: საკუთარი კვლევა

პროპორციულად ცვლადი დანახარჯების ზრდამ, აღებულ ხუთ წელიწადში, ერთ მეწველ ფურზე 11%, ანუ 42 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება პროპორციული ცვლადი დანახარჯების საშუალო მაჩვენებლებს მეურნეობათა ტიპების მიხედვით, მოცემულია მე-7-ე დიაგრამაზე.

დიაგრამის მონაცემებიდან ჩანს, რომ 2005, 2006 და 2007 წლებში დაგუფის მეურნეობებში პროპორციული ცვლადი დანახარჯების ჯამი ნაკლები იყო სხვა ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით, გარდა გჯგუფისა.

დიაგრამა 7: პროპორციულად ცვლადი დანახარჯების მონაცემები (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით, მეწველი ფური / წელი



წყარო: საკუთარი კვლევა


თუმცა 2008 და 2009 წლებში ამ მაჩვენებლით და ჯგუფის მეურნეობების მონაცემებმა ყველა სხვა ჯგუფის მონაცემებს გადააჭარბა. პირველ რიგში ეს განაპირობა ამ ჯგუფის მეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობამ და შესაბამისად, შემოსავლების ზრდამ. რისი მიღწევაც შესაბამისი დანახარჯების გაწევის გარეშე შეუძლებელია.

2.3 მარჯინალური მოგების ფორმირება და მისი ანალიზი

რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების და პროპორციული ცვლადი დანახარჯების მიღების შემდეგ შესაძლებელია მარჯინალური მოგების გაანგარიშება. აღნიშნული ეკონომიკური მაჩვენებელი ფერმერებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ საკუთარ მეურნეობაში დარჩენილი თანხის ის მოცულობა, რომელიც გამოიყენება არაპროპორციული ცვლადი და მუდმივი დანახარჯების დასაფარად და აღნიშნულის შესაბამისად მიიღონ შემდგომი გადაწყვეტილებები. მარჯინალური მოგების სიდიდის ანგარიში სხვადასხვა მიმართულების მქონე მეურნეობების ხელმძღვანელებს ეხმარება, სწორი დასკვნები გააკეთონ წარმოების მიმართულებათა არჩევისას.

გრაფიკულად მარჯინალური მოგების ჩვენს მიერ დამუშავებულ საშუალო მონაცემებს წლების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 8: მარჯინალური მოგების საშუალო მონაცემები წლების მიხედვით, მეწველი ფური / წელი




წყარო: საკუთარი კვლევა

მარჯინალური მოგება წლების მიხედვით მზარდია. მისი 2009 წლის საშუალო მონაცემი ერთ მეწველ ფურზე, მთელი 31 %-ით (197 ლარით) აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება მარჯინალური მოგების საშუალო მონაცემებს მეურნეობის ტიპების მიხედვით, მათ შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 9: მარჯინალური მოგების მონაცემები (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით, მეწველი ფური / წელი



წყარო: საკუთარი კვლევა

საბაზო ამონაგებიდან პროპორციულად ცვლადი დანახარჯების დაფარვის შემდგომ, დიდ (დ-ჯგუფის) მეურნეობებს ყველა სხვა ხარჯის დასაფარად, ერთ მეწველ ფურზე წელიწადში დაახლოებით 100 ლარით მეტი თანხა გააჩნიათ, მცირე (ა-ჯგუფის) მეურნეობებთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სიდიდეს ამ ორი კატეგორიის მეურნეობებს შორის წლების მიხედვით მცირე, თუმც მზარდი ტენდენცია გააჩნია. ბ და გ ჯგუფის მეურნეობების მარჯინალური მოგების სიდიდეები ერთმანეთთან დაახლოებულია, შეალედური პოზიცია უკავია ა და დ ჯგუფის მეურნებების მსგავს სიდიდეებთან.

2.4 ცვლადი და მუდმივი დანახარჯების წარმოშობა და მათი ანალიზი
საბრუნავი საშუალება (კაპიტალი): მეურნეობათა სიდიდის მიუხედავად, ყველა მათგანი საჭიროებს საბრუნავ საშუალებებს, კაპიტალს. მერძეულ მესაქონლეობაში საბრუნავი საშუალების სიდიდედ გამოიყენება დეკულის საბაზო ფასი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2005 წლიდან 2009 წლამდე სარემონტო დეკულის საბაზო ფასი თითქმის გაორმაგდა.

საბრუნავ კაპიტალზე საპროცენტო განაკვეთის სიდიდე სხვადასხვანაირად განისაზღვრება საკუთარ და მოზიდულ კაპიტალზე, რომელთა სიდიდე:

- საკუთარი კაპიტალის შემთხვევაში ალტერნატიული დანახარჯია,
- ხოლო მოზიდული კაპიტალისათვის საპროცენტო გადასახადი.

საკუთარი კაპიტალის შემთხვევაში ალტერნატიულ დანახარჯად მივიღეთ საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთი ერთწლიან ვადიან ანაბარზე ლარში, ხოლო მოზიდული კაპიტალის საპროცენტო გადასახადად (მეურნეობებში ასეთის არსებობის შემთხვევაში) უშუალოდ მეურნეობების მიერ მოზიდულ კაპიტალზე დასახელებული საპროცენტო განაკვეთი.

საქართველოში ფუნქციონირებად კომერციულ ბანკებში არსებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი ერთწლიან ვადიან ანაბარზე ლარში 2005 წელს 12%-ს, ხოლო 2006-დან 2009 წლის ჩათვლით 13%-ს შეადგენდა. რაც შეეხება მეურნეობების მიერ დასახელებულ საპროცენტო განაკვეთს, მოზიდულ კაპიტალზე ის $20\div 25\%$ -ის ფარგლებში მერყეობს. გამოკვლეული მეურნეობებიდან მოზიდულ კაპიტალს იყენებს მხოლოდ 3 მათგანი.

შრომა: სამუშაო დროში შედის ფერმაში (ყოველდღიურად) და მეურნეობის ადმინისტრაციულ საქმიანობებზე დახარჯული საჭირო დრო. ერთ მეწველ ფურზე სამუშაო დროის მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული: ნახირის სიდიდეზე (მეურნეობაში მეწველი ფურების სულადობაზე), მეურნეობის გაძლოლის ტიპზე (ინტენსიური, ექსტენსიური) და პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში რძის) წარმოების მოცულობაზე.

რეგიონში, ჩვენს მიერ შესწავლილი მეურნეობების გაძლოლის ფორმა ექსტენსიურია. ფურების პროდუქტიულობის მიხედვით მეურნეობის ჯგუფებს შორის დიდი სხვაობა არ არის. სამუშაო დროის სიდიდეზე შესაბამისად გავლენას მხოლოდ მეურნეობებში არსებული მეწველი ფურების სულადობა ახდენს. დიდ მეურნეობებში ერთ ფურზე საჭირო სამუშაო დროის დანახარჯი პატარა მეურნეობებთან შედარებით მცირეა.

მოთხოვნა სამუშაო დროზე საშუალოდ მერყეობს $190\div 220$ კაც/საათს შორის ერთ ფურზე, წელიწადში.

დანახარჯები შრომაზე წარმოიქმნება დაქირავებულ მუშაზე გადახდილი ხელფასის სახით ან საკუთარი შრომის ალტერნატიული შემოსავლის სახით.

- საკუთარი შრომის ალტერნატიული შემოსავალი = "დაკარგული" ხელფასი;

- დაქირავებული მუშის ანაზღაურება = გაცემული ხელფასი.

მეურნეობებში შრომითი ანაზღაურების ოდენობა და მისი ცვალებადობა წლების მიხედვით, როგორც საკუთარ შრომაზე (ალტერნატიული შემოსავლის სახით), ისე მოზიდულ სამუშაო ძალაზე, შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 15: სრული სამუშაო დღის შრომითი ანაზღაურება მეურნეობებში.

	2005	2006	2007	2008	2009
საკუთარი (ლარი)	5	6	7	8	10
დაქირავებული (ლარი)	6	7	9	10	12

წყარო: მეურნეობებიდან მოპოვებული მონაცემები

მეურნეობებში სამუშაო ძირითადად სრულდება საკუთარი (ოჯახის წევრების) შრომით. გამოკვლეული მეურნეობებიდან დაქირავებულ მუშას ძირითადად იყენებენ და ჯგუფის მეურნეობებში, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ გ და ბ ჯგუფის მეურნეობები.

მიწა: დანახარჯები მიწის რესურსებზე, მსგავსად შრომისა, ორგვარად წარმოიქმნება: თუ მიწას იჯარით ვიღებთ, მაშინ ვითვალისწინებთ იჯარაში გადახდილ თანხას, ხოლო თუ საკუთარ მიწას ვიყენებთ, მაშინ ვიღებთ ალტერნატიული იჯარის თანხას.

კვლევიდან მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, მეურნეობების დიდ უმრავლესობას აღნიშნული დანახარჯები არა აქვს. არსებული იშვიათი შემთხვევები კონკრეტული მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშის დროს იქნა გათვალისწინებული.

დანახარჯები ძირითად საშუალებებზე: ძირითად საშუალებებზე მოთხოვნა მეცხოველეობაში წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საწარმოს უწნდება მოთხოვნა მანქანა-იარაღებსა და შენობებზე (საწყობები, ფარეხები და სხვა).


ძირითადი საშუალებები საწარმოში დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენება და საბოლოოდ ჩამოიწერება. მუდმივ დანახარჯებს ემატება

ისეთი ხარჯები, როგორიცაა ამორტიზაციაზე დანარიცხები, შენახვის ხარჯი, დაზღვევა, რაიმე სახის გადასახადები, თუ ასეთი არსებობს.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული სახის ხარჯები მეურნეობებში პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად ანგარიშებშიც არც გაგვითვალისწინებია. გამონაკლისს წარმოადგენს საძროხეებზე ამორტიზაციის ხარჯები.

მთლიანი დანახარჯების საშუალო მონაცემებს წლების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:


დიაგრამა 10: მთლიანი დანახარჯების მონაცემები (საშუალო) წლების მიხედვით, მეწველი ფური / წელი



წყარო: საქუთარი კვლევა
მთლიანი დანახარჯების ზრდამ 2009 წლისათვის ერთ მეწველ ფურზე წელიწადში, 2005 წელთან შედარებით, 22% (189 ლარი) შეადგინა.

რაც შეეხება მთლიანი დანახარჯების საშუალო მაჩვენებლებს მეურნეობის ტიპების მიხედვით, მას შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 11: მთლიანი დანახარჯების მონაცემები (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით, მეწველი ფური / წელი



წყარო: საკუთარი კვლევა

მონაცემების მიხედვით, მეურნეობების ყოველწლიური მთლიანი დანახარჯი ფურზე, წინა წლის ანალოგიურ სიდიდესთან შედარებით, მზარდია და $10 \div 80$ ლარის ფარგლებში მერყეობს. მთლიანი დანახარჯების სიდიდეები ყველა ჯგუფის მეურნეობაში ერთმანეთთან ახლოსაა. მეწველ ფურზე წელიწადში გაწეული ყველაზე დაბალი დანახარჯები წლების მიხედვით გ ჯგუფის მეურნეობებშია დაფიქსირებული (გამონაკლისს წარმოადგენს 2008 წელი).

2.5 მეწარმის მოგების და მოგების ფორმირება, მათი ანალიზი

მოგებასა და მეწარმის მოგებას შორის განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ მოგების გამოთვლისას ალტერნატიული დანახარჯები საკუთარი წარმოების ფაქტორებზე (მიწაზე, შრომაზე, კაპიტალზე) გათვალისწინებული არ არის, ხოლო მეწარმის მოგების გამოთვლისას ისინიც იანგარიშება.

დადებითი მოგება მიანიშნებს, თუ რა ოდენობის თანხა რჩება მეწარმეს საკუთარი წარმოების ფაქტორების (საკუთარ შრომაში, კაპიტალსა და მიწაში) უკუგებისათვის, ყველა დანარჩენი ხარჯის

გადახდის შემდეგ. ეს სარჯებია წარმოების საშუალებებზე, მანქანების შეძენაზე, შენობების აშენებაზე გადახდილი პროცენტები (უცხო კაპიტალზე) და იჯარაზე (სხვის მიწაზე) გაწეული ხარჯები, თუ ასეთი არსებობს. მეწარმის მოგების დადებითობა გულისხმობს ყოველი გამოყენებული წარმოების ფაქტორის (როგორც საკუთარის, ისე მოზიდულის) უკუგებას დადებითად, ხოლო საკუთარი ფაქტორებისათვის ეს ნიშნავს ალტერნატიულ ვარიანტზე უკეთესი შედეგის მიღებას. თუ მოგება დადებითია, ხოლო მეწარმის მოგება უარყოფითი, ეს ნიშნავს, რომ მოზიდულ წარმოების ფაქტორებს და საშუალებებს ვანაზღაურებთ და კიდევ რჩება თანხა, საკუთარი ფაქტორების შესაბამისი (არასახარბიერო) უკუგებისათვის.

აღნიშნული ეკონომიკური სიდიდეების კალკულაცია ფერმერებისათვის ორ მთავარ კითხვას სცემს პასუხს:

თვალსაჩინოება 2: კითხვები მეწარმის მოგებისა და მოგების ეკონომიკური სიდიდეებისადმი

→ მიზანშეწონილია თუ არა საქმიანობის გაგრძელება ?


→ მიზანშეწონილია თუ არა ახალი ინვესტიციების მოძიება ?

მეურნეობებში ჩატარებული კვლევისას წლების მიხედვით აღებული მონაცემების დამუშავების შედეგები (მეწარმის მოგების საშუალო შედეგები) მოცემულია მე-12-ე დიაგრამაზე.

მეწარმის (მეურნეობის) მოგების ზრდამ მეწვეულ ფურზე წელიწადში 2009 წელს, 2005 წელთან შედარებით, 41 ლარი შეადგინა. თუმცა აღნიშნულ ეკონომიკურ მაჩვენებელს წლების მიხედვით სტაბილური ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს, როგორც ეს დიაგრამაზეა გამოსახული. 2006 და 2008 წლებში მეწარმის მოგების ზრდის მაგივრად დაფიქსირებულია წინა წლის ანალოგიური

მაჩვენებლის კლება, რისი გამომწვევი ძირითადი ფაქტორიც რეალიზაციიდან ამონაგების უმნიშვნელო ზრდა გახლავთ, დანახარჯების პროპორციულად ზრდის საპირისპიროდ.

დიაგრამა 12: მეწარმის მოგების (საშუალო) მონაცემები წლების მიხედვით, მეწველი ფური / წელი




წყარო: საკუთარი კვლევა

ყოველი წლის მიხედვით, მეწარმის მოგება დადებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეურნეობები სრულად ფარავენ, როგორც საკუთარ ისე მოზიდულ წარმოების ფაქტორებზე გაწეულ დანახარჯებს და დამატებით, საკუთარი ფაქტორებისათვის ეს ნიშნავს ალტერნატიულ ვარიანტზე უკეთესი შედეგის მიღებას.

მეურნეობების ტიპების მიხედვით მეწარმის მოგების საშუალო მონაცემები წარმოდგენილია მე-13-ე დიაგრამაზე.

მეწარმის მოგების სიდიდის სხვაობა და ა ჯგუფის მეურნეობებს შორის ყოველწლიურად მზარდია. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ წლებში მეურნეობების სიდიდის შესაბამისად ფერმერის მოგება ერთ ფურზე გაანგარიშებით, იზრდება. ამ ზრდამ 2009 წელს 119 ლარი შეადგინა.


დიაგრამა 13: მეწარმის მოგების მონაცემები (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით, მეწველი ფური / წელი



წყარო: საქუთარი კვლევა

მეწარმის მოგების დადებითი მნიშვნელობა წინაპირობაა იმისა, რომ მოგების მნიშვნელობა დადებითია. მოგების გამოთვლისას ალტერნატიული დანახარჯები საქუთარი წარმოების ფაქტორებზე (მიწა, შრომა, კაპიტალი) გათვალისწინებული არ არის. ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემებით მეურნეობებში წლების მიხედვით საშუალო მოგების მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:


დიაგრამა 14: მოგების მონაცემები (საშუალო) წლების მიხედვით, ერთ მეწველ ფურზე გაანგარიშებით წელიწადში



წყარო: საქუთარი კვლევა

მე-14 დიაგრამის მონაცემებიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეძროხეობით დაკავებული მეურნეობების მოგება წლების მიხედვით შეარდია. ხუთი წლის განმავლობაში მოგების მაჩვენებლის (საშუალო მონაცემებით) ზრდამ ერთ მეწველ ფურზე წელიწადში 179 ლარი შეადგინა. აღნიშნული ეკონომიკური სიდიდის მონაცემები მეურნეობების ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

დიაგრამა 15: მოგების მონაცემები (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით, ერთ მეწველ ფურზე გაანგარიშებით წელიწადში



წყარო: საქუთარი კვლევა
ერთ მეწველ ფურზე წელიწადში მოგების ეკონომიკური მაჩვენებელით და ჯგუფის მეურნეობების მონაცემები ა ჯგუფის მონაცემებს აღემატება 12%-ით, ანუ 60 ლარით, ბ ჯგუფის მონაცემებს, შესაბამისად 9%-ით, ანუ 48 ლარით, ხოლო გ ჯგუფის მეურნეობების მონაცემებს 5%-ით, ანუ 24 ლარით.

წლების მიხედვით მოგების მაჩვენებელი ყველა ჯგუფის მეურნეობაში მზარდია, თუმცა, რომელიმე მათგანის პროგრესული ზრდა კვლევის 5 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

მეწარმის მოგების და მოგების საშუალო ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ დასმული ძირითადი კითხვების პასუხები (იხ. თვალსაჩინოება 2) შემდეგია:

 მოგების საშუალო ეკონომიკური მაჩვენებელი ყველა ჯგუფის მეურნეობაში დადებითია. რაც ნიშნავს, რომ ყველა მათგანში ხდება წარმოების დანახარჯების ანაზღაურება და რჩება გარკვეული თანხა საკუთარი (ალტერნატიული დანახარჯების) ფაქტორების ასანაზღაურებლად. შესაბამისად, წარმოების გაგრძელება, როგორ მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, მიზანშეწონილია.

 მეწარმის მოგების საშუალო ეკონომიკური მონაცემები ყველა ჯგუფის მეურნეობაში დადებითია. რაც ნიშნავს, რომ ყველა მათგანში ხდება წარმოების სრული დანახარჯების ანაზღაურება, ხოლო საკუთარი ფაქტორებისათვის ალტერნატიულზე უკეთესი ანაზღაურების მიღება. შესაბამისად, წარმოებაში როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მიზანშეწონილია ახალი ინვესტიციების მოზიდვა.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შეფასდა რეგიონში შესწავლილი 36 მეურნეობის საშუალო ეკონომიკური სიდიდეები. ცალკეული მეურნეობების (ა ჯგუფიდან) ეკონომიკური მონაცემების კალკულაციისას მიღებულ იყო მოგების დადებითი მაჩვენებელი, ხოლო მეწარმის მოგების უარყოფითი მაჩვენებელი. რაც შეეხება მოგების უარყოფით მაჩვენებელს, იგი არც ერთი მეურნეობის მონაცემების კალკულაციის დროს არ დაფიქსირებულა.

2.6 ზღვრული ფასების შესწავლის მდგომარეობა

სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად, წარმოებული პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯები შედარებული უნდა იქნეს მის სარეალიზაციო ფასთან. პროდუქციის ერთეულზე (საშუალო) დანახარჯები მიიღება წარმოების დანახარჯების გაყოფით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე. გაწეული დანახარჯები ემსახურება არა მხოლოდ ძირითადი პროდუქტის წარმო-

ებას, არამედ თანმდევი პროდუქციის მიღებასაც. ჩვენს შემთხვევაში ნამატი და სარემონტო ფური. ამისათვის თანმდევი პროდუქციის ღირებულება უნდა დაემატოს საწარმოოს ხარჯებს (ან გამოაკლდეს ძირითადი პროდუქციის ღირებულებას) რომ მივიღოთ ძირითადი პროდუქციის თვითდირებულება. ვინაიდან გვაინტერესებს ერთეული რძის ზღვრული ფასები, ჩვენს ეკონომიკურ გაანგარიშებებში, საწარმოს ხარჯებს ვაკლებთ თანმდევი პროდუქციის ღირებულებას. ზღვრული ფასების დადგენის დროს საანგარიშო ფასად აღებულ იქნა შესაბამისი წლისათვის გაანგარიშებებში აღებული რძის ფასი.


რენტაბელობის ზღვარი (ფასის მინიმალური ზღვარი ხანგრძლივი პერიოდისათვის): პროდუქციის ერთ ერთეულზე წარმოების ყველა დანახარჯის დაჯამების (მთლიანი დანახარჯები ხანგრძლივი პერიოდისათვის) შედეგად ვიღებთ ფასის მინიმალურ ზღვარს ხანგრძლივი პერიოდისათვის. თუ პროდუქციის სარიალიზაციო ფასი გოლია ფასის მინიმალური ზღვრისა ხანგრძლივი პერიოდისათვის და მასში წარმოების ფაქტორები შესაბამისადაა ანაზღაურებული, მაშინ იგი წარმოადგენს => რენტაბელობის ზღვარს!

ჩვენს მიერ რენტაბელობის ზღვარი შემდეგნაირად არის გამოთვლილი:

- წარმოების მთლიანი დანახარჯები
- თანმდევი პროდუქციის ღირებულება
- = ძირითადი პროდუქციის წარმოების მთლიანი დანახარჯები
- / წარმოებული პროდუქტის რაოდენობა (რძის წარმადობა, ფური /წელი)
- = ძირითადი პროდუქციის ერთეულის ზღვრული ფასი (ერთი ლიტრი რძე)

რენტაბელობის საშუალო ზღვრული ფასი წარმოებული პროდუქციის ერთეულზე (ერთი ლიტრი რძე) ყველა ჯგუფის მეურნეობებში წლების მიხედვით შემდეგია:


დიაგრამა 16: რენტაბელობის ზღვარი (საშუალო) წლების მიხედვით, ერთ ლიტრ რძეზე გაანგარიშებით



წყარო: საკუთარი კვლევა

რენტაბელობის ზღვარი ერთ ლიტრ რძეზე წლების მიხედვით 1÷2 თეთრით იზრდება. გამონაკლისს წარმოადგენს 2007 წელი, როდესაც რენტაბელობის ზღვრის ზრდამ ლიტრ რძეზე წინა წელთან შედარებით 3 თეთრი შეადგინა. 2009 წელს 2005 წელთან შედარებით რენტაბელობის ზღვრის საერთო ზრდამ ერთ ლიტრ რძეზე 8 თეთრი შეადგინა.

დიაგრამა 17: რენტაბელობის ზღვარი (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით ერთ ლიტრ რძეზე გაანგარიშებით




წყარო: საკუთარი კვლევა

ერთ ლიტრ რძეზე რენტაბელობის ზღვარი და ჯგუფის მეურნეობებში, ა ჯგუფის მეურნეობების მონაცემებთან შედარებით, დაახლოებით 16%-ით, ანუ 7 თეთრით დაბალია, ბ ჯგუფის მეურნეობების მონაცემებთან შედარებით 12%-ით, ანუ 5 თეთრით, ხოლო გ ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით 5%-ით, ანუ 2 თეთრით. მაქსიმალური სხვაობა მცირე (ა ჯგუფი) მეურნეობების და დიდი (დ ჯგუფის) მეურნეობების რენტაბელობის საშუალო ზღვრულ ფასებს შორის ერთ ლიტრ რძეზე დაფიქსირდა 2009 წელს და იგი 7 თეთრს შეადგენდა.

წარმოების ზღვარი (ფასის მინიმალური ზღვარი ხანმოკლე პერიოდისათვის): თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ ცვლადი დანახარჯების კალკულაციით, მაშინ მივიღებთ ფასის მინიმალურ ზღვარს ხანმოკლე პერიოდისათვის, რომლის დროსაც წარმოების პროცესის გაგრძელება არსებული სიმძლავრეების პირობებში ეკონომიკურად გამართლებულია.

ჩვენ მიერ განხორციელებული გაანგარიშების მიხედვით წარმოების საშუალო ზღვრული ფასი წარმოებული პროდუქციის ერთეულზე (ერთი ლიტრი რძე) ყველა ჯგუფის მეურნეობებში წლების მიხედვით შემდეგია:

დიაგრამა 18: წარმოების ზღვარი (საშუალო) წლების მიხედვით, ერთ ლიტრ რძეზე გაანგარიშებით




წყარო: საკუთარი კვლევა

მთლიან დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების დაბალი ხვედრითი წილის გამო, განსხვავება რენტაბელობისა და წარმოების ზღვრულ ფასებს შორის მცირეა.

რაც შეეხება წარმოების საშუალო ზღვრული ფასის სიდიდეს, იგი მეურნეობის ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა 19: რენტაბელობის ზღვარი (საშუალო) მეურნეობის ტიპების მიხედვით ერთ ლიტრ რძეზე გაანგარიშებით



წყარო: საკუთარი კვლევა


მეურნეობების ჯგუფებს შორის წარმოების ზღვრის ზრდის დინამიკა, რენტაბელობის ზღვრის ზრდის დინამიკის ანალოგიურია.

საბაზო ფასის, რენტაბელობის და წარმოების ზღვრების ზრდის დინამიკა, წლების მიხედვით, მოცემულია მე-20-ე დიაგრამაზე:

წარმოების ზღვარი ერთ ლიტრ რძეზე, წლების მიხედვით $5 \div 9$ თეთრის ფარგლებში მერყეობს, ხოლო რენტაბელობის ზღვარი იმავე სიდიდისათვის $4 \div 8$ თეთრის ფარგლებში.

ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მაქსიმალური სხვაობა საბაზო ფასსა და ზღვრულ ფასებს შორის წლების მიხედვით დაფიქსირდა 2009 წელს. შესაბამისად სხვაობამ საბაზო ფასსა და წარმოების ზღვარს შორის ერთ ლიტრ რძეზე შეადგინა 9 თეთრი, ხოლო სხვაობამ საბაზო ფასსა და რენტაბელობის ზღვარს შორის 8 თეთრი.

დიაგრამა 20: 1 ლიტრი რძის საბაზრო ფასის, რენტაბელობის და წარმოების ზღვრების (საშუალო) დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: საქუთარი კვლევა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დაგინდა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობა ეკონომიკურად მომგებიანი საქ-მიანობაა ფერმერებისათვის. თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მეძროხეობაში მოგება და მეწარმის მოგება ერთ ძროხაზე წელიწადში არ არის მაღალი. შესაბამისად, მეძროხეობით დაკავებულ მეურნეობებ-ზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უმნიშვნელო ცვლილებებიც, რომლებიც ზრდის პროდუქციის წარმოებაზე ფერმერის მიერ გაწეულ ხარჯებს, ან ამცირებს მის მოგებას (მაგ.: უხარისხო პროდუქცია).

ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფერმერები, რომლებიც მეძროხეობით არიან დაკავებულები, მაქსიმალური შედეგის მისაღებად ზედმიწევნით უნდა ფლობდნენ მეურნეობის საწარმოო პროცესებს და სწორად მართვდნენ მას. ვთვლით, რომ აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია, როგორც ფერმერთა გარჯა, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა, რაზედაც დეტალურად ვსაუბრობთ შემდგომ თავებში.

თავი 3. მემონეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები

3.1 მემონეობაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში, მემკენარეობისა და მეცხოველეობის დარგები ბოლო ათი წლის განმავლობაში თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი.

მეცხოველეობა და კონკრეტულად, მემონეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა ადმინისტრაციულ რაიონშია წარმოდგენილი, მაგრამ რიგ მთიან რაიონებში იგი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყარო.

სამცხე-ჯავახეთის მემონეობის მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად სასურველია საქართველოს მასშტაბით დარგის მოკლე მიმოხილვა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან შედარება.

მეცხოველეობა და კერძოდ, მემონეობა, ბოლო წლებში მსოფლიოში დინამიკურად ვითარდება. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება ძირითადად ინტენსიფიკაციის გზით ხდება. როგორც ცნობილია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 1%-ით გადიდება იწვევს ძროხის ხორცის წარმოების 2%-ით გადიდებას, ხოლო რძის წარმოება, ფურების საშუალო წველადობის გაზრდის ხარჯზე, დაახლოებით 3%-ით იზრდება. თუმცა ეს ზრდა, მოსახლეობის რაოდენობრიობის უფრო მაღალი ზრდის ტემპის ფონზე, დისპროპორციულია და კერა აკმაყოფილებს მასზე გაზრდილ მოთხოვნილებას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, 1 სულ მოსახლეზე ევროპაში იწარმოება ყველა სახის პირუტყვის 59.8 კგ ხორცი, 215 კგ რძე. აზიაში შესაბამისად, ხორცის წარმოება 24.6 კგ, რძის წარმოება 26 კგ. რძისა და ხორცის

წარმოებაში მოწინავეა ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, ავტრალია-ოკეანეთი. შესაბამისად, 1 სულ მოსახლეზე ჩრდილოეთ ამერიკაში იწარმოება: ხორცი 1020 კგ, რძე 203 კგ, სამხრეთ ამერიკაში შესაბამისად: ხორცი 77.8 კგ, რძე 133 კგ, ხოლო ავსტრალია-ოკეანეთში: ხორცი 189 კგ და რძე 167 კგ.

ფიზიოლოგიური ნორმა 1 სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში შეადგენს: ხორცსა და ხორცპროდუქტებზე -73კგ-ს, ხოლო რძეზე -365 კგ-ს.

საქართველოში ხორცის (მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის /მ.პ./ ხორცის), ასევე რძის, ადგილობრივ წარმოებას ბოლო 10 წლის კვლევით, კლებადი ტენდენცია გააჩნია. მართალია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით რძის და რძის პროდუქტების იმპორტი კლებულობს, მაგრამ ასევე კლებულობს მათი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარების მაღალი დონე დაფიქსირდა 2003 - 2004 წლებში და 31 - 33 კგ შეადგინა. მათ შორის მ.პ.-ის (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) ხორცის მოხმარებამ 2003 წელს 12 კგ შეადგინა, რძისა და რძის პროდუქტების მოხმარებამ 2002 - 2003 წლებში 239 კგ. აღნიშნულიდან საკუთარი წარმოების საუკეთესო მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე მიღწეულ იქნა: 2005 წელს ხორცისა - 37.8 კგ; 2003 წელს მ.პ.-ის ხორცისა - 11.7 კგ, 2004 წელს რძისა და რძის პროდუქტებისა - 183 კგ. ხორცისა და რძის ადგილობრივი წარმოებით ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მეცნიერულად განსაზღვრულ ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნას და საგრძნობლად ჩამოვრჩებით მოწინავე ქვეყნების მონაცემებს. შესაბამისად, ქვეყანა საჭიროებს აღნიშნული პროდუქტების იმპორტს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას და მის განვითარებას.

ხორცითა და რძით (რძის პროდუქტებით) თვითუზრუნველყოფის დონე 2000 - 2009 წლებში შემდეგნაირად გამოიყერება.

ცხრილი 16: თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი(%). ხორცი, რძე და რძის პროდუქტები

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ხორცი სულ	84	83	79	79	77	76	73	58	48	47
ხორცი მ.რ.კ.	96	94	88	87	86	87	81	73	68	76
რძე და რძის პროდუქტები	64	68	69	71	72	74	82	89	94	92

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის კრებული

ხორცისა და რძის წარმოების მიხედვით ქვეყანაში არსებული არა-სახარბიელო მდგომარეობა თვალსაჩინოა, თან გაუარესების ტენდენ-ციაც ახასიათებს. 2004 წლიდან 2009 წლამდე ხორცის ადგილობრივი წარმოება 103.8 ათასი ტონიდან 53.3 ათასი ტონამდე შემცირდა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა 47% შეადგინა. მ.რ.კ.-ის ხორცის წარმოება იმავე წლებში 46.7 ტონიდან 25.1 ტონამდე შემცირდა, თვით-უზრუნველყოფის კოეფიციენტმა კი 68% შეადგინა. რძისა და რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოება იმავე პერიოდისათვის შემ-ცირდა 750 ათასი ტონიდან 695 ათას ტონამდე, ხოლო თვითუზრუნველ-ყოფის კოეფიციენტმა 94% შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში დაფიქსირდა მოსახლეობის რიცხოვნე-ბის მცირე, მაგრამ ზრდა ზრდა 1.55 %-ით. ვფიქრობთ, მოცემული ციფრები არსებული სიტუაციის სიმწვავეზე ნათლად მიგვანიშნებს.

სტატისტიკური მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მ.რ.კ.-ის ხორცის წარმოება ქვეყანის მასშტაბით არსებული სიტუაციის ანალო-გიურია. რაც შეეხება რძის წარმოებას აქ უკეთესი მდგომარეობაა ქვეყნის მასშტაბით არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

მ.რ.კ.-ის ხორცის წარმოებასთან შედარებით რძის წარმოების ტენდენცია სამცხე-ჯავახეთში მზარდია. 2009 წლის მონაცემები აღემატება 2004 წლის მონაცემებს 19 %-ით და შესაბამისად, 58.7 ტონიდან 75.9 ტონამდე გაიზარდა. რაც შეეხება მ.რ.კ.-ის ხორცის

წარმოებას იმავე წლებში, იგი შემცირებულია 44 %-ით, შესაბამისად, 5.0 ტონიდან შემცირდა 2.8 ტონამდე.

რეგიონში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, შეინიშნება მ.რ.პ.-ის სულადობის შემცირება.

ცხრილი 17: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მ.რ.პ.-ის რაოდენობა (ათასი)

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	% 2009–2003
მ.რ.პ.	99.5	100.9	106.1	94.2	92.6	121.0	101.6	88.6	103.0	97
ფური	63.7	64.6	67.1	57.4	57.8	60.4	54.8	49.5	56	83

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის კრებული

ჩვენ ქვეყანაში მ.რ.პ.-ის რაოდენობრივ ზრდას, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია პროდუქტულობის ზრდა, ადგილობრივი რძისა და ხორცის წარმოების გადიდება საშუალო წველადობისა (იხ. ცხრილი 18) და წონამატის ხარჯზე, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნების ფერმერულ მეურნეობებში მიიღწევა. პირიქით, შეინიშნება ფურების საშუალო წველადობის მატება სულადობრივი შემცირების პარალელურად, რასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები გააჩნია.

ცხრილი 18: ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა (კგ. წელი)

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
საქართველო	935	1020	1040	1040	1020	1040	960	1170	1193
სამცხე- ჯავახეთი	1110	1065	1075	1090	1095	1170	1075	1450	1387

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის კრებული


2008 წელს 2004 წელთან შედარებით, საშუალო წველადობა გაიზარდა 173 კგ-ით (ფური/წელი), ხოლო 2000 წელთან შედარებით 258 კგ-ით. იმავე წლებში სამცხე-ჯავახეთში შემდეგი სურათი გვაქვს: 292 კგ ფური/წელი და 277 კგ ფური/წელი.

ფურების საშუალო წველადობის ზრდის მიზეზთაგან, ჩვენი დაკვირვებით, პირველ რიგში აღსანიშნავია ტენდენცია, რომ ოჯახურ მეურნეობებში ბოლო წლებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა არა საქონლის რაოდენობრივ ზრდას, არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდას, სულადობის სელექციას. ჩვენს მიერ

რეგიონში გამოკითხულ მეურნეობებში იგივე ტენდენციაა. აქ საშუალო წველადობამ წელიწადში 1700 კილოგრამს გადააჭარბა.

ჩვენ მიერ მეძროხეობის 36 მეურნეობაში ჩატარებული ხუთი წლის (2005-დან 2009 წლის ჩათვლით) კვლევის მონაცემებით, რეგიონში მეწველი ფურის საშუალო წლიური წველადობის დინამიკა, წლების მიხედვით, შემდეგნაირად იკვეთება:

დიაგრამა 21: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეწველი ფურის საშუალო წლიური წველადობა (კგ)



წყარო: საკუთარი კვლევა


როგორც დიაგრამიდან ჩანს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2005 წლიდან 2009 წლამდე ფურის საშუალო წლიური წველადობა 5%-ით, ანუ 74 ლიტრით გაიზარდა.

რაც შეეხება ფურის საშუალო წლიურ წველადობას, ჩვენ მიერ შერჩეული მეურნეობების ჯგუფების (ა- ძალიან მცირე მეურნეობა 1÷2 სული მეწველი ფურით, ბ - მცირე 3÷5 სული მეწველი ფურით, გ- საშუალო 6÷10 სული მეწველი ფურით და დ - დიდი მეურნეობა 10-ზე მეტი მეწველი ფურით) მიხედვით, წარმოდგენილია 22-ე დიაგრამაზე:

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ დიდი მეურნეობები (გ და დ ჯგუფი), რომლებიც რძის, ან რძის პროდუქტების რიალიზაციით არიან დაკავებულნი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფურის პროდუქტულობის ამაღლებას. ფურის საშუალო წლიური წველადობა, აღნიშნული

ჯგუფის მეურნეობებში, შესაბამისად, მაღალია მცირე მეურნეობების (ადა ბ ჯგუფი) ანალოგიურ მაჩვენებლებზე. აუცილებელია ადინიშნოს, რომ მეწველი ფურების პროდუქტულობას ყველა ჯგუფის მეურნეობაში მზარდი ტენდენცია ახასიათებს.

დიაგრამა 22: მეწველი ფურის საშუალო წლიური წველადობა (კგ), გამოკვლეული მეურნეობების ჯგუფების მიხედვით



წყარო: საბუთარი კვლევა

2009 წლის მონაცემებით და ჯგუფის მეურნეობებში ფურის საშუალო წლიური წველადობა აღემატება ა ჯგუფის მეურნეობებში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს 12%-ით, ანუ 209 ლიტრი რძით, შესაბამისად, ბ ჯგუფის მეურნეობებში არსებულ მონაცემს 9%-ით, ანუ 150 ლიტრით, ხოლო გ ჯგუფის მეურნეობების მონაცემს 7%-ით, ანუ 120 ლიტრი რძით ფურზე.

მე-18-ე ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიიღწევა შედარებით მაღალი წველადობა, ვიდრე ეს ქვეყნის მასშტაბითაა მიღწეული რაც ასევე ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა. აღნიშნული უპირველესად განპირობებულია საკმარისი და შედარებით უკეთესი სათიბ-საძოვრებით, რასაც დღესდღეობით მესაქოლეობის, ჩვენს შემთხვევაში კი მემროხეობის, განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ხალასი ჯიშის ძროხები რეგიონში თითქმის აღარ არიან, თუმცა მათ ძირითადად კავკასიური წაბლა ჯიშის გენეტიკა გააჩნიათ. კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხა კარგად ეგუება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გარემო პირობებს და მწირი კვებითაც საკმაოდ კარგი მერძეულობით ხასიათდება. მისი ცოცხალი მასა $400 \div 450$ კილოგრამია, მისი წლიური მონაწველი $2500 \div 3500$ კილოგრამის ფარგლებში მერყეობს. ცხიმიანობა – 3,9%; ცილა – 3,3%. დანართში 5, იხილეთ ჯიშის სტანდარტი ფურის სარძეო პროდუქტიულობის მიხედვით.

საკვლევი მეურნეობებიდან რამდენიმეში ძროხის წლიური წველადობა 2200 კგ-ს აჭარბებდა, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეურნეობებში ძროხების სწორედ შერჩევისას, მათი კვებისა და მოვლის პირობების ელემენტარული გაუმჯობესების შემთხვევაში, რეგიონში შესაძლებელია საშუალო წველადობის გაზრდა $2000 \div 2200$ კგ-მდე წელიწადში. რაც თავისთავად გაზრდის მეურნეობების ეკონომიკურ ეფექტიანობას 10-დან 20%-ამდე.

მაღალპროდუქტული ძროხის შერჩევა: სარძეო პროდუქტულობის სწრაფად გასაზრდელად სანაშენედ, ანუ ნახირის შესავსებად, დატოვებული უნდა იყოს იმ ძროხების ნამატი (დეკულები), რომლებიც ხასიათდებიან საშუალოზე მაღალი მონაწველით. რისთვისაც, ფერმაში სისტემატურად უნდა კონტროლდებოდეს ძროხიდან მიღებული რძის რაოდენობა (ტარდებოდეს საკონტროლო წველა) და შედეგები შეტანილ იქნეს სპეციალურ ჟურნალში. გარდა ამისა, მაღალპროდუქტული ძროხებისათვის მიზანშეწონილია გაიხსნას ინდივიდუალური ბარათები (იხილეთ დანართი 6), სადაც დეტალურად იქნება ჩაწერილი ინფორმაცია გენეტიკაზე, მოგება-დაგრილების კალენდარზე, ლაქტაციურ მონაწველზე, რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობაზე, პროფილაქტიკურ და სამკურნალო დამუშავებებზე და სხვა.

ჩვენი შეხედულებით ოჯახურ მეურნეობებში აქტიურად უნდა განხორციელდეს მაღალპროდუქტული ძროხის შერჩევა და წუნდებული, დაბალპროდუქტიული ძროხების დროული გამოწუნება. ამ გზით შედარებით იაფად და რაც მთავარია, ძირითადად საკუთარი შესაძლებლობებით მეურნეობებს შეეძლებათ თავიანთ მეურნეობებში მიაღწიონ ძროხების მაღალ პროდუქტულობას. მაღალპროდუქტული ძროხის შერჩევა შესაძლებელია გარეგნული ნიშნებით, ექსტერიერით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაღალპროდუქტული ძროხების შერჩევისა და გამრავლების საქმიანობა წარიმართოს არა მხოლოდ ცალკეულ მეურნეობებში, არამედ თემებში, უმჯობესია ასოციაციების ტიპის ფერმერულ გაერთიანებებში, სადაც ინტენსიურად წარიმართებოდა ზემოთ მოყვანილი მეთოდით გამორჩევა, მაღალპროდუქტიული ძროხების გამრავლება.

ფერმერულ მეურნეობებს შეუძლიათ მაღალპროდუქტული ძროხების შეძენა, გამრავლება ქვეყნის შიგნით მათი მოძიება-სელექციით, ან მეცნიერთა კონსულტაციით რეგიონში არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით მათი უცხოეთიდან შემოყვანა. როგორც წესი, ქვეყნის შიგნით მაღალპროდუქტული ძროხების მოძიება-შესყიდვა ფერმერულ მეურნეობებს შედარებით იაფი უჯდებათ, საზღვარგარეთიდან შემოყვანასთან შედარებით. ამავდროულად პირუტყვი სწრაფად გადის ახალ გარემოსთან ადაპტაციას და ტრანსპორტირებით გამოწვეული სტრესიდანაც მაღე გამოდის.

საზღვარგარეთიდან მაღალპროდუქტიული პირუტყვის შემოყვანა ფერმერთა დიდ უმრავლესობას შედავათიანი და გრძელვადიანი საკრედიტო სისტემის გარეშე არ შეუძლიათ. გარდა პირუტყვის მაღალი ღირებულებისა, მათი საზღვარგარეთიდან შემოყვანის დროს მნიშვნელოვანია სათანადო საკვები ბაზის და მოვლა-შენახვის

პირობების შექმნა. მათი არარსებობის შემთხვევაში მეურნეობისთვის აღნიშნული საინვესტიციო ხარჯების გაწევა მეტად სარისკოა.

მაღალპროდუქტული ძროხების მისაღებად ზოოტექნიკური დონის-ძიებების გატარება, დათესვლა/ხელოვნური განაყოფიერება რეგიონის ფერმერთა უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომია. დღესდღეობით აღნიშნული მომსახურება ერთი ძროხაზე $40 \div 50$ ლარის ფარგლებში მერყეობს. რეგიონში აღნიშნულ დონისძიებაზე მოთხოვნა თანდათან მატულობს. ხელოვნური განაყოფიერების დროს აუცილებელია სწორად შეირჩეს ჯიში. ჩვენი აზრით, ცალკეულ ფერმერებს ჯიშის სწორად შერჩევა და თანდათანობით ხალასი ჯიშის მიღება გაუჭირდებათ. აღნიშნული დონისძიება გაადვილდება ფერმერული გაერთიანებების შემთხვევაში.

გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია რეგიონში დაარსდეს სანაშენე მეურნეობა, რომლის მთავარი საქმიანობა ადგილობრივი ჯიშების (ძირითადად კავკასიური წაბლა ჯიშის) გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. სანაშენე მეურნეობის მოწყობა დიდ ხარჯებს და რა თქმა უნდა, სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს, რაც რეგიონში მოქმედ ცალკეულ ფერმერებს არ გააჩნიათ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, მძლავრი ფერმერული გაერთიანებების წახალისება და ჩამოყალიბება, რაშიც მთავარი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

ნახირის სტრუქტურა: რეგიონის თემების უმეტესობაში მიღებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთიან ნახირში/ჯოგში საძოვარზე გაყვანა, სადაც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ბუღა მწარმოებელია. არ ხდება ჯიშიანი ბუღა მწარმოებლის გამორჩევა, ხოლო დანარჩენის კასტრაცია, ან ერთიანი ნახირიდან მოშორებით ყოლა. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეუძლებელია ცალკეული მეურნეობების (რომლებსაც პირუტყვი ერთიან ნახირში გაჰყავთ)

პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის რაიმე დონისძიებების გატარება. დიდი ალბათობაა, მეურნეობების მხრიდან ძროხის ჯიშის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯების დაკარგვისა.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ფერმერთა გარკვეულ ნაწილს მათ საკუთრებაში არსებული ძროხების ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე ზრუნვაში სწორედ აღნიშნული პრობლემა უშლით ხელს.

თემის საერთო ნახირით მოსარგებლე მეურნეობებისათვის, რომლებსაც სურთ თავიანთ საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება, აუცილებელია ნახირის სტრუქტურის კონტროლი. სათემო ნახირში უნდა შეირჩეს ჯიშიანი ბუღა მწარმოებლები, დანარჩენს კი ჩაუტარდეს კასტრაცია, ან მოცილებულ იქნეს საერთო ნახირიდან.

იმ მეურნეობებმა, რომლებიც არ სარგებლობენ თემის საერთო ნახირით და საკუთარ პირუტყვს თვითონ მწყემსავენ, უნდა იყოლიონ ჯიშიანი ბუღა მწარმოებელი, ან შესაბამის დროს მოიყვანონ იგი სხვა მეურნეობიდან. მათ ასევე უკეთესი შესაძლებლობა გააჩნიათ ხელოვნური განაყოფიერებით სარგებლობისა, ვიდრე თემის საერთო ნახირით მოსარგებლე მეურნეობებს.

რაც შეეხება ნახირის სტრუქტურაში მეწველი ფურების პროცენტულ თანაფარდობას, ის ჩვენი წარმოებული კვლევით 40-60%-ის ფარგლებშია. არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეწველი ფურების პროცენტული თანაფარდობა მთლიანი ნახირის სტრუქტურაში გაიზარდოს 70-80%-ამდე, ხოლო მარცვლეულის წარმოების სიახლოეს (ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმიდა) განვითარდეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი მეურნეობები, რეგიონში არსებული მოზარდის შესყიდვის საფუძველზე.

ცხოველთა დანომრვა, აღრიცხვიანობის წარმოება: ნომერი აუცილებელია ცხოველის წარმოშობის დასადგენად და მასზე სხვა ზუსტი ცნობების (მაგალითად დაბადების და დაგრილების თარიღი) მისაღებად. დანომრვა შეიძლება ტატუირებით, სპეციალური ყელსაბამებით, ყურის დასერვით, რქების ამოწვით, თხევადი აზოტით და სხვა.

ევროგაერთიანების ქვეყნების სტანდარტით ძროხას ნომრავენ ყვითელი ფერის პოლიმერული მასალისაგან დამზადებული საყურეთი, რომლის ფირფიტაზე წარწერა (ციფრები) შავი ფერისაა.

მეურნეობები აღნიშნულ ღონისძიებას ნაწილობრივ ახორციელებენ. კვლევის შედეგების მიხედვით, ძროხების (პირუტყვის) სხვადასხვა სახით ნუმერაციას (ყურის დასერვით, სპციალური ყელსაბამითა და ა.შ.) ახორციელებენ შედარებით დიდი მეურნეობები (გ და დ ჯგუფი).

რეგიონში მსგავსი ღონისძიების ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში. ვეტერინარულ-საკონსულტაციო ასოციაცია “ჯანმრთელობაშ” 2006 – 2007 წლებში შეძლო დაენომრა ბორჯომის რაონის მსხვილფეხა პირუტყვის დაახლოებით 90% და დაერეგისტრირებინა ფერმერული მეურნეობების უმეტესობა. პროექტით გათვალისწინებული პერიოდის გასვლის შემდგომ პირუტყვის ნუმერაციისა და ფერმერული მეურნეობების რეგისტრაციის საქმიანობა ადგილობრივმა მეურნეობებმა თავიანთი ძალებით ვეღარ განაგრძეს. ორწლიანმა დიდმა შრომაშ პრაქტიკულად უშედეგოდ ჩაიარა. რეგიონის და მითუმეტეს ქვეყნის, მასშტაბით ჩვენი აზრით აუცილებელია პირუტყვის სავალდებულო ერთიანი ნუმერაციის სისტემის შემოღება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთიანი ნუმერაციის არარსებობა ხელს არ უშლის ფერმერებს, მათ საკუთრებაში არსებულ პირუტყვთან დაკავშირებით რეგულარული ჩანაწერების წარმოებაში, რაც ასე აუცილებელია, მეურნეობის, განსაკუთრებით მემროხეობის განვითარებისათვის. ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმა-

ციას, როგორიცაა: გენეტიკა, ასაკი, მოგებების რაოდენობა, ვეტერინარული დონისძიებები, მოგება-დაგრილების კალენდარი, პროდუქტულობა და სხვა (იხ. დანართი 6).

3.2 საკვები ბაზის არსებული მდგომარეობა და მისი გამტკიცების გზები


მესაქონლეობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, საკვები ბაზის განმტკიცებასთან არის დაკავშირებული, რადგან პირუტყვის პროდუქტულობის გადიდების ყველაზე მძლავრ ბერკეტს მტკიცე საკვები ბაზა და პირუტყვის რაციონალური კვება წარმოადგენს.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ოთხკამერიანი კუჭის საშუალებით ადგილად გადაამუშავებს უჯრედანის დიდი რაოდენობით შემცველ საკვებს: თივას, ჩალას, ნამჯას, აგრეთვე სილოსს, სენაჟს, საძოვრის ბალახს და მოთიბულ მწვანე მასას. თუმცა საჭიროა სათანდო ყურადღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების საკვებით მოწამვლის შემთხვევები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მისი არასწორი შენახვით, ან მოსავლიანობის გადიდების მიზნით სათიბ-საძოვრებზე პესტიციდების და შხამქიმიკატების არასწორი გამოყენებით.

დღესდღეობით რეგიონის მეურნეობების დიდ უმრავლესობაში, საკვები რაციონის შემადგენელი კომპონენტების ხარისხის გაუმჯობესებას, ულუფის სრულფასოვნებას და ნაირსახეობის უზრუნველყოფას პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა. ამასთან ხშირ შემთხვევაში არ არის დაცული საკვები კულტურების მოსავლის აღების, ტრანსპორტირების და შენახვის პირობები, რაც იწვევს, როგორც მოსავლის, ისე მოსავალში საკვები ნივთიერებების დიდ დანაკარგებს (15÷25% და ზოგჯერ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებლით).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურენო სავარგულების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სათიბ-საძოვრებს (მონაცემები მოცემულია ცხრილი 1-ში და დიაგარმაზე 23).

დიაგრამა 23: სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში (ათასი ჰა)



წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

დიაგრამის პირველი ფრაგმენტის გარე წრეზე მოცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის სტრუქტურა, შიდა წრეზე კი გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ფართობის სტრუქტურა. მეორე ფრაგმენტზე მოცემულია იგივე ფართობი, სტრუქტურული დაყოფის გარეშე.

პირველი საკვები ბაზის შექმნაში ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს ტრადიციულად ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ექაგ. დღესდღეობით, რეგიონში არსებული სურათით, როდესაც მინდვრად საკვებწარმოება დაბალპროდუქტულია, საკვებწარმოების ნაცვლად გვაქვს საკვებმოპოვება და აქედან გამომდინარე, მესაქონლეობა ექსტენსიურ ხასიათს ატარებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რეგიონში (ზოგადად ქვეყანაშიც) ტრადიციულად საკვებწარმოების დონე დაბალი იყო. თვალშისაცემი იყო საკვები კულტურების არარაციონალური სტრუქტურა, ნათესებში უგულებელყოფილი იყო აგროტექნიკური დონისძიებები. საკვები კულტურები ითესებოდა მწირ, სუსტად განვითარებულ დაბალნაყოფიერ ნიადაგებზე, დროულად არ ტარდებოდა აგროტექნიკური დონისძიებები, ირლვეოდა საკვების დამზადების ვადები, ტექნოლოგიის დარღვევით ხდებოდა მისი გადაზიდვა, შენახვა-დაბინავება, რის გამოც უარესდებოდა საკვების ხარისხი, დიდი იყო საკვები ნივთიერებების დანაკარგები.

გამოკვლევებიდან ჩანს, რომ შესწავლილი მეურნეობებიდან არც ერთი არ იკვლევს საკვებ ბაზას. არადა იგი სისტემური და თანმიმდევრული უნდა იყოს და მოიცავდეს ძირითადად ყველა სახის საკვებს.

მეურნეობების მიერ წარმოებულმა საკვებმა, სხვადასხვა სახის საკვების ისეთ თანაფარობას უნდა მიაღწიოს, რომ რაციონი შესაბამისად იყოს დაბალანსებული ძირითადი ნივთიერებებით: ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით და მინერალური მარილებით.

არსებული მდგომარეობით მეურნეობების მიერ პირუტყვისათვის დამზადებული საკვები ულუფის დიდ ნაწილი იაფი, უხეში საკვებია, რაც ვერ უზრუნველყოფს პირუტყვის პროდუქტულობის ზრდას და საბოლოოდ მეურნეობის მაღალ შემოსავლებს. აუცილებლობას წარმოადგენს მინდვრად მაღალხარისხიანი საკვების წარმოების შექმნა და მისი ინტენსიფიკაცია.

საკვები ბაზის განმტკიცების ისეთი მნიშვნელოვანი რეზერვების ამოქმედება, როგორიცაა სანაწვერალო, შუალედური (მაგ.: რაფსი, ტურნეფსი) კულტურების თესვა, დაბალნაყოფიერი, მიტოვებული მიწების ათვისება-გაკულტურება, მარცვლეული კულტურების თანმდევი პროდუქციის დროული შეგროვება-დაზვინვა, ველური ბალახების და

ბადჩეულ-ბოსტნეულის მაქსიმალურად გამოყენება, სენაჟის წარმოება და სხვა, თითქმის არ ხორციელდება.

ზამთრის პერიოდში საკვები რაციონის ბალანსში ცილის უზარმაზარი დეფიციტია ($40\%-60\%$ -მდე). არასათანადო კვების შედეგად პირუტყვი იკლებს ცოცხალი მასის $8\%-12\%$ -ს ($25\div 35$ კგ-ს) და უფრო მეტსაც, რის აღსაღენადაც ზაფხულის პერიოდში, დღეში 500 გ.-იანი წონამატის შემთხვევაშიც, საჭიროა $50 - 70$ დღე.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ გაუმჯობესებული კვების პირობებში ფურის პროდუქტულობა იზრდება $30\div 60\%$ -ით, ე.ი. 2000 კგ-რძის პოტენციური პროდუქტულობის ფურისაგან არასათანადო კვების პირობებში ვერ ვიდებთ 600 -დან 1200 -კგ-მდე რძეს⁸.

წლის ყველა სეზონში ფურების სრულფასოვანი კვება ბერწიანობის აღმოფხვრის და სიცოცხლისუნარიანი, ნორმალურად განვითარებული ნამატის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. გარდა ამისა, არასრულფასოვანი კვება, ხშირ შემთხვევაში წარმოშობს სხვადასხვა დაავადებას, რაც დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს მეურნეობებს.


სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ძირითადად ბაგურ-საძოვრული და ბაგურ-მთაბარული წესით ინახავენ. პირველის შემთხვევაში საძოვრები სოფელთან (მეურნეობასთან) ახლოს მდებარეობს (ასეთი სურათია ძირითადად ჯავახეთში), ხოლო მეორე შემთხვევაში საძოვრები მეურნეობიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული (ასეთი სურათია ძირითადად სამცხეში). სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სათიბ-საძოვრების დიდი ნაწილი სუბალპურ და ალპურ ზონაშია განლაგებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ზაფხულში იმყოფება ალპურ საძოვრებზე, ხოლო ზამთარში, რეგიონში არსებული მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე,

⁸ ცხოველთა კვებისა და საკვებწარმოების დარგის სტრუქტურული ხედვა, ჯ.დუდუშაური, http://www.agro.ge/index.php?content=fil_1225044186&lang=ge

ბაგაზე. ბაგასა და საძოვარზე ყოფნის პერიოდი წლის განმავლობაში თითქმის თანაბრადაა განაწილებული და იგი 6÷6 თვეს შეადგენს.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ შესასწავლ მეურნეობებში საკვები ულუფის პროცენტული შემადგენლობა ძროხაზე, წლის განმავლობაში, შემდეგია:

თვალსაჩინოება 3: ძროხის ულუფის შემადგენლობა (%-ში)




წყარო: მეურნეობებიდან მოპოვებული მონაცემები

როგორც თვალსაჩინოებაზეა ასახული, ძროხის საკვები რაციონის ძირითადი ნაწილი უხეშ საკვებზე მოდის (თივა, ჩალა, ნამჯა). თუმცა უხეში საკვების ძირითადი კომპონენტი (90% და მეტი) თივაა.

ძროხისათვის წლის განმავლობაში მიცემული უხეში საკვების საშუალო მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:


დიაგრამა 24: წლის განმავლობაში ძროხისათვის მიცემული უხეში საკვები (კგ)



წყარო: საკუთარი კვლევა

2005 წლიდან 2009 წლამდე ერთ სულ ძროხაზე წლის განმავლობაში მიწოდებული უხეში საკვები მასის ოდენობის ზრდამ 63 კილოგრამი შეადგინა.

გამოკითხვის შედეგებით, მეურნეობების ჯგუფებში წლის განმავლობაში ძროხების უხეში საკვებით გამოკვებას შემდეგი სახე აქვს.
დიაგრამა 25: წლის განმავლობაში ძროხისათვის მიცემული უხეში საკვები (კგ), მეურნეობის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საკუთარი კვლევა

ძროხისათვის მიცემული უხეში საკვების რაოდენობა წლების მიხედვით ყველა ჯგუფის მეურნეობაში მცირედით, თუმცა მზარდია. 2009 წლის მონაცემებით, და ჯგუფის მეურნეობებში ძროხისათვის მიცემული უხეში საკვების საშუალო მონაცემები 150 კგ-ით (10%-ით) აღემატება ა ჯგუფის იმავე მონაცემებს, 133 კგ-ით (8%-ით) ბ ჯგუფის მონაცემებს, ხოლო 55 კგ-ით (3%-ით) გ ჯგუფის მონაცემებს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მესაქონლეობის საკვები ბაზის შექმნის რესურსები მრავალფეროვანია. მათგან გადამწყვეტად ჩვენ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების და მინდვრად საკვებწარმოების გაუმჯობესება მიგვაჩნია. ქვემოთ ცალ-ცალკე მიმოვინალავთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ნიადაგის, საფურაუე მარცვლეულის, მინდვრად საკვებწარმოების, ბუნებრივი სათიბ-საძოვრების არსებულ

მდგომარეობასა და მათი გაუმჯობესების გზებს, ასევე პირუტყვის მინერალური ნივთიერებებით და წყლით მომარაგების მნიშვნელობას.

ნიადაგის არსებული მდგომარეობა: ცნობილია, რომ საკვები ბაზის მოწყობისას უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის შემადგენლობას. სწორედ მისი ქიმიური შემადგენლობა განაპირობებს მცენარეულ საფარს, მის განვითარებას და კულტურების მოსავლიანობას. რაც მეტია საჰექტარო მოსავლიანობა, მით უფრო მეტად მცირდება წარმოებული პროდუქციის თვითდირებულება. ნიადაგის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ორგანული ნივთიერებების წარმოშობა, ჰუმური და მისი რაოდენობა. სისტემატური ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ნაყოფიერებას. ამისათვის პერიოდული ღონისძიებებია გასატარებელი, გასამდიდრებელია ნიადაგი ორგანული და არაორგანული ნივთიერებებით, გასანთავისუფლებელია სარეველებისგან და ა.შ.

ნიადაგის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია ცალკეული ნაკვეთისთვის სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება, რომელშიც აღნიშნული იქნება კულტურათა თესვა-მოყვანის მორიგეობა. ცნობილია, რომ ერთსა და იმავე ნაკვეთზე, მაგალითად, სათოხნი კულტურების ხანგრძლივი მოყვანა იწვევს ნიადაგის გამოფიტვას, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება ჰუმურის რაოდენობა და შესაბამისად, მცენარეთა მოსავლიანობა. მრავალწლიანი პარკოსანი ბალახების გამოყენება და ნაკვეთზე მორიგეობითი სისტემის შემოღება, დადებით შედეგს იძლევა.

აღნიშნული და სხვა, ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებები რეგიონში სათანადოდ, რომ არ ხორციელდება, ჩანს კულტურების დაბალი მოსავლიანობიდან. მაგლითად, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მერყეობს $1.0 \div 1.5$ ტონა/ჰა-ს შორის, როცა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებით (არ იგულისხმება მინერალური სასუქები) შესაძლებელია ჰექტარზე

2.0÷3.0 ტონა მოსავლის მიღება. ცნობილია, რომ მრავალწლიანი და ერთწლიანი პარკოსანი ბალანსის გამოყენება და ნაკვეთზე მონაცელეობითი სისტემის შემოღება დადებით შედეგს იძლევა. პარკოსანი მცენარეების გათიბვის შემდეგ მიწაში რჩება $200\div 250$ კგ აზოტი. ამ მეთოდით ნიადაგში დაგროვილი აზოტი უკეთეს ზემოქმედებას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, ვიდრე ქარხნული წესით დამზადებული აზოტი. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიება მეურნეობების ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ფულადი დანაზოგიცაა.

საფურაული მარცვლეული/კონცენტრირებული საკვები: წლების განმავლობაში ქვეყანაში დამყარდა თავთავიანი მარცვლეული კულტურებით დაკავებული ფართობების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, ხორბლის ნათესი ფართობი 2008 წელს, 2001 წელთან შედარებით, შემცირდა 67.2 ათასი ჰექტარი (58%-ით) და 48.6 ათასი ჰექტარი შეადგინა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, აქ 2001 წელს ხორბლის ნათესმა ფართობმა, მცხეთა-მთიანეთის და იმერეთის რეგიონებთან ერთად, 11.4 ათასი ჰექტარი შეადგინა, 2008 წელს კი ეს მონაცემი შემცირდა 7.4 ათასი ჰექტარი (65%-ით) და სულ რაღაც 4.0 ათას ჰექტრი შეადგინა. 2008 წელს მთელ ქვეყანაში ქერის ნათესი ფართობი 30.4 ათასი ჰექტარი იყო, რაც 2001 წლის ანალოგიურ მონაცემებთან მიმართებაში შემცირებულია 15.2 ათასი ჰექტრით (33%-ით). იმავე წლებში ქერის ნათესი ფართობის შემცირება დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. აქ ქერით დაკავებული ფართობი 2001 წელს 15.6 ათასი ჰექტარი იყო, 2008 წელს იგი შემცირდა 10.4 ათას ჰექტრამდე, ანუ 5.2 ათასი ჰექტრით (33%-ით).

გარდა თავთავიანი მარცვლეული კულტურებით დაკავებული ფართობის შემცირებისა, შეინიშნება ასევე მათი საშუალო საკექტო მოსავლიანობის შემცირება. ხორბლის საშუალო საკექტო მოსავლიანობა ქვეყანაში 2001 წელს შეადგენდა 2.7 ტ/ჰა-ს. 2008 წლისთვის იგი

შემცირდა 1.7 ტ/ჰა-მდე (27%-ით). რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხორბლის საშუალო საპექტო მოსავლიანობას, მან 2008 წლისათვის შეადგინა 1 ტ/ჰა-ზე, რაც 2001 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით შემცირებულია პექტარზე 1.2 ტ-ით, მთელი 55%-ით. ქვეყანაში შემცირდა ასევე ქერის საშუალო საპექტო მოსავლიანობა, თუმცა არა ისეთი მაღალი მაჩვენებლით, როგორც ხორბლის მოსავლიანობა. 2008 წელს ქვეყანაში ქერის საშუალო საპექტო მოსავლიანობამ შეადგინა 1.6 ტ/ჰა-ზე, რაც 2001 წლის ანალოგიურ მონაცემთან მიმართებაში პექტარზე 0.6 ტ-ით, ანუ 27%-ით შემცირდა. რაც შეეხება ქერის საშუალო საპექტო მოსავლიანობის მონაცემებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იმავე პერიოდისათვის დაფიქსირდა მცირედით მზარდი ტენდენცია. 2008 წელს ქერის საშუალო საპექტო მოსავლიანობამ რეგიონში შეადგინა 2.4 ტ/ჰა-ზე, რაც აღემატება 2001 წლის ანალოგიურ მონაცემს 0.2 ტ/ჰა-ით (8%-ით).

სხვა მარცვლეული კულტურების მოყვანა რეგიონში (მაგ.: შვრია, სიმინდი) იმდენად მცირეა, რომ არსებით როლს ვერ ასრულებს სამეურნეო საქმიანობაში.

დღესდღეობით მარცვლეული კულტურების წარმოება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ისეა შემცირებული, რომ ბოლო წლებში თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 10%-ზე დაბალია. ასეთ პირობებში ძნელია საუბარი ადგილობრივი საფურაუე მარცვლეულის წარმოების გადიდებაზე, მაგრამ ეს აუცილებელია.

ბოლო წლების მიხედვით, ადგილობრივი მარცვლეულის წარმოების კატასტროფულად შემცირების გამო, მასზე ფერმერული მეურნეობების (საფურაუე მარცვლეულს) მხრიდან ხელმისაწვდომობა შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მექროხეობა ექსტენსიური გზით ვითარდება, პირუტყვის საკვებ რაციონში კომბინირებულ საკვებს (საფურაუე მარცვლეულს) მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

2008 წელს, 2001 წელთან შედარებით სქართველოში, ხორბლის წარმოებამ შეადგინა 26% (80.0ათ.ტ.), ქერის წარმოებამ 50% (49.3ათ.ტ.), შვრიის წარმოებამ 11% (1.0ათ.ტ.). სამცხე-ჯავახეთში ქერის წარმოებამ იმავე წლებს 71%-ს ანუ 24.6 ათას ტონას მიაღწია, რაც მთლიანად საქართველოში ნაწარმოები ქერის თითქმის 50%-ია.

ცხრილში 19 მოცემულია ქვეყნის მასშტაბით ხორბლის, ქერის და შვრიის წარმოება. ხოლო ცხრილ 20-ში მოცემულია ქერის წარმოება სამცხე-ჯავახეთში. სამწუხაროდ, რეგიონის ჭრილში ხორბლის და შვრიის წარმოების მონაცემები სტატისტიკური სამსახურის კრებულებში მოცემული არ არის.

ცხრილი 19: საქართველოში ხორბლის, ქერის და შვრიის წარმოება (ათ. ტ.)

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2009 წ. %-ობით 2001 წელთან
ხორბალი	306.5	199.7	225.4	185.8	190.1	69.7	74.9	80.3	53.9	18
ქერი	98.9	57.5	48.3	61.3	65.4	30.6	40.3	49.3	19.9	20
შვრია	9.5	4.2	6.2	4.8	2.8	1.3	1.6	1.0	4.2	44
სულ	414.9	261.4	279.9	251.9	258.3	101.6	116.8	130.6	78.0	19

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2009 წლის კრებული

ცხრილი 20: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქერის წარმოება (ათასი ტ.)

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2009 წ. %-ობით 2001 წელთან
ქერი	34.7	28.3	12.3	23.9	21.5	10.2	19.7	24.6	11.6	33

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2009 წლის კრებული

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მარცვლეული კულტურების (ზოგადად მინდვრის კულტურების) გავრცელება და მოსავლიანობა ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჯავახეთი, სამცხესთან შედარებით, უფრო მკაცრი კლიმატური პირობებით ხასიათდება. ამიტომ აქ თავთავიანი მარცვლეულიდან გავრცელებულია ქერი, რომლის საშუალო საკექტარო მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია. გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით ქერის საშუა-


ლო საპექტარო მოსავლიანობა აქ 2.5 ტონას შეადგენს, ხოლო სამცხე-ში 2 ტონას. ხორბალი ჯავახეთში კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ნაკლებადაა გავრცელებული. ხორბალს თესავენ ძირითადად სამცხეში, თუმცა ბოლო წლების საშუალო საპექტრო მოსავლიანობა აქ ძალზე დაბალია და პექტარზე 1-დან 1.5-ტონამდე მერყეობს.

მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლიანობა ზრდის მათ თვითდირებულებას, რაც საბოლოოდ მათ საბაზრო ფასებზე აისახება.

რეგიონში ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, ფასები მარცვლეულზე წლის განმავლობაში ცვალებადია. მოსავლის აღების დროს შედარებით დაბალია, შემდეგ პერიოდში მას თანდათან მზარდი ტენდენცია აქვს. 1 კგ ხორბლის ფასი სამცხე-ჯავახეთში 2009 წლისათვის 45-დან 55 თეთრამდე მერყეობდა, ქერისა 40-დან 55 თეთრამდე.

წარმოებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მეურნეობებში ძროხებს ძირითადად მარცვლეულის ქატო მიეწოდებათ. ქატოს ყუათიანობა, როგორც ცნობილია, დაბალია და ვერ აკმაყოფილებს მეწველი ძროხების მოთხოვნებს შესაბამის საკვებ ნივთიერებებზე. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევით, პირუტყვისთვის მიცემული კონცენტრირებული საკვების რაოდენობა წლის განმავლობაში შემდეგია:


დიაგრამა 26: წლის განმავლობაში ძროხისათვის მიცემული კონცენტრირებული საკვები (კგ)



წყარო: მეურნეობებიდან მოპოვებული მონაცემები / დამუშავებული

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის მონაცემი აღემატება 2005 წლის მონაცემს 19 კგ-ით, ერთი წლის განმავლობაში ძროხის გამოსაკვებად საშუალოდ 119 კგ კონცენტრირებული საკვები ძალიან მცირეა. კონცენტრირებული საკვებით ძროხების გამოკვება ძირითადად ბაგურ პერიოდში წარმოებს, დღიური ულუფა $0.5 \div 2$ კილოგრამის ფარგლებში მერყეობს და ისიც არარეგულარულია.

დიაგრამა 27: წლის განმავლობაში ძროხისათვის მიცემული კონცენტრირებული საკვები (კგ), მეურნეობის ჯგუფების მიხედვით



წყარო: მეურნეობებიდან მოპოვებული მონაცემები / დამუშავებული კონცენტრირებული საკვებით ძროხების კვების მხრივ საინტერესოა ბ ჯგუფის მეურნეობებში არსებული მდგომარეობა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სხვა ჯგუფის მეურნეობებისაგან განსხვავებით, აქ კონცენტრირებული საკვების გამოყენების საგრძნობლად მზარდი ტენდენციაა. დ ჯგუფის მეურნეობებში კოცენტრირებული საკვებით ძროხების კვების საშუალო მონაცემები (125 კგ/წელი) თითქმის ორჯერ აღემატება ა ჯგუფის მეურნეობების იმავე მონაცემებს (64 კგ/წელი). ბ და გ ჯგუფის მონაცემები ხუთი წლის ($2005 \div 2009$) მიხედვით ერთმანეთთან ახლოს დგას, 2009 წლის მონაცემები კი ორივე ჯგუფის მეურნეობაში თანაბარია (112 კგ/წელი).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეურნეობებში კონცენტრირებული საკვებით ძროხების გამოკვება არადამაკმაყოფილებელია ყველა სიდიდის

მეურნეობაში. მეურნეობებში აღნიშნულის მთავარ მიზეზად ფულადი რესურსების სიმცირეს მიიჩნევენ. ისინი ვერ ახერხებენ კომბინირებული საკვების (მარცვლეულის) შეძენას იმ პერიოდისათვის, როდესაც მათზე ფასები დაბალია. ივლისსა და აგვისტოში (მარცვლეულის აღების დროს) ფერმერებს წარმოებული პროდუქციის (ყველის) ძირითადი ნაწილი გასაყიდი აქვთ და არ გააჩნიათ საკმარისი თანხები მთელი წლისათვის საჭირო კომბინირებული საკვების შესაძენად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2010 წელს ფასები მარცვლეულზე, 2009 წელთან შედარებით, გაორმაგდა. რაც ფერმერთა მხრიდან მეურნეობებში მარცვლეულის მოხმარებას სავარაუდოდ შეამცირებს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მესაქონლეობით დაკავებულმა ფერმერებმა, რომლებსაც აქვთ რესურსები თვითონ აწარმოონ მარცვლელი კულტურები საკუთარი საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად და გასაძლიერებლად, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და ამაში მათ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. მაგალითად, გასცეს სუბსიდირება საწვავ-საცხები მასალების შესაძენად, როგორც ეს ზოგირეთი ევროკავშირის წევრ ქვეყანაშია. იქ ფასები საწვავ-საცხებ მასალსა და ენერგიის სხვა წაყაროებზე (დენი, გაზი) სასოფო-სამეურნეო დანიშნულების მეურნეობებისათვის შედარებით დაბალია მათზე ქვეყანაში არსებულ ფასებთან შედარებით. მაგალითად, დიზენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის სხვა ფასისა და ფერისაა (შესაბამისად, გამონაბოლქვის ფერიც ჩვეულებრივისაგან განსხვავდება, რაც მის მიზნობრივ გამოყენებას უზრუნველყოფს).

იმ ფერმერებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა თვითონ აწარმოონ საფურაუე მარცვლეული, საინტერესოდ მიგვაჩნია, რეგიონში საფურაუე მაცვლეულის საწყობის მოწყობა, საიდანაც

მათთვის შესაძლებელი იქნება შედავათიან ფასებში გაიტანონ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის საფურაუ მარცველეული.

ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფერმერული გაერთიანებების ოოლი, რადგან თანამშრომლობა ფერმერულ გაერთიანებებსა და სახელმწიფოს, თუ სხვა სუბიექტებს, შორის შედარებით იოლია, ვიდრე უშუალოდ ფერმერებთან.

ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები: მესაქონლეობის განვითარებისათვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი ცილოვანი დეფიციტის შესავსები ერთწლიანი, მრავალწლიანი ბალახების და საკვები ძირხვენების წარმოება რეგიონში ბოლო წლებში ისევეა შემცირებული, როგორც მარცვლოვანი კულტურებისა. საგულისხმოა, რომ საქართველოში რეგიონალურ ჭრილში ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების წარმოების მხრივ სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლის რეგიონთან ერთად, უკეთესი მონაცემები გააჩნია, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობასა და მრავალწლიანი ბალახების წარმოების თანაფარდობის მხრივ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი უკეთესი მაჩვენებელით ხასიათდება, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით. რაც შეეხება მონაცემებს საკვები ძირხვენების წარმოებაზე, იგი სტატისტიკის დეპარტამენტის კრებულებში ქვეყნის მასშტაბითაა მოცემული და მასზე რეგიონულ ჭრილში საუბრისას, მხოლოდ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს დავეყრდნობით.

წლების მიხედვით (ცხრილი 21) სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ბალახებით დაკავებული ფართობები მცირდება. საშუალო საჭექტარო მოსავლიანობის შემცირების ტენდენცია გააჩნია ორივე, ერთწლიანსა და მრავალწლიან ბალახს. მრავალწლიანი კულტურებიდან, რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ესპარცეტი და იონჯა.

ცხრილი 21: ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახაბით დაკავებული ფართობი და მათი საშუალო მოსავლიანობა

დაკავებული ფართობი (ათასი ჰექტარი)								
	ერთწლიანი ბალახები				მრავალწლიანი ბალახები			
წლები	2003	2005	2007	2009	2003	2005	2007	2009
სამცხე-ჯავახეთი	9.9	5.4	0.9	1.5	7.4	7.3	0.9	1.4
ქვემო ქართლი:	0.4	4.5	3.2	3.4	28.5	27.8	1.6	6.0
დანარჩენი რეგ.:	3.7	1.7	1.3	1.0	5.1	3.7	1.1	3.3
საშუალო მოსავლიანობა (ტონა / ჰექტარი)								
	ერთწლიანი ბალახები				მრავალწლიანი ბალახები			
წლები	2003	2005	2007	2009	2003	2005	2007	2009
სამცხე-ჯავახეთი	3.9	3.2	4.7	1.6	3.0	2.9	2.8	2.4
ქვემო ქართლი:	3.1	3.8	3.9	3.4	3.0	3.3	2.6	2.6
დანარჩენი რეგ.:	2.5	1.9	3.0	1.2	1.7	0.7	1.6	1.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2005÷2009 წლის კრებულები
ძროხის საკვები ულუფის დასაბალანსებლად საჭირო რაოდენობის
საკვები ძირხვენების წარმოება რეგიონში პარაქტიკულად აღარ
ხორციელდება. მხოლოდ მეურნეობათა მცირე ნაწილს მოყავს საკვები
ძირხვენები. თუმცა აღნიშნულ მეურნეობებშიც იგი საკვები რაციონის
ძალზედ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს და პირუტყვის
პროდუქტულობაზე საგრძნობ ზეგავლენას ვერ ახდენს.

საკვები ძირხვენების წარმოების მონაცემები რეგიონალურ ჭრილში
სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებში დაფიქსირებული
არ არის. ქვეყნის მასშტაბით საკვები ძირხვენებით დაკავებული
ფართობი, მათი წარმოება და საშუალო მოსავლიანობა
წარმოდგენილია 22-ე ცხრილში.

ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების მსგავსად, წლების
მიხედვით საკვები ძირხვენების წარმოებას საქართველოში კლებადი
ტენდენცია ახასიათებს. უცნაურად გამოიყურება 2009 წლის
მონაცემები, რადგან დაკავებული ფართობის შემცირების პარალე-

ლურად (0.4 ათასი ჰა.) ნაჩვენებია წარმოებული პროდუქციის ზრდა (3.2 ათასი ტონა) არასათანადო მოსავლიანობის ფონზე (7.4 ტ/ჰა).

ცხრილი 22: საკვები ძირხვენებით დაკავებული ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა

დაკავებული ფართობი (ათასი ჰექტარი)						
წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009
საქართველო	-	0.3	-	1.6	-	0.4
წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)						
საქართველო	4.4	2.9	1.5	1.2	0.2	3.2
საშუალო მოსავლიანობა (ტონა / ჰექტარი)						
საქართველო	16.2	10.3	9.1	2.0	5.5	7.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2007÷2009 წლის კრებულები
მეურნეობებისათვის სილოსისი დამზადების სირთულის და საჭირო ტექნიკის არარსებობის გამო, განსაკუთრებით ზამთარის პერიოდში წვნიანი საკვების სიმცირის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია მერძეულ მეძროხეობაში გამოყენებულ იქნეს საკვები ძირხვენები.

ერთწლიანი, მრავალწლიანი ბალახების და საკვები ძირხვენების წარმოება ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში წარმოებს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წილი მათ წარმოებაში, 2005÷2009 წლებში, მხოლოდ 2÷9 პროცენტის შეადგენდა. როდესაც 2000÷2003 წლებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წილი საკვები ძირხვენების წარმოებაში ლამის 100%-ს შეადგენდა, მრავალწლიანი ბალახების თივის წარმოებაში დაახლოებით 40%-ს, ხოლო ერთწლიანი ბალახების თივის წარმოებაში დაახლოებით 15%-ს.

ბოლო ხუთ წელიწადში საკვები კულტურების (ერთწლიანი-მრავალწლიანი ბალახების თივის და საკვები ძირხვენების) წარმოების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მათი წარმოების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან ოჯახურ მეურნეობებში გადანაცვლება. სუსტად განვითარებულ საოჯახო მეურნეობებს საკვები კულტურების წარმოება რიგი მიზეზების გამო უჭირთ ისევე, როგორც

საფურაუე მარცვლეულის წარმოება. ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების და საკვები ძირხვენების წარმოება მოითხოვს შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სათესლე მასალას, საბრუნავ თანხას.

ბუნებრივი სათიბ-სამოვრების დაბალი მოსავლიანობა ხშირ შემთხვევაში მათთან მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობით და სხვა უარყოფითი ფაქტორებით არის განპირობებული. რაც მინდვრად საკვებწარმოების გაფართოვების აუცილებლობას იწვევს. ამისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ფერმერული მეურნეობების მიწათსარგებლობის მოწყობა, ნათესი ფართობის სტრუქტურის გაუმჯობესება ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, ძირხვენების კულტურების მყარი და მაღალი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ მიერ განხორციელებული გაანგარიშებით, მინდვრად მაღალ-პროდუქტული საკვებწარმოება ეკონომიკურად შედარებით მომგებიანია დაბალმოსავლიან ბუნებრივ სათიბებზე დამზადებულ საკვებზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში მეცხოველეობის, კერძოდ მექროხეობის, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სა-კვები ბაზის უზრუნველყოფა მინდვრად საკვებწარმოების კომპონენტებით. ამის მიღწევის ყველაზე სწრაფ და მისაღებ გზად სახელმწიფოს მხრიდან მისი სუბსიდირება მიგვაჩნია, როგორც ეს ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაშია მიღებული. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ვთვლით მექროხეობის განვითარებისათვის სახელმწიფო სუბსიდირება დაწესდეს მინდვრად საკვებწარმოების გასაძლიერებლად. საფურაუე მარცვლეულის წარმოების განვითარება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში საკვები მარცვლეულის წარმოების განვითარების შემდეგ. ბუნებრივ სათიბებზე თივის დამზადებას ეკონომიკური გათვლებით მინდვრად საკვებწარმოება სჯობს.

მინდვრად საკვებწარმოების სუბსიდირება ჩვენი მოსაზრებით უნდა იყოს დასამუშავებელი მიწის ფართობის აღეკვატური და მოიცავდეს მასზე გაწეული ცვლადი ხარჯების დონეს.

ვთქვათ, ერთ პექტარ ფართობზე საკვებწარმოებისას ცვლადი დანახარჯები შეადგენს 200 ლარს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2009 წელს მინდვრად საკვებწარმოებისთვის დამუშავდა დაახლოებით 3300 პექტარი. სახელმწიფოს მხრიდან რეგიონში მინდვრად საკვებწარმოების წლიური სუბსიდირება გამოვა 660000 ლარი. შემდეგ წლებში აღნიშნული სუბსიდირება შემცირდება მრავალწლიანი ბალახებით დაკავებული ფართობების ხარჯზე, თუმცა მათზე სუბსიდირებაც უნდა გაგრძელდეს და შეადგენდეს ფართობზე წარმოქმნილი ცვლადი დანახარჯების ოდენობას (მრავალწლიანი ბალახის წამოებაში პირველი წლის შემდეგ, საგარაუდოდ $80 \div 100$ ლარს, წელიწადში პექტარზე). მიზანშეწონილად მიგვაჩნია მინდვრად საკვებწარმოების სუბსიდირება, საბოლოო დანიშნულების ობიექტის, ჩვენ შემთხვევაში მეძროხეობის, განვითარებასთან დაკავშირება და არა ცალკეულად განხორციელება. აღნიშნულ კონტექსტში მეძროხეობის განვითარებისათვის, მეურნეობებს შეიძლება კრიტერიუმები დაუწესდეთ, მაგალითად, სუბსიდირებას მიიღებს ყველა ის მეურნეობა, რომელსაც სამეურნეო წლის განმავლობაში საკუთრებაში ეყოლება მინიმუმ 10 მეტველი ძროხა. ამით გაიზრდება პროდუქციის წარმოება, ასევე შესაძლებელი იქნება ფერმერული მეურნეობების გამსხვილება.

ბუნებრივი სათიბები და საძოვრები: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას ყველა რეგიონში, თუმცა ამისთვის ბუნებრივი შესაძლებლობები მხარეებს შორის არათანაბრადაა განაწილებული. ქვეყნის მცირემიწიანობის გამო გადამწყვეტ როლს აქ სწორედ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების არსებობა ასრულებს. ამ მხრივ საქართველოს სამხრეთ მთიან ზონას დიდი

უპირატესობა (თითქმის ორმაგი) გააჩნია, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიონის ზონებთან შედარებით.

სამცხე-ჯავახეთის მიწის ფონდის დაახლოვებით 50% ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს უკავია (იხ. ცხრილი 1 და დიაგრამა 23).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80÷90-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში პირუტყვის საკვების 70÷80%-ს სუბალპური და ალპური სათიბ-საძოვრებიდან დებულობდნენ, რომლებიც საუკეთესოა საქართველოში. დღესდღეობით მესაქონლეობაში პირუტყვის საკვები რაციონის 90%-ზე მეტს ბუნებრივი სათიბ-საძოვრებიდან მიღებული საკვები შეადგენს⁹.

მას შემდეგ რაც ქვეყანა გადავიდა საბაზო ეკონომიკაზე და მოიშალა ძველი სისტემა, ახალი (ორგანიზებული ფერმერული მეურნეობები და ფერმერული გაერთიანებები) კი ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია, არაა გასაკვირი, რომ ოჯახური მეურნეობების პირობებში საქონლის კვებით რაციონში ძირითადი და ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი შემადგენელი კომპონენტი ბუნებრივ სათიბებზე დამზადებული თივაა. თივა პირუტყვს ეძლევა დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ ნახევარ წელს იგი საკვებს თვითონ მოიპოვებს საზაფხულო საძოვრებზე.

არსებული მდგომარეობით ამ საგარგულების პროდუქტულობა მეტად დაბალია, რადგან არ ტარდება გაუმჯობესების კომპლექსური აგროტექნიკური დონისძიებები: ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, შეამიანი მცენარეებისაგან მათი გაწმენდა, სასუქების შეტანა, დაყორება-გაწყლოვანება, რის გამოც თანდათანობით მიმდინარეობს კორდის დაშლა, დახავსებისა და საძოვრების ხარისხის გაუარესების პროცესები.


სიტუაციის გასაუმჯობესებლად, საკვების პროდუქტულობის ასამაღლებლად არ ტარდება ისეთი კომპლექსური აგროტექნიკური

⁹ რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, ნ. გოცირიძე, ობ., თსუ, 1997 წ., გვ., 23.

დონისძიებები, როგორიცაა: ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვება, სამოვრებზე კორდდაშლის საწინააღმდეგო დონისძიებები, გამეჩერებული და დახავსებული ბალახნარის გაუმჯობესება და სხვა. რასაც, თავის მხრივ ემატება სათიბ-სამოვრებთან მისასვლელი გზების არასახარბიელო მდგომარეობა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სათიბ-სამოვრების დიდი ნაწილი სუბალპურ და ალპურ ზონაშია მოქცეული და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ძნელად გამოსაყენებელია.

დაბალი საპექტარო მოსავლიანობა განაპირობებს პროდუქციის ერთეულის მაღალ თვითდირებულებას. გამოკვლევის შედეგებით მტკიცდება, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თივის საშუალო საპექტარო მოსავლიანობას, ბოლო ხუთი წლის მიხედვით თუმცა მცირედით, მაგრამ კლებადი ტენდენცია გააჩნია.


დიაგრამა 28: თივის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა (მშრა. მასა კგ/ჰა)



წყარო: საკუთარი კვლევა

თივის საპექტარო მოსავლიანობის მხრივ დიდი სხვაობაა მეურნეობის ჯგუფებს შორის. დიდი მეურნეობების (დ-ჯგუფის) თივის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა (2009 წლის მონაცემებით) აღემატება ა ჯგუფის მეურნეობების იმავე მონაცემებს 30%-ით (780 კგ-ით), ბ ჯგუფის მონაცემებს 23%-ით (585 კგ-ით), ხოლო გ ჯგუფის მონაცემებს 15%-ით (380 კგ-ით).

დიაგრამა 29: თივის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა მეურნეობის ჯგუფების მიხედვით (მშრალი მასა კგ/ჰა)



წერტილი: საკუთარი კვლევა

როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, წლების მიხედვით თივის საშუალო საპექტარო მოსავლიანობას კლებადი ტენდენცია გააჩნია ყველა ჯგუფის მეურნეობაში, გარდა დ ჯგუფისა. მცირე მეურნეობებისაგან განსხვავებით, დიდი მეურნეობები სისტემატურად თიბავენ სათიბებს, წმენდენ მათ ქვებისგან. ბ და დ ჯგუფის მეურნეობების უმეტესობა ეწევა მომთაბარეობას და მათი სათიბების ძირითადი ნაწილიც სწორედ მთის შედარებით მაღალპროდუქტულ სათიბებს განეკუთვნება.

არასწორი ექსპლუატაციისა და ცუდი მოვლის გამო, სათიბსაძოვრების ნახევარზე მეტი (ადასტურებენ როგორც რეგიონის სოფლის მეურნეობის სამართველოს სპეციალისტები ისე, რეგიონში მომუშავე სოფლის-მეურნეობის უცხოელი სპეციალისტები) ეროზირებულია და შხამიანი ბალახებითაა დასარევლიანებული. სამოვრების მაღალი დატვირთვით და მასზე პირუტყვის ადრე გაზაფხულიდანვე გაყვანით, ყოველწლიურად დიდი რაოდენობის ფართობი გამოდის წყობილებიდან. მცირდება საკვები ბალახების ნაირსახეობა, მრავლდება სარეველები. მნიშვნელოვანი პრობლემაა

უწყლობა საძოვრებზე, განსაკუთრებით ჯავახეთში (პატარა და დიდი აბული, ნიალა და სხვა).

ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტულობის გასაღიდებლად ძირითადი დონისძიებები, მათი სირთულისა და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის სიმცირის გამო, 90-იან წლებამდეც სრულად ვერ ხორციელდებოდა. დღესდღეობით კი საბაზო ეკონომიკის პირობებში სუსტად განვითარებულ ოჯახურ-ფერმერულ მეურნეობებს, ყოველივეს განსახორციელებლად შესაბამისი ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნიათ. საკუთარ სათიბ-საძოვრებზე აღნიშნული დონისძიებების მხოლოდ მცირე ნაწილს ახორციელებენ ეკონომიკურად შედარებით ძლიერი ფერმერული მეურნეობები. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საერთო სარგებლობის სათემო სათიბ-საძოვრები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უგზოობის გამო საერთოდ ვერ ხერხდება ზოგიერთი სათიბ-საძოვრის ათვისება.

რეგიონში ყველა ჯგუფის მეურნეობაში მეწველი ფურების საკვები ულუფის 90%-ზე მეტს შეადგენს თივა. შესაბამისად, ხარისხიანი თივა მეწველი ფურების პროდუქტულობის პირდაპირპორციულია. გამოკვლევის შედეგებით, მეურნეობების მიერ თივის დამზადების პერიოდად დასახელდა ბალახის გადაბერების პერიოდი, როდესაც მასში ბოჭკო მომატებულია, ხოლო ცილა და სახამებელი მცირეა.

თივის დამზადების ოპტიმალური პერიოდი მისი ყვავილობის ან ყვავილობის დამთავრებისთანავე პერიოდია. ამ დროს მცენარეში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა ცილა, სახამებელი და ბოჭკო.

მაღალი პროდუქტულობისათვის ძროხას უნდა მიეცეს ხარისხიანი თივა, რომელშიც შედარებით თანაბრად იქნება ცილის, სახამებლის და ბოჭკოს შემცველობა. ხარისხიანი თივა პირდაპირ კავშირშია მეურნეობის ეკონომიკურ მაჩვენებლებთან. მეტნაკლებად ერთნაირი პროდუქტულობის მისაღებად მეურნეობას, რომელსაც “უხარისხო”

(გვიან მოთიბული, გადაბერებული, ბოჭკოს დიდი შემცველობით) თივა აქვს, დასჭირდება $40\div45\%$ -ით მეტი თივა, ვიდრე მეურნეობას, რომელსაც ხარისხიანი თივა აქვს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ძროხას საკვების მიღების შესაძლებლობა განსაზღვრული აქვს (შეზღუდულია) და იგი მცირდება მისი ხარისხის გაუარესებისას.

რეგიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მეწველ ძროხას წლის განმავლობაში (ბაგური კვების დროს) ესაჭიროება დაახლოვებით 1.6 ტონა კარგი ხარისხის თივა, რომელშიც ცილის, სახამებელის და ბოჭკოს შემცველობა მეტნაკლებად თანაბარია. თუ თივა გვიანაა მოთიბული (უხარისხოა) და ამიტომ მასში მცირე რაოდენობითაა სახამებელი და ცილა, ხოლო ბოჭკო დიდი რაოდენობით, წლის განმავლობაში მეწველ ძროხას დასჭირდება დაახლოებით 2.3 ტონა თივა.

2006 წელს, 05 ივნისიდან 01 ივლისამდე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აღბულ იქნა ბალახების სინჯები სათიბებიდან (ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ბორჯომი), სულ 19 სხვადასხვა ბუნებრივი სათიბიდან, 2 სინჯი ხელოვნური სათიბებიდან (ესპარცეტის) და 5 სინჯი ბუნებრივი სამოვრებიდან. აღებული სინჯები გამოკვლეულ იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლუფა ნორდ-ვესტის (LUFA NORD-WEST Institut der Landwirtschaftskammer Niedersachsen) კვლევით ინსტიტუტში. აღებული ყველა სინჯის შედეგები აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ლაბორატორიის დეტალური მონაცემები იხილეთ დანართში 7.

მთის სათიბების გასაუმჯობესებლად პირველ რიგში მათთან მისასვლელი გზები უნდა მოწესრიგდეს, რაც რა თქმა უნდა ადგილობრივი ფერმერების ძალისხმევით ვერ განხორციელდება და აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევას. გზების მოწესრიგებით დაიწყება მიტოვებული და გაველურებული სათიბების

გამოყენება, შესაძლებელი იქნება მათი გაკულტურება, მეფუტკრეობის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მინდვრის ყვავილების უკეთ დამტვერიანებას და გამრავლებას, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს მთის სათიბებზე დამზადებული თივის ხარისხზე. რაც შეეხება ადგილობრივ ფერმერებს, ისინი სისტემატურად უნდა წმენდნენ სათიბებს ქვებისაგან, ბუჩქარებისაგან, მაქსიმალურად აწესრიგებდნენ გამეჩერებულსა და ეროზირებულ ადგილებს (ნიადაგის ნაყოფირების გაზრდით, ბალახის შეთესვით).

საძოვრების მოსაწესრიგებლად, პირველ რიგში, აღსანიშნავია საძოვართბრუნვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა. იმ მეურნეობებმა, რომელთაც საკუთარი საძოვრები აქვთ წინასწარ უნდა განსაზღვრონ საძოვართბრუნვის სქემა მთელი წლისათვის. არ დაუშვან საძოვრების გადატვირთვა, მათი დროზე ადრე (ბალახის სათანადო გაზრდამდე, გაზაფხულზე) და დაუშვებლად გვიანობამდე გამოყენება (გვიან შემოდგომამდე).

თვალსაჩინოება 4: საძოვრის ნაკვეთმონაცვლეობის სქემა

ნაკვეთმონაცვლეობის რაოდენობის სამართლებრივი დოკუმენტი

	I ნაკვეთი	II ნაკვეთი	III ნაკვეთი
1. მარის			
15. მარის	საძოვარი	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი, შემცირებული
1. ივნისი		აუზებული	აუზებული
15. ივნისი	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი	აუზებული
1. ივლისი	აუზებული		
15. ივლისი		საძოვარი	საძოვარი
1. აგვისტო	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი
15. აგვისტო		საძოვარი, შემცირებული	
1. სექტემბერი	საძოვარი	აუზებული	საძოვარი, შემცირებული
15. სექტემბერი		აუზებული	
1. ოქტომბერი	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი, შემცირებული	საძოვარი
15. ოქტომბერი		საძოვარი, შემცირებული	
1. ნოემბერი	საძოვარი	საძოვარი	საძოვარი
15. ნოემბერი	საძოვარის გამოყენების შეწყვეტა	საძოვარი	საძოვარი

იმ ფერმერებმა, რომლებიც სარგებლობენ სათემო საძოვრებით, სხვა მოსარგებლე ფერმერებთან ერთად უნდა შეიმუშაონ საძოვართა

ნაკვეთმონაცვლეობის ერთობლივი სქემა და ამ სქემის მიხედვით ისარგებლონ სათემო საძოვრებით.

საძოვართა ნაკვეთმონაცვლეობის სქემის დანერგვა, ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია მათ შედობვასთან, რაც აუცილებლობას წარმოადგენს.

ცდებით დადგენილია, რომ საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება, ბუჩქნარებისაგან და ქვებისაგან გაწმენდა, კოლბოხების მოსპობა, საკვები ბალახების შეთესვა, მორწყვა და სასუქების შეტანა, ნაკვეთმორიგეობითი სისტემის დანერგვა ბალახის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად 10%-დან 200%-მდე ზრდის მოსავლიანობას.

ასევე ცდებით დამტკიცებულია, რომ სამცხე-ჯავახეთის სუბალპურ სარტყელში, ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე, ვაკე და დამრეც ფერდობებზე განლაგებული დეგრადირებული ნაკვეთების ძირეული გაუმჯობესება $2\frac{1}{2}$ -3 ჯერ ადიდებს ბალახნარის მოსავალს, აუმჯობესებს მცენარეთა ბოტანიკურ შემადგენლობას, ამაღლებს ხარისხს და მის კვებით ღირებულებას¹⁰.

მინერალური ნივთიერებები; წყალი: მრავალი წლის დაკვირვებით დადგენილია, რომ როდესაც საკვები ულუფა დაბალანსირებული არ არის სათანადო კომპონენტებით, ხდება საკვების ნორმის ზევით გადახარჯვა. საკვები ულუფის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მინერალური საკვები, რომელსაც მეურნეობებში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რითაც ირლვევა კვების ბალანსი. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით უარყოფითად აისახება მოზარდი პირუტყვის ზრდა-განვითარებაზე. უმნიშვნელოვანები მინერალური ნივთიერება, რომელიც ჭირდება უველა ძუძუმწოვარს და პირველ რიგში, მეწველ ძროხას, არის მარილი. პირუტყვს ესაჭიროება ასევე სხვა მინერალური ნივთიერებები - კალციუმი, ფოსფორი, სელენი და

¹⁰ საქართველოს მეცხოველეობა – ა. ურდულაშვილ, თბ., სიახლე, 2004, გვ. 196 - 197.

სხვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მარილი. მინერალური საკვების სახით პირუტყვს რეგიონში ძირითადად ქვამარილს აძლევენ, თუმცა არასისტემატურად და არასაკმარისად. როგორც წესი, ფურებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ დაუბრკოლებლად მიიღონ მარილის ის რაოდენობა, რაც მათ ესაჭიროებათ. პირუტყვისათვის ნებაზე მარილის მიწოდება, მხოლოდ ერთეულ მეურნეობებშია უზრუნველყოფილი. სხვა მინერალურ საკვებდანამატებს მიმართავენ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად, პირუტყვის დაავადების დროს ვატერინარის კონსულტაციით. მინერალური საკვების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აქვეითებს ძროხის ჯანმრთელობასა და პროდუქტულობას.

ჩვენ მიერ გამოკვლეული მეურნეობების უმეტესობაში პირუტყვისათვის იყენებენ ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო მარილს. მისი მიცემა საქონლისათვის არარეგულარულია. მხოლოდ რამდენიმე მეურნეობაშია უზრუნველყოფილი მარილის (ქვამარილის) პირუტყვისათვის ნებაზე მიცემა. მინერალური ნივთიერებების, განსაკუთრებით მარილის შეძენა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პრობლემურია. საქართველოს კანონმდებლობით ქვეყანაში აკრძალულია არაიოდიზირებული მარილის შემოტანა, ქვამარილი (რომელიც განკუთვნილია პირუტყვისათვის) კი იოდს არ შეიცავს. აუცილებელია აღნიშნული პრობლემის საკანონმდებლო დონეზე გადაჭრა. ასევე აუცილებელია მინერალური ნივთიერებებით მოვაჭრე სუბიექტების წახალისება, რათა მათ შეძლონ შეღავათიან ფასებში მიაწოდონ ფერმერებს მათვის საჭირო მინერალური ნივთიერებები. რეგიონში დაბალ დონეზეა ფერმერთა ინფორმირება სხვადასხვა სახის საკვებდანამატებზე, რომლებიც შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს და ვიტამინებს. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონში რეგულარულად მოეწყოს გამოფენები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, ასევე ფერმერებს

მიეწოდოს საჭირო ინფორმაცია ბეჭდური და მედია საშულებებით (გაზეთი, ჟურნალი ან მათი დანამატი, სპეციალური გადაცემა).

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და რძის გამოსამუშავებლად ძროხას აუცილებლად ჭირდება წყალი. მეწველ ძროხას მაღალი მოთხოვნა წყალზე განსაკუთრებით მოწველის შემდეგ აქვს, ასევე ზამთარში, როცა საქონელს უხეშ საკვებს ვაჭმევთ. ამ დროს დაუშვებელია, რომ მას დააკლდეს წყალი. დადგენილია, რომ ძროხას რომელმაც გარკვეული რაოდენობის რძე უნდა მოგვცეს, დღეში ესაჭიროება მინიმუმ 40 ლიტრი წყალი. კვების შემდგომ მას დღეში $2\frac{1}{3}$ ჯერ უნდა ჰქონდეს საშუალება სრულად დაიკმაყოფილოს წყურვილი.

პირუტყვის სათანადო დარწყულებას ფერმერთა უმეტესობა, სამწუხაროდ, სათანადოდ მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს. ფერმერებიდან მიღებული მონაცმების მიხადვით, უშუალოდ ცხოველთა სადგომში წყალგაყვანილობის არსებობის შემდეგი სურათია:

ცხრილი 23: მეურნეობების ჯგუფების მიხედვით ცხოველთა სადგომში წყლის გაყვანილობის არსებობის მაჩვენებელი (%-ში)

	2005	2006	2007	2008	2009
ა	0	0	0	0	0
ბ	0	0	0	0	0
გ	11	10	12	12	12
დ	11	11	12	12	12

წყარო: საკუთარი კვლევა

ჩვენ მიერ გამოკვლეული მეურნეობებიდან ა და ბ ჯგუფის არც ერთ მეურნეობაში ცხოველთა სადგომში წყალი შეყვანილი არ არის. მხოლოდ გ და დ ჯგუფის მეურნეობების 12%-ში არის წყალგაყვანილობა უშუალოდ ცხოველთა სადგომში.

ზამთარში, ბაგური კვების პერიოდში, პირუტყვის დარწყულება ხდება ცხოველთა სადგომში, ჭურჭლით შეტანილი წყლით. ამ დროს დარწყულება ძირითადად ხდება დღეში ერთხელ, რაც ვერ უზრუნველყოფს მეწველი ფურის დღიურ მოთხოვნას წყალზე.

იმ მეურნეობებში, სადაც წყალმომარაგების სისტემა არსებობს, ფერმერებმა უნდა უზრუნველყონ წყლის უშუალოდ ცხოველთა სადგომში შეყვანა და პირუტყვის ნებაზე დარწყულების უზრუნველყოფა. ეს დონისძიება გარკევულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა არსებობის შემთხვევაში, ზოგავს ფერმერის დროს (შესაბამისად ხარჯებს) და უზრუნველყოფს პირუტყვის ნორმალურ განვითარებას, მისი პროდუქტულობის ამაღლებას. იმ მეურნეობებში, სადაც ტექნიკურად რთულია უშუალოდ ცხოველთა სადგომში წყლის შეყვანა, ფერმერებმა ყოველდღიურად (დღეში რამდენჯერმე) უნდა უზრუნველყონ მათ სარგებლობაში მყოფი პირუტყვის დარწყულება. ცხოველისათვის საჭირო წყლის ხარისხისადმი წაყენებული უნდა იყოს ისეთივე მოთხოვნები, როგორც ადამიანის სასმელი წყლისადმი.

წარმოებულმა კვლევამ ცხადყო, რომ რეგიონში არსებული კვების ფონი არ შეესაბამება ფერმერულ მეურნეობებში არსებული პირუტყვის პროდუქტულობის გენეტიკური პოტენციალის სრულად გამომჟღვნებას. ბრძნულად ნათქვამია: „ძროხას რმე ენაზე აქვსო“, არ მივცემთ შესაბამის საკვებს, ვერ მივიღებთ რძეს შესაძლებლობის დონეზე.

3.3 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული პიგიენური მდგომარეობა

სიტყვა პიგიენა ბერძნული წარმოშობისაა და “ჯანმრთელობას” ნიშნავს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შემდეგნაირად განმარტავს ამ ცნებას: “უსაფრთხოების ზომები, რომელთა დაცვა აუცილებელია სურსათის წარმოების, გადამუშავების, შენახვის და დისტრიბუციის დროს, წუნდაუდებელი, ჯანსაღი და ვარგისი პროდუქტის უზრუნველსაყოფად, რომელიც გამოსადეგია ადამიანთა მოხმარებისათვის.”

ბაზარზე გასატანი პროდუქციის ხარისხის ერთ-ერთ გადამწყვეტილებრივს ფერმერული წარმოების პიგიენური პირობები წარმოადგენს. ქიმიური პრეპარატების ნარჩენებისა და პათოგენური ორგანიზმების

შემცველობის უვნებელყოფა წარმოების პროცესში თითქმის შეუძლებელია ან მხოლოდ სასარგებლო ნივთიერებების დაკარგვის ფასად მიიღწევა.

მითითება: რაც უფრო ადრე დაიწყება ჰიგიენური ზომების მიღება, მით უფრო ნაკლებად დაბინძურებული იქნება პროდუქტი¹¹.

“საქართველოს აგრარული სექტორის გაძლიერების ხელშეწყობის – სურსათის ხარისხისა და უვნებლობის გაუმჯობესების” პროექტის ფარგლებში, 2007 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შესწავლილ იქნა მესაქონლეობით დაკავებულ მეურნეობებში არსებული ჰიგიენური პირობები. სულ გამოკვლეულ იქნა 12 მეურნეობა. გამოკითხული მეურნეობებიდან 5 ოჯახს ჰყავს 5 სულზე ნაკლები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო 7 მეურნეობაში პირუტყვის რაოდენობა 10-ზე მეტია. მეურნეობებში საქმიანობას ძირითადად ოჯახის წევრები წარმართავენ. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ მეურნეობებში, შრომის დიდი ხვედრითი წილი ოჯახის ხანდაზმულ წევრებზე მოდის.

თორმეტივე მეურნეობიდან პესტიციდებზე (ქლორორგანული, ფოსფორორგანული) და ასევე მძიმე მეტალებზე გამოსაკვლევად საძოვრებიდან აღებულ იქნა ნიადაგისა და ბალახის ნიმუშები. პესტიციდებზე საძოვრებიდან აღებული ნიადაგის 12 ნიმუშიდან ექვს მათგანში აღმოჩნდა ქლორორგანული პესტიციდები (DDT-ს და DDE-ს კვალი), დანარჩენ ნიმუშებში, როგორც ქლორორგანული, ისე ფოსფორორგანული პესტიციდების კვალი, ან მათი დასაშვებზე მაღალი კონცენტრაცია, არ აღმოჩენილა. გამოკვლეული ნიადაგის ნიმუშებში Pb, Cd, Cu, Hg, Zn მძიმე მეტალების კონცენტრაციები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ რაოდენობას, რასაც ვერ ვიტყვით დარიშხანზე. სამ ნიმუშში დარიშხანის რაოდენობა საგრძნობლად აღემატება დასაშვებ ზღვარს.

¹¹ კარგი ჰიგიენის პრაქტიკა (GHP), მათიას იაკობი, თბ., 2008.

მიკრობიოლოგიური გამოკვლევებისა (Coliform bacteria, Mezophile Aerobic and facultative anaerobic bacteria) და მძიმე მეტალების Pb, Cd, Hg, As გამოსავლენად თითოეული ფერმიდან იქნა აღებული სასმელი წყლის სინჯები (12 სინჯი) და საქონლის დასალევი წყლის სინჯები (9 სინჯი). ნიმუშებს გამოკვლევა ჩაუტარდა 22°C და 37°C-ზე. სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ წყლის სინჯები, როგორც მიკრობთა საერთო რაოდენობით, ასევე ტოტალური კოლიფორმებისა E. coli-ს მაჩვენებლებით ვერ აკმაყოფილებს არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხის მოთხოვნებს. Mezof. Aer. და Fac. anaer. რაოდენობა 1 მილილიტრში 37°C ტემპერატურაზე მერყეობს 72-დან 144-მდე, ნაცვლად დასაშვები 20 კწ-ზე (კოლონია წარმომქმნელი კოლონია). ანალოგიური სიტუაციაა 22 °C ტემპერატურაზეც. ტოტალური კოლიფორმებისა და E. coli-ს რაოდენობა 1 დმ³ წყალში მერყეობს 21-დან 230 კწ-მდე, რაც მნიშვნელოვანი დაბინძურების მაჩვენებელია და მიუთითებს ეპიდსაშიშროებაზე. აღებული სასმელი წყლის ნიმუშებში გამოკვლეული მძიმე მეტალების (Pb, Cd, As, Hg) კონცენტრაციები რეკომენდებული ნორმის ფარგლებშია. ცხოველთა დასარწყულებელი წყლის ნიმუშების ბაქტერიოლოგიური სურათის დასახასიათებლად ნორმად მიჩნეულ იქნა მდინარეებისა და დია წყალსატევების სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლებთან შედარებისას, გამოკვლეული სინჯების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს სანიტარულ მოთხოვნებს. იგივე ნიმუშებში, მძიმე მეტალების კვლევის შედეგების მიხედვით, ოთხივე ელემენტი (Pb, Cd, As, Hg) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ფარგლებშია.

ყველა ფერმაში ერთ-ერთი მწველავის ხელებიდან და ძროხის ცურიდან აღებულ იქნა ჩამონაბანი წყლის სინჯები (სულ 12 სინჯი) Mezophile Aerobic and facultative anaerobic, Coliform bacteria, E. coli,

pathogens და *including salmonella*-ზე. ხელისა და ძროხის ცურის ჩამონაბანის კვლევისას დადგინდა, რომ როგორც მწველავების, ისე ფერმებში ცხოველების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არადამაკმა-ყოფილებელია. სინჯების უმრავლესობაში ამოთესილ იქნა *E. coli*, რაც დაუშვებელია.

პირადი ჰიგიენის დაცვა აუცილებელია. იგი დაკავშირებულია ადამიანის სხეულის სისუფთავესთან. ამასთან ერთად, ადამიანის ჯანმრთელობის მდგრამარეობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიკრობების სურსათზე გადატანაში.

თორმეტივე ფერმაში აღებულ იქნა რძის საშუალო სინჯები. *Mezophile Aerobi* და *facultative anaerobic*-ზე, *Coliform bacteria*-ზე, *E. coli*-ზე, *pathogens*-ზე, *including salmonella*-ზე, *S. auers*-ზე, ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე. ასევე გამოკვლეულ იქნა საქონლის ხორცის ნიმუშები.

ფერმებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური დარღვევები ნათლად აისახა რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე. გამოკვლეული რძის ნიმუშებიდან ამოთესილია გარდა *E. coli*-სა *Citrobacter freundii*, *Enterobacter clacae*, *Klebsiela pneumonia*, *Serratia marcescens*. აღნიშნული გარემოება მიუთითებს ეპიდსაშიშროებაზე. რაც შეეხება ბრუცელოზზე საქონლის ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგებს, შემდეგია: სინჯი ბრუცელოზზე “ТБ” ფაგთან ყველა სინჯის შემთხვევაში უარყოფითია. კოზლოვსკის მეთოდით შეღებვისას ბრუცელები არ გამოვლინდა. დადებითი აგლუტინაცია მიუთითებს ბრუცელებსა და გრამუარყოფით კოკებს შორის ჯვარედინი (საერთო) ანტიგენების არსებობას.

თითოეული ფერმის რძის ნაწარმის (ძირითადად სხვადასხვა სახის ყველი) ნიმუშებში ჩატარდა მიკრობიოლოგიური კვლევა *Mezophile Aerobi* და *facultative anaerobic*-ზე, *Coliform bacteria*-ზე, *E. coli*-ზე,

pathogens-ზე, including salmonella-ზე, *S. auers*-ზე, ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე. რძის ნიმუშების ანალოგიურად გამოკვლეული ყველის სინჯების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებიც ადასტურებს ფერმებში სანიტარიული სიტუაციის არაკეთილსაიმედოობას. ამაზე მიუთითებს ყველიდან გამოყოფილი მიკრობები: *S. auers*-ი, *E. coli*-ი, *Enterobacter amnigenus*-ი, *Klebsiela pneumonia*.

ბრუცელოზზე გამოკვლეული 99 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სინჯიდან მიღებული შედეგები უარყოფითია (დაავადება არ დაფიქსირდა). 2006 წელს “სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბიზნესის ხელშემწყობი პროექტის” ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში (სულ ბრუცელოზზე გამოკვლეულ იქნა 5200 მ.რ.პ.-ი) ბრუცელოზის დაავადება არ დაფიქსირდა. ტუბერკულინიზაცია ჩაუტარდა 95 მ.რ.პ.-ს. ტუბერკულინიზაციიდან 72 საათის გასვლის შემდგომ ტუბერკულოზზე დადებითი რიაქციის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. რძის ნიმუშებში ბრუცელოზზე რგოლური რეაქციის ჩატარებამ ყველა შემთხვევაში უარყოფითი შედეგები აჩვენა (დაავადება არ დაფიქსირდა). ხორცისა და რძის იმავე ნიმუშებში დადგინდა გრამუარყოფითი და გრამდადებითი მიკროფლორა: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, გრამუარყოფითი კოკობაქტერიები, აგრეთვე იერსინები და პროტეუსი. ინვაზიური თვალსაზრისით ხორცის სინჯები კეთილსაიმედოა. არც ერთ სინჯში არ გამოვლენილა არც პარაზიტები და არც ცისტფორმები.

მიღებული შედეგებით თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ რეგიონში არასახარბიელო ეპიდსიტუაციაა და მოითხოვს სათანადო დონის-ძიებების ჩატარებას. გამოკვლეული ხორცის სინჯებში ამოთესილია მიკროორგანიზმები, რომლებმაც გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს რიგი მძიმე დაავადებებისა. ეს მიკროორგანიზმებია: *E. coli*, *Morganella morgani*, *Proteus spp*, *Citrobacter*.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კვლევების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ მეურნეობების უმეტესობაში წველის წინ სისტემატურად ან სათანადოდ (რიგ შემთხვევებში საერთოდ) არ ხდება ფურის ცურის ჩამობანა. მეურნეობათა უმეტესობაში სასმელ წყალსა და საკანალიზაციო (საპირფარეშო) წერტილებს შორის მანძილი მცირება. მეურნეობების ხელმძღვანელთა გამოკითხვით გაირკვა, რომ დიდ უმრავლესობას მათ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების ჰიგიენურ მდგომარეობასა და მათი გაუმჯობესების შესაძლო გზებზე ინფორმაცია (ცოდნა) არ გააჩნია. მეურნეობათა უმეტესობაში რძისგან ძირითადად ამზადებენ სხვადასხვა სახის ყველს. ყველის წარმოებისათვის იყენებენ პეპსინს და მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პეპსინით ყველის ამოყვანისას ყველის გემო უარესდება. წარმოებული პროდუქციის შენახვა ჰიგიენური პარამეტრებით გამოკვლეულ მეურნეობებში არასახარბიელო. სათანადოდ არ მზადდება ყველის შესანახი ხსნარი (წათხი) არც დროულად იცვლება, რაც, პირველ რიგში, პროდუქტის ხარისხზე (სუნსა და გემოზე) აისახება. რაც შეეხება უშუალოდ ცხოველთა სადგომს, აქაც არასახარბიელო მდგომარეობაა. სადგომები, ხშირ შემთხვევაში, ბნელი და უჟაეროა. საწუნწუხე (ნაკელის საყრელები) მოედნები მოწყობილია ყოველგვარი პარამეტრების დაცვის გარეშე. არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს დღეისათვის ქვეყანაში მოქმედ ვეტერინარული მოთხოვნების ნორმებს (ტექნიკური პროექტების ნორმებს). ეს ეხება როგორც სათავსოებს, ისე მათ მოპირკეთებას, მოწყობილობებს და ფერმების ტერიტორიულ მოწყობას.

პრობლემურია ფერმების წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილი ფერმებიდან არც ერთს არ გააჩნია არათუ გამართული წყალმომარაგების სისტემა, საერთოდ არ აქვთ წყალმომარაგების ქსელი. შესწავლილ ფერმერულ მეურნეობებში

ძირითადად ბუნებრივი წყაროების წყლით სარგებლობენ. არ ხდება მოხმარებული წყლის ხარისხის დადგენა და კონტროლი. შესაბამისად რთულდება სათავსოებზე, ტერიტორიებსა და ცხოველთა მოვლაზე კეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების შესრულება. მეცხოველეობის ფერმების, სათავსოების, ტერიტორიების სათანადო სანიტარიულ დონეზე შენარჩუნება და უზრუნველყოფა მოითხოვს მათ მუდმივ ზედამხედველობას, სისუფთავესა და კეთილმოწყობას.

შესწავლილი ფერმერული მეურნეობები მექანიზაციის თვალსაზრისით პრიმიტიულ დონეზეა. არც ერთ მეურნეობას არ გააჩნია მანქანები და მოწყობილობები, რომელნიც უზრუნველყოფენ ცხოველთა საკვების მომზადებას, წუნწუხის გატანას. ისეთი შრომატევადი პროცესი, როგორიცაა რძის წველა, ყველა ფერმაში ხელით სრულდება. ის მეურნეობებიც, რომლებიც რძეს აბარებენ და მათში მეწველი ფურების რაოდენობა 10-ზე მეტია, არ არიან უზრუნველყოფილი რძის გამაციებელი დანადგარებით. არადა, ცნობილი ფაქტია, რომ სარძევე მეურნეობების ეკონომიკური ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული რძის ხარისხთან, რომელიც მოწველის შემდეგ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რძის გაციების დროსა და სიღრმეზე.

ყველა ზემოთ აღნიშნული პირობა (მოუწყობელი შენობა-ნაგებობები, მიმდებარე ტერიტორიები, ცუდი გზები, წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა და ხშირ შემთხვევაში არარსებობა, დანადგარებისა და მოწყობილობების უქონლობა, სანიტარულ-ჰიგიენური განათლების დაბალი დონე) ერთად აღებული საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს გამოკვლეული მეურნეობების პროდუქციის ხარისხსა და უვნებელობაზე.

საგანგაშო მონაცემები აქვს სამცენე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ახალციხის სახელმწიფო "ეპიდემიოლოგიური-მონიტორინგის სადგურს", მათი მონაცემებით რეგიონის სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად

ფიქსირდება ისეთი საშიში დაავადებები, როგორიცაა: ბრუცელოზი, ციმბირის წყლული, ტუბერკულოზი, ცოფი, მასტიტების ნაირსახეობები. 2010 წლამდე აღნიშნულ სადგურს ტექნიკურად თვითონ არ ჰქონდა საშუალება ჩაეტარებინა გამოკვლევა ისეთ საშიშ დაავადებაზე, როგორიცაა თურქული. თუმცა თბილისის სადგურში მათ მიერ გაგზავნილ რამდენიმე სინჯში ეს დაავადებაც დაფიქსირდა¹².

ჩვენი და სხვა მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან კარგად ჩანს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მესაქონლეობის პროდუქციის წარმოებაში არსებული მთელი რიგი პიგიენური შეუსაბამობები. ისინი საფრთხეს უქმიან, როგორც პირუტყვის ისე ადამიანთა ჯანმრთელობას. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია გარემოს (მიწა, წყალი) დაბინძურებით და უშუალოდ მეურნეობებში არსებული არასათანადო პიგიენური პირობებით.

სოფლის მეურნეობის დარგი თავისი სპეციფიკით, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისგან ძლიერ განსხვავდება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ცოცხალ ორგანიზმებთან და შესაბამისად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს თითოეული ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობა და მათზე მოქმედი ფაქტორები, ფაქტორთა ერთობლიობა.

შესაბამისი სამსახურების მიერ რეგულარულად უნდა ხდებოდეს გარემოს (ნიადაგი, წყალი) კონტროლი. მიუხედავად დანახარჯებისა ფერმერებმა საკუთარ მეურნეობებში სისტემატურად უნდა აწარმოონ, ნიადაგის, წყლის, ცხოველთა საკვების და მათი ჯანმრთელობის კონტროლი, უზრუნველყონ პროდუქციის წარმოების, შენახვის და რეალიზაციის მისაღები პიგიენური პირობები.

¹² ახალციხის ეპიდემიოლოგიური სადგურის წლიური (2007, 2008, 2009) ანგარიშები.

3.4 დამხმარე, სერვის-მომსახურების არსებული მდგომარეობა

საკვების დამზადება: რეგიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელებაში სერვისმომსახურების კუთხით არასახარბიელო მდგომარეობაა. მესაქონლეობით დაკავებული მეურნეობები სერვის მომსახურებას განსაკუთრებით საჭიროებენ საკვების დამზადებაში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სათიბების უმეტესი ნაწილი მთაშია. ხარისხიანი თივის დამზადების სეზონო $2\div 3$ კვირის ფარგლებში მერყეობს (ივლისის ბოლოს აგვისტოს დასაწყისში). ამ პერიოდისათვის მთისათვის დამახასიათებელია მცირე ნალექები, რაც საკმარისია უკვე მოთიბული, ჯერ დაუსაწყობებელი, თივის ხარისხის გასაფუჭებლად. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ბალახის სწრაფად გათიბვა, გაშრობა და დასაწყობება. რასაც ფერმერები შესაბამისი ტექნიკის ნაკლებობის გამო ხშირად ვერ ახერხებენ.

წლიდან წლამდე იზრდება გადასახადი, თივის დამზადებისათვის საჭირო მომსახურებაზე. ფასთა ყოველწლიური ზრდა ბევრადაა განპირობებული საწვავზე ფასების ზრდით. რეგიონში ერთი ჰექტარი სათიბის გათიბვა 70 ლარი ღირს, თივის დაბულულება 30 ლარი, ერთი ტუკის დაპრესვა 0.50 ლარი (საშუალოდ ჰექტარზე $40\div 50$ ლარი). ფერმერს ერთ ჰექტარ სათიბზე თივის დამზადება მომსახურებით დაახლოებით 140 ლარი (ტრანსპორტირების გარეშე) უჯდება. თუ თივის საჰექტარო მოსავლიანობად ავიღებთ 2000 კგ, მაშინ ერთი კილოგრამი თივის დამზადების ხარჯები 0.07 ლარს შეადგენს, ტრანსპორტირების, დასაწყობების და საკუთარი შრომის ანაზღაურების გამოკლებით. აღნიშნული ხარჯები მეურნეობების მიხედვით განსხვავებულია და 1 კგ თივაზე მერყეობს $0.02\div 0.05$ ლარის ფარგლებში. მეურნეობებისათვის, რომლებიც თავიაანთი ძალებით ამზადებენ თივას, მისი თვითდირებულება საშუალოდ $0.05\div 0.06$ ლარის ფარგლებშია.

სერვის-მომსახურების მაღალი ფასების გარდა, პრობლემას წარმოადგენს რეგიონში არსებული ტექნიკის სიძველე და გაუმართაობა. ხშირია შემთხვევები მუშაობის პროცესში ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლისა.

ბოლო წლებში, სახელმწიფო და კერძო პროგრამების ხელშეწყობით რეგიონში შეიქმნა აგროტექნიკით მომსახურების რამდენიმე სერვისცენტრი (იხ. დანართი 2 და ქვეთავი 1.2.2.1. ძირითადი საშუალებები). თუმცა მათი რაოდენობა და ტექნიკის ოდენობა მთლიანად ვერ ფარავს რეგიონს. არსებული მომსახურების სერვის ცენტრებში თითქმის არაა სპეციალური ტექნიკა მთის დამრეც ფერდობებზე სამუშაოდ (რეგიონის ბუნებრივი სათიბების საკმაო ნაწილი, მთის დამრეც ფერდობებზეა განლაგებული).

მნიშვნელოვანია ტექნიკით მომსახურების ცენტრებში ფერმერთა-თვის ხელმისაწვდომი ფასების განსაზღვრა, ამისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საწვავზე სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება.

კეტერინარია და ზოოტექნიკა: მესაქონლეობით დაკავებულ მეურნეობებში, შეუძლებელია მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა შესაბამისი კეტერინარული და ზოოტექნიკური ღონისძიებების გატარების გარეშე. პირიქით, მათი უგულებელყოფით ან არასათანადო განხორციელების შემთხვევაში არსებობს მაღალი რისკი ეკონომიკური ზარალის მიღებისა.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადებები დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეცხოველეობის დარგს და ქმნის რისკს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ამ დაავადებების თავიდან აცილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის¹³.

¹³ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადებები, ა. კოჩალიშვილი, თბ., ლომისი, 2008, გვ. 2.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მოხდა გადასვლა მსხვილი კომპლექსური მეურნეობებიდან მეცხოველეობის ფერმერული მართვის სისტემაზე, ამ დარგში შეიქმნა ერთგვარი დეფიციტი ვეტერინარული და ზოოტექნიკური სერვისის სფეროში. არადა, ცხოველთა მოვლა-შენახვის პირობებზე დიდადაა დამოკიდებული მეურნეობის წარმატებული საქმიანობა. თუმცა, ცხოველთა კარგი მოვლა-შენახვის პირობებშიც არის ალბათობა პირუტყვის დაავადების.

ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, ანუ კეთილსაიმედო გარემოს შექმნის გარეშე მეცხოველეობის ნედლეულის მიღებასა და შემდგომ გადამუშავებაზე ფიქრი ფუჭია.

მეცხოველეობის არც ერთი დარგის განვითარება ვეტერინარის, ზოოტექნიკოსის გარეშე წარმოუდგენელია. მათ ამ საკითხში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრიათ.

თავიანთი ყოველდღიური შრომით ვეტერინარები და ზოოტექნიკოსები ქვეყნის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის სადარაჯოზე დგანან. ნებისმიერი ადამიანი დღეში რამდენჯერაც იკვებება მინიმუმ იმდენჯერ ეხება აღნიშნული სპეციალობის ხალხის ნამოღვაწარს. ისინი ანხორციელებენ ღონისძიებების კომპლექსს, რომლის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ადამინებისათვის და ცხოველებისათვის საერთო საშიში დაავადებებისაგან, რომელთა რიცხვი 200 აღწევს. მათი მიზანია ასევე სათითაო ფერმერის/გლეხური მეურნეობის შემოსავლების გაზრდა, პირუტყვის პროდუქტულობის ზრდით და შესაძლო ზარალის შემცირება დაავადებული პირუტყვის გადარჩენით, მკურნალობით.

მათ ევალებათ ზრუნვა როგორც ცხოველის ჯანმრთელობაზე, მათ კვებაზე, მოვლასა და შენახვაზე, ისე ფერმერებისათვის მეცხოველეობასა და მემცენარეობაში (ცხოველთა გამოკვების კუთხით) კონსულ-

ტაციების გაწევაზე. პიგიენური პირობების დაცვით ნედლეულის მიღებაზე, პროდუქციის წარმოებაზე, შენახვასა და რეალიზაციაზე.

ახალმა საბაზრო ურთიერთობაში ვეტერინარებს და ზოოტექნიკოსებს ახალი პირობები წაუყენა. ისინი უნდა იყვნენ ორიენტირებულნი ბაზარზე, კვალდაკვალ მისდიონ დარგში არსებულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს და ფლობდნენ სიტუაციის მართვის უნარ-ჩვევებს.

ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე დაავადებას და მათგან შესაძლო ეკონომიკურ ზარალს მეურნეობებისათვის.

მასტიტი: მასტიტი მეძროხეობაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზარალის მომტანი დაავადებაა. მისი გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია და რიგი ფაქტორების ერთობლიობით ყალიბდება.

მასტიტით მიყენებული ეკონომიკური ზარალი:

მოცემულობა: მეწველი ფური, საშუალო დღიური წველადაობა 10 ლიტრი. მასტიტით დაავადებული ცურის მეოთხედების რაოდენობაა ორი. დაავადების სიმძიმე, მსუბუქი.

ეკონომიკური ზარალი ციფრებში:

- შემცირებული რძე – დღეში 5 ლიტრი X ხანგრძლივობა 5 დღე X 0.50 ერთი ლიტრი რძის ფასი = 12.50 ლარი.
- წამლები: ბიომასტი – 6 ცალი X მკურნალობის ხანგრძლივობა 3 დღე X ბიომასტის ღირებულება 1.00 ლარი = 18 ლარი
- ანტიბიოტიკი: ერთი ფლაკონი (50 გრ.) X 5 ლარი = 5 ლარი
- ვეტერინარის მომსახურება: 20 ლარი

მგზავრობის ხარჯები (ვეტერინართან; წამლებზე)

ფერმერისათვის დამატებითი სამუშაო დრო

სულ ხარჯი: 55.50 ლარი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ გავიანგარიშეთ მსუბუქი დაავადების შემთხვევა და ფინანსურად არ დაგვითვლია მგზავრობის ხარჯები (ვეტერინართან; წამლებზე) და ფერმერისათვის დამატებითი სამუშაო დრო, მიახლოებით მიღებული ეკონომიკური ზარალი მაინც დიდია. ჩვენ მიერ გამოთვლილი მეწარმის მოგება ერთ სულ ფურზე წელიწადში შეადგენს დაახლოვებით 140 ლარს, ხოლო მოგება 500 ლარს (2009 წლის მონაცემებით). აქედან გამომდინარე, ფურზე წელიწადში დამატებით 55 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის გაწევა მეურნეობისათვის მოგების საკმაოდ შემცირებას ნიშნავს.

მასტიტის მძიმე ფორმის შემთხვევაში მეწველი ფური განკურნების შემდეგაც ვეღარ აღწევს მაქსიმალურ წველადობას და უმჯობესია მისი გამოწუნება მეურნეობიდან.

პასტერელოზი /პესეპტიცემია/ და ემკარი /ემფიზემატორული კარბონკული/:

აღნიშნული დაავადებები პირუტყვის პროფილაქტიკური დამუშავების შემთხვევაში, რომელიც წელიწადში ორჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე უნდა განხორციელდეს, არანაირ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. პროფილაქტიკური ღონისძიების საფასური ერთ მეწველ ფურზე წელიწადში შეადგენს 4 ლარს, როგორც პასტერელოზე, ისე ემკარზე. დაავადების შემთხვევაში მაღალია საფრთხე პირუტყვის დაცემისა. დაავადებაგადატანილი პირუტყვის პროდუქტულობა 20÷30%-ით მცირდება და ისინი გამოწუნებას ექვემდებარება.

ზოოტექნიკოსების რჩევებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ იაფი და ხარისხიანი საკვების მისაღებად და პირუტყვის სწორად გამოსაკვებად.

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდანაც კარგად ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია ვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურების არსებობა, მეცხოველეობის დარგის განვითარებისათვის.

ჩვენ მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკვლეული მეურნეობებიდან დგინდება, რომ მათთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურების მიღება რეგიონში გამოცდილი სპეციალისტების სიმცირის გამო. ეს საკითხი მათთვის განსაკუთრებით პრობლემური გახდა მას შემდეგ, რაც მოიშალა ვეტერინარული უბნები. დღესდღეობით არსებული მდგომარეობით ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში რამდენიმე ვეტერინარია, ზოგიერთში არც ერთი. რიგი დაავადებებისა მოითხოვს სპეციალისტების სწრაფ ჩარევას, რასაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მეურნეობების უმრავლესობაში ვერ ახერხებენ.

დღესდღეობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რამდენიმე ვეტერინარულ-საკონსულტაციო ორგანიზაციაა ჩამოყალიბებული. აღნიშნული ორგანიზაციები ჩამოყალიბდა რეგიონში მოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო პროგრამების ფარგლებში. მათგან გამართულად ჯერ-ჯერობით ვერც ერთი ვერ ფუნქციონირებს. აღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად შემოიფარგლებიან მათი დაარსების ინიციატორი, დონორი ორგანიზაციების შეკვეთებით.

თავის მხრივ, რეგიონში მოქმედი ვეტერინარების გარკვეულმა ნაწილმა, სცადა ფერმერებთან კომერციული თანამშრომლობის აწყობა. შეიძინეს მედიკამენტები, უმკურნალეს თავიაანთ სამოქმედო არეალში მყოფი მეურნეების პირუტყვს, მაგრამ ჩადებული საკუთარი კაპიტალის (მედიკამენტების საფასური) დიდი ნაწილის უკუგება ვეღარ შეძლეს, ან მათი უკუგება დროში ძალზედ შეუფერხდათ. აღნიშნულის მთავარ მიზეზად ვეტერინარებმა დაასახელეს მეურნეობების/მოსახლეობის დაბალი შემოსავლები მესაქონლეობის დარგიდან.

ფერმერები თვლიან, რომ რეგიონის ვეტექიმებს უნდა პქონდეთ მომსახურების ერთიანი პრეისკურანტი და იგი ცნობილი უნდა იყოს მათვის. რაც შეეხებათ შედარებით დიდ მეურნეობებს სადაც ერთდროულად 10 და მეტ მსხვილფეხა პირუტყვზეა გასაწევი გარკვეული ვეტერინარული მომსახურება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარკვეული შედავათები (მაგალითად, გარკვეული ვეტერინარული მომსახურება ერთ სულზე დირს 2 ლარი, ფერმერისათვის, ვისაც პყავს ათი სული, ხუთ სულზე ზევით გადაიხადოს 1 ლარი).

წარმოებული კვლევის შედეგად ჩვენ დავადგინეთ ვეტერინარული უბნის ის მინიმალური სიდიდე, რომელიც საშუალებას იძლევა ვეტექიმის საქმიანობისათვის. საბჭოთა პერიოდში არსებული ვეტერინარული უბნები სხვა სახეობებთან ერთად, როგორც წესი, 1500 და ზევით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აერთიანებდა. იმ პერიოდში ვეტერინართან ერთად აღნიშნულ უბანში 1 ფერმალიც იყო დასაქმებული. ჩვენი გამოთვლებით, დღესდღეობით ვეტერინარული უბანი სხვა სახეობებთან ერთად უნდა მოიცავდეს მინიმუმ 1000 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. ამ შემთხვევაში ვეტექიმს შეეძლება გამართული მუშაობა და ექნება სამომავლო განვითარების სტიმული. ჩვენი გამოთვლებით ყველა აუცილებელი ვეტერინარული ღონისძიებების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) გატარების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული სიდიდის უბანზე ვეტერინარის გამომუშავებამ თვეში მინიმუმ 800 ლარი უნდა შეადგინოს. სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების გარეშე და სხვა შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორების (როგორიცაა ფერმერთა 30%-ის მხრიდან ვეტერინარული ღონისძიებების უგულებელყოფა) გათვალისწინებით ვეტერინარის გამომუშავება შემცირდება თვეში 500 ლარამდე. რეგიონის (ქვეყნის) საშიში დაავადებებისაგან თავისუფლად გამოცხადებამდე

სახელმწიფო ვეტერინარული დონისძიებების განხორციელებაში ჩართულნი უნდა იყვნენ ადგილობრივი, შესაბამისი უბნის ვეტექიმები.

დასარეგულირებელია ვეტერინარის და სახელმწიფოს თანამშრომლობა. ვეტერინარული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი ერთგვარად ქვეყნის შიგნით უსაფრთხო გარემოს შექმნას ემსახურებიან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების გაწევა, მაგალითად, გათავისუფლება ყველა საგადასახადო ვალდებულებისაგან და მხოლოდ წლიური, ერთჯერადი საბიუჯეტო შენატანის დაწესება (მაგალითად 50 ლარი).

წარმოებული კვლევით გამოიკვეთა ფერმერთა დაინტერესება ძველი ვეტერინარული უბნების აღდგენით. ჩვენი აზრით, კერძო ვეტერინარიის განვითარებამდე, შექმნილი სიტუაციიდან კარგი გამოსავალი იქნებოდა ძველი ვეტერინარული უბნების აღდგენა, სადაც კერძო ვეტერინარები დასაქმდებოდნენ. ისინი განახორციელებდნენ როგორც კერძო საქმიანობას, ისე სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ დონისძიებებსაც. აღნიშნულ უბნებზე მომუშავე ვეტექიმებს უნდა ჰქონდეთ უფლება გასცენ პროდუქტის ვარგისიანობის (მაგ.: დაკლული პირუტყვის ხორცის) და პირუტყვის ჯანმრთელობის ცნობები. მათი საქმიანობა უნდა იყოს კოორდინირებული შესაბამის სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურებთან და მათგან პერიოდულად მოწმდებოდეს. ვეტერინარული უბნებისათვის ფართის გამოყოფა და მათი მოწყობა (ხანგრძლივ პერსპექტივაში აღჭურვა) უნდა განხორციელდეს ძირითადად სახელმწიფო პროგრამით, ნაწილობრივ თვითონ ვეტერინარების მიერ.

კოორდინაციისა და სამომავლო განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რაიონის მასშტაბით ვეტერინარული და ზოოტექნიკური ასოციაციების ჩამოყალიბება, მათ ბაზაზე რეგიონული ასოციაციის შექმნა. ასოციაციების მეშვეობით გაიოლდება ურთიერთობა, როგორც

სახელმწიფო სამსახურებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ისე ფერმერებთან. ასოციაციის შიგნით მოხდება გამოცდილების და სიახლეების ურთიერთგაზიარება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას. ასოციაციების შექმნის ინიცირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იუოს გეტერინარულ უბნებში დასასაქმებელი სპეციალისტების მსგავს ორგანიზაციებში გაერთიანების აუცილებლობა.

გეტერინარული პრეპარატებისა და მედიკამენტების, ასევე სპეციალისტებისა და მეურნეობებისათვის აუცილებელი სხვა სპეციალური აღჭურვილობის შესაძენად რეგიონის ყველა რაიონულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს მინიმუმ ერთი მაღაზია (რეგიონის ცენტრში ახალციხეში ფუნქციონირებს ოთხი მაღაზია). მათში არსებული ფასები, ხშირ შემთხვევაში, საგრძნობლად აღემატება ანალოგური საქონლის ფასებს თბილისის აფთიაქებსა და მაღაზიებში.

ფერმერული ორგანიზაციები: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებობს რამდენიმე ფერმერული/საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომლებიც, როგორც მემროხეობის, ისე სხვა მიმართულების მქონე მეურნეობებს თავაზობს საკონსულტაციო დახმარებას. აუცილებელ პროდუქციას თავაზობს ფერმერებს რამდენიმე აგრომაღაზია.

აღნიშნული ორგანიზაციები ინიცირებული და დაარსებულია სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო პროექტების ფარგლებში. არსებული მდგომარეობით მათი უმეტესობის საქმიანობა შორსაა მდგრადი და წარმატებული ბიზნესსაქმიანობისაგან, თუმცა მისასალმებელია, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაწყებულია.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია არა მხოლოდ მეძროხეობით დაკავებული მეურნეობების გაერთიანებების ჩამოყალიბება, არამედ სასოფლო-სამეურნეო ფერმერული გაერთიანებების შექმნაც.

ცალკეულ ფერმერებს სურთ თუ არა ფერმერულ ასოციაცებში/გაერთიანებებში შესვლა, მაინც უხდებათ მრავალ საკითხზე სხვა ფერმერებთან თანამშრომლობა (მაგ.: სათიბ-საძოვრების მართვისას, ნახირის სტრუქტურის ფორმირებისას, დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისას და სხვა). აღნიშნული თანმაშრომლობის აუცილებლობაზე ჩვენ წინა თავებშიც ვისაუბრეთ.

საჭიროდ მიგვაჩნია განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილების მეცნიერული შესწავლა და მათ საფუძველზე რეგიონში (საქართველოში) არსებული სიტუაციისათვის ყველაზე მისაღები ფორმის ფერმერული გაერთიანებების დაარსება.

ფერმერული გაერთიანებებით გაიოლდება ფერმერებს შორის ურთიერთობანამშრომლობა, ხელი შეეწყობა მათი წარმოებითი პოტენციალის ზრდას, ხარისხიანი და კონკურენტურიანი პროდუქციის შექმნა-რეალიზაციას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს თითოეული ფერმერის განვითარებას და მათი შემოსავლების მატებას.

სახელმწიფო ორგანიზაციები: რეგიონში მოქმედი სახელმწიფო დაწესებულებებიდან, რომელთა მუშაობაზეც დიდადაა დამოკიდებული ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობა, გამოვყოფთ ახალციხის "ეპიდემიოლოგიური-მონიტორინგის სადგურს" და "სურსათის უვნებლობის, კეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს". ორივე დასახელებული ორგანიზაციის უმთავრეს ფუნქციას მონიტორინგი წარმოადგენს.

ქალაქ ახალციხის "ეპიდემიოლოგიური-მონიტორინგის სადგური" 2009 წლიდან გადავიდა ახლად აშენებულ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ შენობაში. მისი თანამშრომლები სისტემატურად გადიან სწავლებისა და გადამზადების კურსებს და იმაღლებენ კვალიფიკაციას. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად გაიზარდა იმ

ღონისძიებების ნუსხა რომელთა ლაბორატორიული გამოკვლევა აღნიშნულ დაწესებულებას მანამდე არ შეეძლო.

მეძროხეობით დაკავებულ მეურნეობებს (და არა მარტო მათ) შეუძლიათ სხვადასხვა გამოკვლევისათვის, ან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის (პარამეტრების) დასადგენად, მიმართონ აღნიშნულ დაწესებულებას. აქეე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების საფასური ფერმერებისათვის ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა (ხშირ შემთხვევაში გაორმაგდა). მაგალითად, 2007 წლამდე სისხლის ანალიზს ისეთ საშიშ დაავადებაზე, როგორიცაა ბრუცელოზი, სახელმწიფო აფინანსებდა. 2007 წლიდან აღნიშნული ანალიზი ფერმერებისათვის 2 ლარი გახდა, ხოლო 2010 წლიდან გაორმაგდა და სინჯზე 4 ლარი შეადგინა.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში, უნდა შედგეს რეგიონში არსებული პირუტყვისთვის და იმავდროულად ადამიანებისთვისაც, ყველაზე საშიში დაავადებების ნუსხა (მაგალითად, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ცოფი, ციმბირის წყლული, თურქული) და ფერმერებს გაუუქმდეთ მათზე “ეპიდემიოლოგიური-მონიტორინგის სადგურის” მომსახურებისთვის დაწესებული საფასური, ან სიმბოლურად განესაზღვროთ ანაზღაურების სიდიდე (მაგალითად სინჯი 1 ლარი).

“სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური” წარმოდგენილია რეგიონის ყველა რაიონულ ერთეულში. თითოეული ერთეული შემოიფარგლება სამი, მაქსიმუმ ოთხი თანამშრომლით, ერთი სპეციალისტი ვეტერინარიის განხრით, ერთი სპეციალისტი მცენარეთა დაცვის განხრით და სამსახურის ხელმძღვანელი. აღნიშნული სამსახურის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მონიტორინგის განხორციელება. ძირითადად მათ უხდებათ იმ ღონისძიებების მონიტორინგი, რომელიც სახელმწიფო პროგრამების ჩამონათვალშია შეტანილი. მაგალითად, ვეტერინარიის

კუთხით: თურქულის, ციმბირის წყლის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ცოფის. ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამების შესრულება იმდენად შემცირდა, რომ მათმა ამ ფორმით განხორციელებამ პრაქტიკულად აზრი დაკარგა. შეინიშნება ტენდენცია სახელმწიფო პროგრამების საერთოდ შეწყვეტისა, რაც ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია მანმადე, სანამ საქართველო არ იქნება ზემოაღნიშნული დაავადებებისაგან თავისუფალი ქვეყანა.

“სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის” წარმომადგენლების მიერ რაიმე დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში იქმნება “გამოუვალი” სიტუაცია. მაგალითად, პირუტყვის მძიმე დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში, ერთი მხრივ, დაავადებული პირუტყვი განადგურებას ექვემდებარება, მეორე მხრივ, ეს პირუტყვი წარმოადგენს მეურნეობის კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრება კი კანონმდებლობით ხელშეუხებელია. მსგავს სიტუაციებში სახელმწიფოს მხრიდან ფერმერებისათვის გადასახდელი საკომპენსაციო სისტემის არსებობის შემთხვევაში პრობლემა გადაიჭრებოდა და ზემოთაღნიშნული სამსახურის მუშაობის ეფექტიანობაც გაიზრდებოდა. საკითხის გადაუჭრელობა დიდ საფრთხეს უქმნის როგორც მეძროხეობის, ისე სხვა მიმართულების მეურნეობებს, ასევე მათ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ნებისმიერ მომხმარებელს. სამწუხაროა, მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი მეურნეობა ინახავს დაავადებულ პირუტყვს. რეგიონში არსებობს სხვადასხვა ადამიანისა და ცხოველისთვის საშიში დაავადებების კერები, რომელთა გაუვნებლება არსებული პრობლემების გამო “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის” არ შეუძლია.

2010 წლის ბოლოდან ზემოაღნიშნულ სამსახურში შემცირებულ იქნა თანამშრომლების გარკვეული რაოდენობა, რის შემდეგაც

ზოგიერთ რაიონულ სამსახურში, მხოლოდ ერთი წარმომადგენელია დატოვებული.

თავისი მნიშვნელობით “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახური” წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ორგანოს და უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ამ სამსახურის სწორი რეორგანიზაცია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საკმარისი რაოდენობის კადრების მომზადება და დასაქმება. ჩვენი ვარაუდით თითოეულ რაიონულ ცენტრში მინიმუმ შვიდი სპეციალისტია დასასაქმებელი: ხელმძღვანელი, სპეციალისტი ვეტერინარი და მისი თანაშემწე, სპეციალისტი მცენარეთა დაცვაში და მისი თანაშემწე, სპეციალისტი სურსათის უვნებლობაში და მისი თანაშემწე.

“სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურმა” უნდა შეაგროვოს, დაამუშაოს და მათ საფუძველზე პროგნოზი გაუკეთოს შესაბამის მონაცემებს, რაც დღევანდელი სოფლის მეურნეობისათვის ესოდენ საჭიროა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ზოგადად ქვეყანაში), ცხოველთა ჯანმრთელობის კეთილსაიმედო გარემოს შექმნამდე, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ მონიტორინგის ჩამტარებლის ფუნქციის შესრულება, არამედ ქმედითი, მიზანმიმართული და რაც მთავარია, სისტემატური პროგრამების ფუნქციონირება. ჩვენ მიერ აღნიშნულ ქვეთავაზებულია რამდენიმე ასეთი დონისძიების განხორციელების სქემა.

3.5 რძის გადამმუშავებელ საწარმოთა გაადგილება და მათი განვითარების გზები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მისი ბუნებრივ-კლიმატური რესურსებიდან გამომდინარე, ყოველთვის მძლავრად იყო განვითარებული

მექროხეობა (ყოფილი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები) და შესაბამისად, რძის გადამმუშავებელი წარმოება.

აქ იწარმოებოდა მრავალი სახის რძის პროდუქტი. ყველის ნაირსახეობები, განსაკუთრებით განთქმული იყო ქარხნული ყველები: ქართული და შვეიცარიული. ადგილობრივი მოსახლეობის მონაცემებით, რეგიონში არსებობდა სხვადასხვა რძის პროდუქტის წარმოების ტრადიცია, რომელიც, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში დაიკარგა. ამის პარგ მაგალითად შეგვიძლია მოგიყვანოთ “ტენილი ყველი”, რომელიც დღესდღეობით თითო-ოროლა ოჯახშიდა იწარმოება და თუ მას სათანადო ყურადღება არ მიექცა, არსებობს დიდი საფრთხე მისი ტექნოლოგიის დაკარგვისაც.

დღესდღეობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ძირითადად იწარმოება ყველის შემდეგი სახეობები: ქართული (ე.წ. ქარხნული ყველი), იმერული ყველი, სულგუნი (ასევე შებოლილი სულგუნი), ჩეხილი (მცირე რაოდენობით ობიანი ჩეხილი) და ტენილი (ძირითადად ადიგენის და ასპინძის რაიონების ოჯახურ მეურნეობებში).

რძის სხვა პროდუქტებიდან აქ აწარმოებენ: ხაჭოს, ოჯახურ კარაქს, ნადულს, მაწონს. თუმცა მათი წარმოება, რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მცირეა. რძის პროდუქტებიდან რეგიონში ძირითადად მაინც ყველს აწარმოებენ.

ყველის წარმოება: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რძის პროდუქტებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ყველის წარმოება. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს რეგიონში (განსაკუთრებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში) იწარმოებოდა მაღალხარისხიანი “შვეიცარიული” ყველი, ხანგრძლივი დამწიფებით. ყველის ბევრი საწარმო აწარმოებდა ქართულ, ე.წ. ქარხნულ ყველს. საბჭოთა სისტემის მოშლის შემდეგ აღნიშნული საწარმოები დაიშალა. მას შემდეგ რეგიონში შეწყდა ისეთი

მნიშვნელოვანი და ხარისხიანი პროდუქტის წარმოება, როგორიცაა “შვეიცარიული” ყველი. რაც შეეხება ქარხნულ – ქართულ ყველს, მისი წარმოება შედარებით ითლი ტექნოლოგიის გამო არ შეჩერებულა. თუმცა საწარმოების მაგივრად მისმა წარმოებამ შედარებით მსხვილ ოჯახულ მეურნეობებში გადაინაცვლა. ქარხნული ყველის წარმოებას, იმერულ ყველთან შედარებით, ესაჭიროება დიდი რაოდენობის რძე. ერთი თავი ქარხნული ყველი დაახლოებით $5 \div 6$ კილოგრამს იწონის. შესაბამისად მის საწარმოებლად საჭიროა 50 ლიტრამდე რძე. უმჯობესია ერთი ნაწველი პერიოდის (დილა ან საღამო) რძე. ამ რაოდენობის რძე კი მხოლოდ იმ მეურნეობებს უგროვდებათ, ვისაც $5 \div 6$ და მეტი სული მეწველი ძროხა ჰყავთ. სათიბ-საძოვრების სიუხვის გამო მეურნეობები შედარებით დიდი მერძეული ფურების სულადობით განლაგებულია ჯავახეთში (ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში), შესაბამისად ქართული-ქარხნული ყველიც ძირითადად აქ იწარმოება, ჯავახეთთან შედარებით მცირე რაოდენობით სამცხეში. ადიგენის და ბორჯომის რაიონებისთვის დამახასიათებელია იმერული ყველისა და სულგუნის წარმოება (ასევე შებოლილი სულგუნი). ასპინძასა და ახალციხეში იწარმოება, როგორც ქარხნული, ისე იმერული და სულგუნის ტიპის ყველი. ყველა რაიონში მცირე რაოდენობით იწარმოება ჩეხილი ყველი.

სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის რეგიონული სამსახურისა და რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, დღესდღეობით რეგიონში სახელმწიფო სამეწარმეო რეესტრით რეგისტრირებულია 44 რძის და რძის პროდუქტების გადამუშავებით და რეალიზაციით დაკავებული ორგანიზაცია (იხილეთ დანართი 8). ხოლო ხორცისა და ხორც პროდუქტების გადამუშავებით და რეალიზაციით დაკავებულია 4 ორგანიზაცია (იხილეთ დანართი 9).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებით და რეალიზაციით დაკავებული 44 ორგანიზაციიდან 16 ნინოწმიდის რაიონშია, 12 ახალციხის რაიონში, 5 ასპინძის რაიონში, 4÷4 ახალქალაქისა და ადიგენის რაიონებში, ხოლო 3 ბორჯომის რაიონში.

44 ორგანიზაციიდან 10 მხოლოდ რძის შეგროვებით არის დაკავებული, ანუ რძის შემგროვებელ პუნქტებს წარმოადგენს. აღნიშნული რძის შემგროვებელი პუნქტები ძირითადად ადიგენის, ახალციხის და ასპინძის რაიონებშია განთავსებული. ისინი რეგიონში მოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდითაა ინიცირებული და დაარსებული. მოპოვებული მონაცემებით თვითოვეულს დღეში $2\frac{1}{2}$ ტონა რძის შეგროვების შესაძლებლობა გააჩნია (შემგროვებელი რეზერვუარის მოცულობიდან გამომდინარე). ათივე რძის შემგროვებელი ცენტრი რეგიონში 2007 წლის შემდეგაა დაარსებული.

ძველად საბჭოთა მეურნეობებში მისდევდნენ მერძეულ მეძრონეობას და იქ დამზადებულ რძეს ამუშავებდნენ რძის გადამმუშავებელ საწარმოებში. ამ პროცესებიდან სოფლის მოსახლეობა (როგორც მეურნე) გამოთიშული იყო. შესაბამისად რეგიონში უცხოა რძის ჩაბარების ტრადიცია. უნდა ითქვას იგი ახლა ყალიბდება. როგორც უველა ახალ წამოწყებას, მასაც რიგი სირთულეებისა სდევს თან. რძის შემგროვებელი პუნქტის ხელმძღვანელების აღნიშვნით, რძის შეგროვების კულტურა რეგიონში, როგორც მათთვის, ისე რძის ჩამბარებელი მეურნეობებისათვის სიახლეა. რაც მათ მუშაობაში თავისებურ ხარვეზებს წარმოშობს.

ზემოთ დასახელებული რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებით და რეალიზაციით დაკავებული 44 ორგანიზაციიდან, ჩვენ მიერ წარმოებული კვლევით, 7 საქმიანობას პრაქტიკულად აღარ ეწევა, ხოლო $4\frac{1}{5}$ მათგანის საქმიანობა არასტაბილურია.

ჩვენ მიერ კვლევის პროცესში მონახულებული ვერც ერთი, რძის პროდუქტების მწარმოებელი ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ეგრეთ წოდებულ „HACCP“-ის სტანდარტებს. მათგან მხოლოდ $4\div 5$ მათგანს აქვს აღჭურვილობა რძის პასტერიზებისათვის, რაც ჩვენი აზრით, რეგიონში არსებული არასახარბიელო პიგიური მდგომარეობის გამო აუცილებელია.

გარდა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისა, ყველა ის ოჯახური მეურნეობა, რომელიც მისდევს მერძეულ მესაქონლეობას, აწარმოებს სხვადასხვა სახის რძის პროდუქტებსაც. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნაწილი აღნიშნული ოჯახური მეურნეობებისა რძის პროდუქტებს სარეალიზაციოდაც აწარმოებს, ნაწილი კი მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის.

მეურნეობებისთვის, რომლებიც რძის პროდუქტებს, როგორც სარეალიზაციოდ, ისე პირადი მოხმარებისთვის აწარმოებენ, დამახასიათებელია სარეალიზაციო პროდუქციის გაზაფხულ-ზაფხულში წარმოება, ხოლო პირადი მოხმარებისათვის ზაფხულის ბოლოს და შემოდგომით. ზაფხულის ბოლოდან ცხიმიანობა რძეში, წინა პერიოდთან შედარებით, მატულობს და იზრდება გამოსავლიანობა პროდუქციის წარმოებაში. რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის მოსახლეობისათვისც ცხიმიანი პროდუქტი ხშირ შემთხვევაში მაღალხარისხიან და მარგებელ პროდუქტთან ასოცირდება.

სამცხის შედარებით დიდი სულადობის მექროხეობის მეურნეობები გაზაფხულიდან (აპრილი, მაისიდან) შემოდგომამდე (ოქტომბერი, ნოემბერი) საზაფხულო საძოვრებზე მიდიან. იქვე წარმოებს მათ მიერ რძის პროდუქტების წარმოება და დასაწყობება/ დამწიფება, რაც გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. საზაფხულო ბინებზე ძირითადად არ არის ელექტროენერგია, სუფთა წყალიც, ხშირ

შემთხვევაში, შორი მანძილიდანაა მოსატანი, რაც, თავის მხრივ, წარმოებული პროდუქციის ხარისხზე აისახება.

რძის პროდუქტების წარმოება ოჯახური მოხმარებისათვის და სარეალიზაციოდ ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სარეალიზაციო პროდუქტი უნდა იყოს შედარებით ერთგვაროვანი და მაღალი ხარისხისა, რაც ოჯახურ მეურნეობებში რთული მისაღწევია.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ მეურნეობებში, რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში აღინიშნა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- არაკეთილსაიმედო ნედლეულის წყაროები (რეგიონში ხშირია მ.რ.პ.-ის დაავადებები, რომლებიც აფერხებენ უვნებელი და ხარისხიანი პროდუქციის სტაბილურ წარმოებას);
- ხარისხიანი რძის პროდუქტების წარმოებისათვის არასათანადო აღჭურვილობა;
- მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების გამოუცდელობა (რძის პროდუქტების მწარმოებელთა/სპეციალისტთა ნაკლებობა);
- რძის პროდუქტების დასაწყობების და რეალიზაციის საკითხების მოუგვარებლობა;
- ფინანსური პრობლემები (აგრარული სესხების და კრედიტების მიღების სირთულე).

სამცხე-ჯავახეთში მესაქონლეობის და რძის გადამმუშავებელი საწარმოების (ოჯახური მეურნეობების) გაადგილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მოზიდვით ხელი შეეწყოს საშუალო და მცირე ზომის რძის გადამმუშავებელი საწარმოების განვითარებას.

გადამმუშავებელი საწარმოების განვითარებით ვთვლით, ფერმერებისთვის მოგვარდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა წარმოებული რძის რეალიზაცია და საბრუნავი საშუალებების სიმცირე. გადამმუშავებელი საწარმოებისათვის

მნიშვნელოვანია კეთილსაიმედო და მითთვის საკმარისი ნედლეულის წყაროს არსებობა, რისთვისაც ისინი ინგესტიციების ჩადებაზე მზად იქნებიან და დროთა განმავლობაში (ერთ, ორ წელიწადში) რეგიონში შესაძლებელი იქნება რძის მწარმოებელ ფერმერებსა და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის აეწყოს წინასწარი სახელშეკრულებო თანამშრომობა, რის საფუძველზეც ფერმერები შეძლებენ მათ მიერ წარმოებული რძის საფასურის წინასწარ, მათთვის საჭირო დროს მიღებას და არა უშუალოდ მისი ჩაბარებისას, როგორც ეს ზოგიერთ განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანაშია დანერგილი.

რძის მწარმოებელ ფერმერსა და მის გადამმუშავებელ საწარმოებს შორის სახელშეკრულებო თანამშრომლობა, ფერმერებს საშუალებას მისცემეს, მეურნეობის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ახალი ინგესტიციების მოზიდვისათვის მიმართონ ფულად-საკრედიტო ინსტიტუტებს.

აღნიშნული პრობლემები ჩვენ შეძლებისდაგვარად ამომწურავად განვიხილეთ მოცემულ ნაშრომში (რძის პროდუქტების რეალიზაციის საკითხები მოცემულია მომდევნო თავში) და წარმოვადგინეთ მათი გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

თავი 4. რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის ფორმირება და განვითარება

4.1 აგრომარკეტინგი და სასურსათო ბაზრის თავისებურებანი

აგრომარკეტინგი: აგრომარკეტინგი სრულიად განსხვავდება სამრეწველო, კომერციული, საბანკო, საგამომცემლო და სხვა სახის მარკეტინგისგან. ამას განაპირობებს ამ დარგის თავისებურებები-მიღებული შედეგების დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე, საქონლის როლსა და მნიშვნელობაზე, საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე, საქონლის წარმოების, მიღებისა და გასაღების სეზონურობაზე, მეურნეობების ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნებაზე, საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე. აგრობიზნესის საქმიანობაში ბუნებრივი და ეკონომიკური პროცესები ინტეგრირებული ხდება და მარკეტინგის წარმოებისა და ორგანიზაციისათვის განსაკუ-თრებულ პირობებს ქმნის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (ფერმერული მეურნეობების) შექმნამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადანაწილებამ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სამომხმარებლო ბაზრის ახლებურად წარმოჩენამ დარგი აუცილებელი რეფორმების წინაშე დააყენა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ დასრულებულა.

აგრომარკეტინგი როგორ სისტემას წარმოადგენს, რაც მის თავისებურ რეგულირებასა და მართვას მოითხოვს. ნებისმიერი ადამიანი ასე თუ ისე ყოველდღიურად ეხება სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგს, მაგრამ ცოტას თუ წარმოუდგენია ამ დარგში მიმდინარე მარკეტინგული პროცესის სირთულე.

მარკეტინგი ბაზართან დაკავშირებული საქმიანობაა, ოღონდ აგრარულ სფეროსთან დაკავშირებით მისი არსი ბევრად უფრო ფართოა. მარკეტინგი განიხილება, როგორც საქმიანი აქტიურობა, რომლის მეშვეობითაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მომსახურება ფერმერული მეურნეობებიდან მომხმარებლისაკენ მიემართება. აგრო-მარკეტინგი, როგორც წესი, იწყება სასოფლო-სამეურნეო საწარმოში და თავდება მაშინ, როცა პროდუქციას საბოლოო მომხმარებელი შეიძენს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგული საქმიანობის მთელმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საჭირო დროს, საჭირო ადგილზე და საჭირო ფორმით პროდუქციის მიწოდება მომხმარებლისათვის.

მარკეტინგი, როგორც ბაზრის მართვის კონცეფცია, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობების წარმოება-გასადების, ვაჭრობის, ორგანიზაციისა და მართვის სისტემას. სასურსათო ბაზრის დრმა და ყოველმხრივი ცოდნა ფერმერული მეურნეობების შემოსავლების მიღებისა და მათი ზრდის საფუძველია.

იმის გამო, რომ მწარმოებელს (გამყიდველს) და მომხმარებელს (მყიდველს) პროდუქციის მიმართ სხვადასხვა ინტერესი აქვს, აგრომარკეტინგი გარდაუვალად გულისხმობს მონაწილეობა შორის ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტს. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემაერთებელი რგოლი სურსათის სპეციალიზებულ მწარმოებელსა და მის მომხმარებელს შორის. აგრომარკეტინგი სცემს პასუხს ძირითად ეკონომიკურ კითხვებს: რა ვაწარმოოთ, რა რაოდენობით, რომელი ხერხით, როგორ და სად გავანაწილოთ.

აგრომარკეტინგის პრაქტიკული გამოყენების თავისებურებანი სპეციფიკურია და საქმიანობის სფეროზეა დამოკიდებული (მეცხოველეობა, მემცენარეობა, ტრანსპორტირება და ა.შ.), სწორედ

მასთან არის დაკავშირებული ფუნქციების, ამოცანების და საბოლოო ჯამში, აგრომარკეტინგული სამსახურების საქმიანობის შინაარსი.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ ფერმიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის მთელ გზაზე, აგრომარკეტინგის შემდეგ ფუნქციებს: 1. გაცვლის ფუნქცია, ანუ პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა; 2. პროდუქციის გადამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება; 3. საქონლის ბაზარზე დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა – სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება, დაფინანსება, რისკების დაზღვევა, ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება.

აგრარული მარკეტინგის ინსტიტუციური იერარქია შეიძლება წარმოვიდგინოთ: სავაჭრო შუამავლები (საბითუმო და საცალო მოვაჭრეები), საშუამავლო აგენტები, საშუამავლო სპეციალიანტები, მარკეტინგის ხელშეწყობი ორგანიზაციები, პროდუქციის გადამმუშავებელი და საბოლოო სახის მიმცემნი.

ფერმერული მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მართვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა აგრომარკეტინგი. მარკეტინგის კონცეფციაზე ორიენტაცია ბევრად განაპირობებს ფინანსების, მომარაგების, გასაღების სამსახურების, განყოფილებების ორგანიზაციული აგების, საკადრო პოლიტიკის მართვის ხასიათს.

აგრომარკეტინგის სისტემა უფრო არსებით საბაზრო ურთიერთობებს და საინფორმაციო ნაკადებს მოიცავს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს პროდუქციის გასაღების ბაზრებთან აკავშირებს. ფერმერული მეურნეობა ბაზართან და მის მარკეტინგულ გარემოსთან კავშირს ამყარებს, მასზე ინფორმაციას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მომსახურებას მიმართავს, ხოლო მის სანაცვლოდ ფულს, ნედლეულს, სასუქებს, საწვავს და ტექნიკას დებულობს.

სახურსათო ბაზრის თავისებურებანი: საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან რამდენიმე წელიწადში სამთავრობო ორგანოებმა შექმნეს ბაზრის ფუნქციონირების რიგი მექანიზმები და პირობები, გაუქმდა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების სახელმწიფო რეგლამენტაცია, მართვის სხვა ნიშნები. მოქმედება დაიწყო საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების დაახლოებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოში გამოიკვეთა სასურსათო ბაზრის კონტურები და დაიწყო მისი ფორმირება.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ბაზარი თავისი ფულით, მყიდველით ხმას ისეთ პროექტს მისცემს, რომელიც უფრო აკმაყოფილებს მოთხოვნას და შედარებით იაფიცაა. აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერი მუდმივად უნდა მიისწრაფოდეს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის და იაფი პროდუქტის წარმოებისკენ.

სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის დაუცველობა, უყურადღებობა. საქართველოში უსისტემოდ, ყოველგვარი რეგულირების გარეშე დიდი რაოდენობით შემოდის უცხო ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის უხარისხო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი წარმოების ზრდას. ბოლო წლებში თბილისის რძის კომბინატებს საზღვარგარეთიდან შემოაქვთ დიდი რაოდენობით დაბალი ხარისხის, ვადაგასული რძის ფხვნილი, რომლითაც გადამუშავების შემდეგ, ძირითადად, ამარავებენ თბილისისა და რუსთავის საგაჭრო ობიექტებს. საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს რძისა და რძის პროდუქტების გაყიდვა აღნიშნულ ბაზრებზე ამ პროდუქტების გადამუშავებისათვის სანიტარული პირობების დაუცველობის მიზეზით შეზღუდული აქვთ.

ეს მდგომარეობა მკვეთრად აფერხებს საქართველოში მერძეული მეძროხეობის განვითარებას, ხელს უწყობს ძროხის სულადობის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების არასრულ გამოყენებას, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, საქართველოდან გალუტის სხვა ქვეყნებში გადინებას და ა.შ. ჩვენი აზრით სახელმწიფომ რძესა და რძის პროდუქტებზე, ხორცსა და ხორც-პროდუქტებზე, ხორბალსა და ფქვილზე და სხვა იმპორტირებულ სასურსათო პროდუქტებზე, რომელთა წარმოებაც ადგილზეა შესაძლებელი, საბაჟო გადასახადები უნდა გაზარდოს იმ დონემდე, რომ ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის ხელსაყრელი იყოს კვების პროდუქტების ადგილზე წარმოება და არა მათი საზღვარგარეთ შესყიდვა-რეალიზაცია. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების განვითარებას, კვების მრეწველობის საწარმოთა აღდგენას და ფუნქციონირებას. სხვა მხრივ საქართველოში სასურსათო კომპლექსი ვერ განვითარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო ეკონომიკაზე გადასვლამდე დარგში იწარმოებოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 40%-ზე მეტი. შიდა ბაზარი მოიხმარდა წარმოებული დაფასოებული ჩაის მხოლოდ 1%-ს, ეთერ-ზეთების 10%-ს, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების 24%-ს, ყურძნის ღვინოების 36%-ს, ბრენდის (კონიაკის) 8%-ს, შამპანური ღვინოების 25%-ს, მინერალური წყლების 40%-ს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კვების და გადამმუშავებელი მრეწველობა ძირითადად ორიენტირებული იყო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე. ამავდროულად მიღებული ამონაგებით ქვეყანაში შემოჰკონდათ იმ სახის კვების პროდუქტები, რომლებიც ნაკლები რაოდენობით იწარმოებოდა საქართველოში. მაგალითად, 1989 წელს რესპუბლიკა 711,4 ათას ტონა რძეს აწარმოებდა, ხოლო გარედან 1187,7 ათასი ტონა რძე და რძის პროდუქტები შემოჰკონდა. შესაბამისად,

ხორცი 178,8 და 89 ათასი ტონა, შაქარი 39 და 228 ათასი ტონა, მცენარეული ზეთი 6 და 22 ათასი ტონა, მარცვლეული 484,2 და 1676 ათასი ტონა და ა.შ. 1989 წელს საქართველოს კვების მრეწველობაში საექსპორტოდ გაიტანა 2573 მილიონი მანეთის და შესაბამისად, შემოიტანა 1142,5 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია, ანუ გაიტანა 1430 მილიონი მანეთის ღირებულების საქონლით მეტი, ვიდრე შემოიტანა. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებმა 2763 მილიონი მანეთის პროდუქცია გაიტანეს და 1500 მილიონი მანეთის საქონელი შემოიტანეს, ანუ გაიტანეს 1263 მილიონი მანეთით მეტი. 90-იან წლებში სოფლად შექმნილი რთული სიტუაციის გამო საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა კვების პროდუქტების წარმოების დონე. ამ პერიოდში 16-ჯერ შემცირდა შაქრის წარმოება, 30-ჯერ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, 8-ჯერ ღვინის, 4,5-ჯერ მინერალური წყლების, 457-ჯერ საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და სხვა კვების პროდუქტების წარმოება, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, მოსახლეობის სურსათით მომარაგების დონეზე. ამიტომ დადგა ქვეყნის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა. ამან გამოიწვია სხვა ქვეყნებიდან უსისტემოდ ხარისხიანი და უხარისხო პროდუქტების შემოტანა, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე. მაშასადამე, მნიშვნელოვნად დაირღვა შიდა ბაზრების საკუთარი წარმოების პროდუქტებით გაჯერების არსებული პროპორციები. საქართველოში შემოდის ისეთი სახის პროდუქტებიც, რომელთა წარმოება ქვეყანაში იზრდება, ხოლო რეალიზაცია ფერხდება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი ბუნებრივ-კლიმატური პირობების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ასე არ უნდა უჭირდეს.

მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის უმთავრესი მიზეზია ქვეყანაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების უაღრესად დაბალი დონე, საქართველოს სიმდიდრის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოყენება და სხვა.

სასურსათო პრობლემების გადაწყვეტისადმი მიზნობრივი, კომპლექსური მიდგომის უმთავრესი მიმართულება ის არის, რომ გაერთიანდეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის ყველა დარგის ძალები. ეს აქტუალური ამოცანაა, რადგან სასურსათო კომპლექსის დარგების განვითარებაში ჩამოყალიბდა განსაზღვრული დისპროპორციები, საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და ვაჭრობის სფეროში. აქედან გამომდინარე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ჯაჭვის ყველა რგოლზე, რომლითაც სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქცია ბაზრამდე აღწევს.

სასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მისი განვითარება ქაოსურად მიმდინარეობს. ხშირია პროდუქციაზე ფასების ზრდა, ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტი და სხვა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როდესაც ბაზარზე მცირდება ერთი სახეობის (მაგ.: მარცვლეული) პროდუქცია, მასზედ დამოკიდებულ (მაგ.: მეცხოველოების) სხვა სახის პროდუქციაზე თვითდირებულიება საგრძნობლად იზრდება.

4.2 საქართველოს რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის მიმოხილვა / კვლევები

ჩვენ მიერ მოპოვებულია საქართველოში მოქმედი უცხოური არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული საქართველოს რძისა და რძის პროდუქტების ბაზრის კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევები განხორციელდა 2004–2007 წლების პერიოდში და ხშირ შემთხვევაში, ზოგადი სახისაა. მათი განხილვის პროცესში ჩვენ, შესაძლებლობების ფარგლებში, შევაცადეთ გაგვახლებინა მონაცემები.

საქართველოში იწარმოება ძირითადად ძროხის რძე. ბოლო 10 წლის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში მთლიანად წარმოებული რძის მოცულობის 90%-ზე მეტი ძროხის რძეზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ოჯახური მეურნეობები რძის წარმოების პროცესში თითქმის არ იყენებენ სპეციალურ დანადგარებს. აქ ძირითადად გამოყენებულია ქალების ფიზიკური შრომა. მწველავები ძროხებს დღეში ორჯერ ხელით წველიან, შემდეგ რძეს გადაამუშავებენ ისეთ პროდუქტებად როგორიცაა: ყველი, მაწონი, კარაქი, არაჟანი და სხვა.

საქართველოში არსებობს რძისა და რძის მწარმოებელთა სამი ტიპი:


- 1 ცალკეული ოჯახური მეურნეობები, რომლებიც აგროვებენ საკუთარი პირუტყვის რძეს;
- 2 მცირე მწარმოებლები, რომლებიც რძეს აგროვებენ ცალკეული ოჯახური მეურნეობებისგან;
- 3 მსხვილი მეწარმეები, რომლებიც ძირითადად მუშაობენ იმპორტირებულ რძის ფხვნილზე.

მცირე ზომის (საოჯახო) საწარმოებში დასაქმებულია 1÷3 ადამიანი და ისინი ძირითადად განლაგებულნი არიან დედაქალაქის ფარგლებს გარეთ. მცირე მეწარმეები საკუთრივ წარმოებული რძის გარდა, აგროვებენ რძეს მეზობლებისაგან, გადაამუშავებენ მას ოჯახურ პირობე-

ბში და პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად თბილისში ან სხვა დიდ ქალაქებში ახდენენ. რაც შეეხება საშუალო და მსხვილი ზომის მწარმოებლებს, ისინი ძირითადად თბილისში არიან თავმოყრილნი და მათ საწარმოო პროცესში ჩადებული აქვთ გარკვეული ინვესტიციები პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკეული ოჯახური მეურნეობების მიერ რძის გადამუშავება ყველის, კარაქის, მაწვნისა და სხვა პროდუქტების მისაღებად წარმოებს ოჯახურ პირობებში. დიაგრამაზე 30 მოცემულია რძის სხვადასხვა პროდუქტების საბაზო წილი 2004 წლისათვის.

დიაგრამა 30: საქართველოში რძის პროდუქტების მოხმარება (%-ში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველო ოჯახებში 2005 წელი.

ყველა სახის რძის პროდუქტებს შორის მაღალი საბაზო წილი რძის შემდეგ უკავია ყველს. ყველის მწარმოებლები ძირითადად ამზადებენ იმერული, ქარხნული და სულგუნის ტიპის ყველს. წარმოება სეზონური ხასიათისაა და ჩერდება ზამთრის პერიოდში.

საქართველოში წარმოებული რძის პროდუქციით ვერ ხერხდება მასზედ შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება. სტატისტიკის სახელმწიფო

დეპარტამენტის მონაცემებით, რძის პროდუქციის სრული მოხმარება 2004 წელს შეადგენდა 207 კგ-ს ერთ სულ მოსახლეზე. ამავე, დროს სტატისტიკა არ მოიცავს პროდუქციის ინსტიტუციურ მოხმარებას, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, ჯარის ნაწილების კვებას და ა.შ. მთლიანობაში, რძის პროდუქტების სექტორი ხასიათდება ოფიციალური სტრუქტურისა და საცალო ვაჭრობის მარკეტინგული არხების ნაკლებობით. ამრიგად, მარკეტინგის არაორგანიზებული ინფრასტრუქტურა იძულებულს ხდის ადგილობრივ მწარმოებლებს თავად აწარმოონ საკუთარი პროდუქციის მარკეტინგი.

რძე და ყველი წარმოადგენს ძირითადად მოხმარებული რძის პროდუქტს, მოხმარების 82% და 13%-იანი მაჩვენებლით. ყველის სახეობებს შორის ყველაზე პოპულარულია (მოთხოვნადია) “იმერული” და “სულგუნის” ტიპის ყველები. რაც შეეხება რძეს, მისი მოხმარების 71% ქარხნული რძე შეადგენს, რომლის თითქმის 100% რძის ფხვნილისგანაა წარმოებული და მხოლოდ 11%-ია ნატურალური რძე.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, 2004 წელს ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა დაახლოებით 15.96 ტონა რძე, ფულადი გამოსახულებით 17516.8 ათასი აშშ დოლარი.

ცხრილი 24: 2004 წელს საქართველოში იმპორტირებული რძის პროდუქტები კატეგორიების მიხედვით

პროდუქცია	რაოდენობა (კგ)	ღირებულება (აშშ დოლარი)
რძე შედედებული / ფხვნილი	9 680.4	10 407.4
კარაქი	4 536.5	5 038.0
რძე / ნაღები	686.7	372.8
იოგურტი, შრატი და სხვა	779.6	819.9
ყველი და ხაჭო	276.9	878.7
სულ:	15 960.10	17 516.8

წყარო: საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი 2004 წელი.

რაც შეეხება საქართველოდან რძის პროდუქტების ექსპორტს 2004 წლისათვის, მან შეადგინა 4744.8 კგ, ფულადი გამოხატულებით 4418.5 აშშ დოლარი.

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის ექსპორტ-იმპორტის მონაცემებში არ არის დიფერენცირებული რძის პროდუქტების სახეობები. რძის პროდუქტები როგორც ცალკე ჯგუფი გამოყოფილი არ არის, არამედ გაერთიანებულია ფრინველის კვერცხისა და ნატურალური თაფლის ჯგუფებთან. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საინტერესოდ ჩავთვალეთ ცხრილის სახით წარმოგვედგინა საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, ქვეყნიდან რძის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის შესახებ.

ცხრილი 25: რძის პროდუქტების იმორტი და ექსპორტი, ფულად გამოსახულებაში (აშშ. დოლარი) *

წლები	2005	2006	2007	2008	2009
იმპორტი	26 814.2	31 508.9	31 677.4	33 293.4	24 556.1
ექსპორტი	2 625.5	742.3	1 565.8	629.8	1 316.9
სალდო	24 188.7	30 766.6	30 111.6	32 663.6	23 239.2

წყარო: სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. საგარეო ვაჭრობა 2010.

*ცხრილის შიგთავსის განმარტება მოცემულია ცხრილის წინარე აბზაცში.

25-ე ცხრილში მოცემული მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოდან ექსპორტირებული და საქართველოში იმპორტირებული რძის პროდუქტების თანხობრივ გამოსახულებებს შორის ქვეყნისათვის წლების განმავლობაში ფიქსირდება უარყოფითი სალდო.

4.2.1 საქართველოში რძის ბაზრის პოტენციალი

OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა საქართველოში ქალაქების მიხედვით რძის მოხმარების შემდეგი მაჩვენებლები:

ცხრილი 26: რძის მოხმარება ქალაქების მიხედვით (2007 წელი)

ქალაქი	მოხმარება			
	წელიწადში გბ. 1 სულზე	წელიწადში (ტონა)	თვეში (ტონა)	დღეში (ტონა)
თბილისი	16.8	18 487.0	1 540.6	51.4
თელავი	7.3	204.0	17.0	0.6
გორი	23.0	1 147.9	95.7	3.2
ახალციხე	20.2	491.0	40.9	1.4
ქუთაისი	4.2	784.9	65.4	2.2
ბათუმი	20.4	2 488.8	207.4	6.9
ზუგდიდი	3.8	261.8	21.8	0.7
რუსთავი	10.3	771.4	64.3	2.1
მარნეული	28.4	711.1	59.3	2.0

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა. თბილისი 2007

26-ე ცხრილში მოყვანილია სოფლისა და ქარხნის რძის საერთო მოხმარება. შედარებით პატარა ქალაქებში, როგორიცაა თელავი, ზუგდიდი, მარნეული და ახალციხე – რძის თითქმის მთელი მოხმარება სოფლის რძეზე მოდის. ქარხნული წესით დამზადებული რძის მოხმარება კი არ აღემატება 1 %-ს. გორში, ქუთაისსა და ბათუმში ქარხნის რძის მოხმარება 3÷4%-ია, რუსთავში 5%, ხოლო თბილისში 25%. ქარხნის რძის რეალიზაცია ხდება საცალო მაღაზიებში, ხოლო მომარაგებას ახორციელებენ თავად ქარხნის დისტრიბუტორები.

ქარხნული წარმოების რძის საერთო მოხმარება ქართულ ბაზარზე დაახლოებით 3.355.000 ათასი ლიტრია. აქედან 80% ქართულ კომპანიებზე მოდის (სანტე, სანდო, ეკოფუდი, სოფლის ნობათი და სხვა), დანარჩენი 20% იმპორტირებული რძეა (837.500 ათასი ლიტრი). ქართული კომპანიებიდან მხოლოდ “სანტეს” და “სოფლის ნობათს” აქვს რძის ჩამოსასახმელი ხაზი, ისინი წელიწადში დაახლოებით 3 მილიონ ბოთლ რძეს ასხამენ. დანარჩენი კომპანიების რძე (რძის ფხვნილისგან) ჩამოსხმულია სხვა ქვეყნების ქარხნებში, ძირითადად აზერბაიჯანსა და უკრაინაში.

რაც შეეხება სოფლის რძეს, მისი მიწოდება მომხმარებლისათვის ძირითადად პირდაპირ ხდება წვრილი მოვაჭრეების მიერ, რომლებიც წლების განმავლობაში ამარაგებენ რძით მუდმივ კლიენტებს. სოფლის რძის მიღებაზე მაღაზიები, როგორც წესი, უარს ამბობენ, რადგან ის არ არის სანიტარულად შემოწმებული და სტერილიზებული. ერთი მხრივ, მაღაზიები ერიდებიან პოტენციურად დაავადებული რძის გაყიდვას, მაგრამ მეორე მხრივ არასტერილიზებული რძე მაღაფუჭებადია, რაც ზრდის სავაჭრო დანაკარგების ალბათობას.

კვლევის თანახმად, საქართველოს ძირითადი ქალაქების ბაზრებზე დღის განმავლობაში განთავსებულია რძის შემდეგი მოცულობები:

ცხრილი 27: ბაზარზე განთავსებული რძის საშუალო მოცულობა (დღე/ტონა)

ქალაქები	ბაზარზე ერთდროულად განლაგებული პროდუქციის რაოდენობა (ტონა)	%
თბილისი	51.35	73
თელავი	0.57	0.81
გორი	3.19	4.53
ახალციხე	1.36	1.94
ქუთაისი	2.18	3.10
ბათუმი	6.91	9.82
ზუგდიდი	0.73	1.04
რუსთავი	2.14	3.04
მარნეული	1.98	2.82
სულ:	70.41	100

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა. თბილისი 2007

მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ძირითად ქალაქებში დღის განმავლობაში განთავსებული რძის საერთო მოცულობის 73% თბილისზე მოდის, დანარჩენ 8 ქალაქზე 27%.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რძის პროდუქტს სეზონურობა ახასიათებს. ბუნებრივი და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მაქსიმალური წველადობის სეზონი მაისი-ივნისი-ივლისია. შემდგომ წველადობა ნელ-ნელა კლებულობს, დეკემბრიდან-აპრილის ჩათვლით უმნიშვნელოა. დბალი წველადობის დროს ფერმერები მოწველილ რძეს

პირადი მოხმარებისათვის იყენებენ. ამ პერიოდში სოფლის რძის გასაყიდი ფასი თავის მაქსიმუმს აღწევს.

ქარხნის რძეს ბაზარზე სეზონურობა არ ახასიათებს. მისი ფასი და მოცულობა წლის განმავლობაში სტაბილურია. ქარხნებს, რომლებიც ყიდულობენ ნატურალურ რძეს, დაბალი წველადობის პერიოდში (აგვისტოდან-ნოემბრამდე) ექმნებათ მისი შესყიდვის პრობლემა, ხოლო დეკემბრიდან მარტამდე ამას საერთოდ ვერ ახერხებენ. მათ მიერ რძის შესყიდვის ძირითადი პერიოდი მაისიდან-აგვისტომდეა. არის წლები, როდესაც რძისა და რძის პროდუქტების წარმოება ეკონომიკურად მომგებიანია რძის ფხვნილით. რძის ფხვნილით რძისა და რძის პროდუქტების წარმოებისას გადამუშავებელ ქარნებს დაბალი რისკაქტორი გააჩნია. ისინი პროდუქციას იმ მოცულობით აწარმოებენ, რა მოცულობისაცაა მათზე საბაზო მოთხოვნა. საქართველოში მოუწესრიგებელი სურსათის უვნებლობის და პროდუქტის ხარისხის კონტროლის პირობებში, რძის ფხვნილით წარმოებული პროდუქცია დაზღვეულია ადამიანთათვის საშიში სხვადასხვა დაავადებებისაგან. მეორე მხრივ, 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ საქართველოში ნატურალური რძის დამზადების და შეგროვების სისტემა ჯერაც არ ჩამოყალიბებულა, რაც მისი ქარხნული წესით გადამუშავების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

4.2.2 რძის მოთხოვნასა და ფასზე მოქმედი ფაქტორები

OPTO International-ის მიერ საქართველოს 9 ქალაქში ჩატარდა კვლევა, რეზენტ მოთხოვნის ფორმირებაზე ზემოქმედი ფაქტორების გამოსავლენად.

კვლევის მონაცემებით (პროცენტულად), მოსახლეობის აზრით რძის მოთხოვნასა და მის ფასზე ზეგავლენას ახდენს ძირითადად:

სეზონურობა – 31.2%, დღესასწაულები – 28,3%, და ფასი 16,1%. დანარჩენი ფაქტორები მოთხოვნაზე უმნიშვნელოდ მოქმედებს.

რაც შეეხებათ რძის მწარმოებელ ქარხნებს, მათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რძის წარმოების (წველის) სეზონურობას და მის ხარისხს. რძის ხარისხში ყურადღება ექცევა: ცხიმიანობას, ცილის შემცველობას, მჟავიანობას და რძის ხვედრით წონას. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით დგინდება რძის ფასი.

ცხრილი 28: რძის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები

ქალაქები	სეზონურობა	ხარისხი	დღესასწაულები	კვერცხის გეგმისარენტი	ფასი	კონკურენცია	არ გოქმედებს
ზუგდიდი	5	0	5	2	5	2	0
ბათუმი	17	0	17	4	4	5	0
ქუთაისი	12	0	9	0	9	2	0
გორი	5	0	6	0	6	0	0
თელავი	0	0	0	0	0	8	0
მარნეული	7	0	4	0	4	0	0
რუსთავი	6	0	5	3	0	0	0
თბილისი	5	0	8	10	5	10	1
ახალციხე	7	0	4	3	0	0	0
სულ:	64	0	58	22	33	27	1
%	31.2	0	28.3	10.7	16.1	13.2	0.5

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა, თბ., 2007.

თბილისში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მომხმარებელთა 72% უპირატესობას ანიჭებს ქარხული წარმოების რძეს, 28% სოფლის რძეს. რძის მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი მოიხმარს შემდეგი ქართული კომპანიების მიერ წარმოებულ რძეს: სანტე – 77%, ეკო-ფუდი – 12%, სოფლის ნობათი – 5%, ხოლო 6% მოიხმარს უცხოური კომპანიების რძეს.

ქარხნებში რძის საბაზისო ხარისხად მიღებულია ცხიმიანობა 3,5% და ხვედრითი წილი 1,028. დიდი ყურადღება ექცევა რძის მჟავიანობას.

რძის ჩაბარებისას საბაზისო მონაცემებიდან გადახრა ადეკვატურად იწვევს ფასის ცვლილებას, იგი მერყეობს 35–დან 70 თეთრამდე.

ცხრილი 29: მოსახლეობის მიერ წაყენებული მოთხოვნები რძის ხარისხისადმი

ფორმულირებული მოთხოვნა		გაცემული პასუხების რაოდენობა	% - ული გადანაწილება
წარმომავლობა	ქარხნული	142	72
	სოფლის	55	28
მწარმოებელი კომპანია	სანტე	113	77
	სოფლის ნობათი	8	5
	ეკო-ფუდი	17	12
	პარმალატი	4	3
	რუსული	4	3
ცხიმიანობა	ნაკლებცხიმიანი	16	8
	ცხიმიანი	163	85
	ნაღები	13	7
მოხმარება კვირაში	1 - 2 ლიტრი	123	62
	3 - 5 ლიტრი	67	34
	5 - 10 ლიტრი	7	4
ლაბორატორიული შემოწმება	შემოწმებულია	142	72
	შეუმოწმებელია	55	28

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა, თბ., 2007.

რძის ხარისხისადმი მომხმარებლებს აქვთ შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: რძე აუცილებლად უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და ახალი. მნიშვნელოვანია, რომ რძეს პქონდეს დასალევად სასიამოვნო მასა, იყოს ნოვიერი, კალორიული.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქარხნის რძის ყიდვის ყველაზე გავრცელებული ინტენსივობაა თვეში $1\frac{1}{2}$ ჯერ. რძეს იშვიათად ყიდულობენ დღეგამოშვებით ან სისტემატურად. რძეს საერთოდ არ ყიდულობს თბილისის მაცხოვრებლების 37%, ქუთაისისა და ბათუმის მაცხოვრებლების 54%.

რაც შეეხება სოფლის რძეს, მისი ყიდვის ყველაზე გავრცელებული ინტენსივობაა თვეში $1\frac{1}{2}$ ჯერ. სოფლის რძეს საერთოდ არ ყიდულობს

თბილისის მაცხოვრებელთა 52%, ქუთაისისა და ბათუმის მაცხოვრებელთა 30%.

სოფლის რძის ფასზე დიდ გავლენას ახდენს სეზონურობა. მასზე ყველაზე დაბალი ფასი აღინიშნება მაისიდან—ივლისამდე, როდესაც წველადობა მაღალია. სოფლის რძის ფასზე ასევე გავლენას ახდენს ადგილმდებარეობა. რძის წარმოების ადგილებში, რომლებიც დაშორებულია მის სარეალიზაციო ბაზართან, რძის ფასი შედარებით დაბალია, იმ ადგილებთან შედარებით სადაც სარეალიზაციო ბაზრები ახლოსაა. ტურისტულად განვითარებულ ადგილებში, მაღალი მოთხოვნის გამო რძის ფასი ჩვეულებრივზე მაღალია.

ქარხნის რძის ფასზე სეზონურობა არ მოქმედებს, მასზე ძირითად გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე რძის ფხვნილზე ფასების ცვალებადობა.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ფერმერებისათვის ყველაზე მომგებიანია რძის წარმოება და რეალიზაცია (იხ. თვალსაჩინოება 9). ვთვლით, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირველ რიგში პირუტყვის ჯანმრთელობის კეთილსაიმედო კერის შექმნით, გაიზრდება მოთხოვნა ეგრედ წოდებულ “სოფლის-ნატურალურ რძეზე”.

4.2.3 საქართველოში ყველის ბაზრის პოტენციალი

OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, განისაზღვრა საქართველოში ქალაქების მიხედვით ყველის მოხმარების მაჩვენებლები. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 30.

დადგინდა, რომ ქალაქში ყველზე არსებული მოთხოვნილების 10÷15%-ის შევსება ხდება სოფლებიდან, პირდაპირი ინდივიდუალური მომარაგების გზით. ქალაქის მოსახლეობის ნაწილს სოფლებში ჰყავთ ნათესავები, რომლებიც უგზავნიან მათ აღნიშნულ პროდუქტს.

მოთხოვნილების დანარჩენი 85÷90% წარმოადგენს ბაზრის რეალურ პოტენციალს.

ცხრილი 30: ყველის მოხმარება ქალაქების მიხედვით (2007 წელი)

ქალაქი	მოხმარება			
	წელიწადში კგ.1 სულზე	წელიწადში (ტონა)	თვეში (ტონა)	დღეში (ტონა)
თბილისი	16.8	18 487.0	1 540.6	51.4
თელავი	7.4	206.6	17.2	0.6
გორი	28.6	1 431.2	119.3	4.0
ახალციხე	20.5	498.0	41.0	1.4
ქუთაისი	19.2	3 588.5	299.0	10.0
ბათუმი	22.2	2 708.4	225.7	7.5
ზუგდიდი	37.0	2 549.1	212.4	7.1
რუსთავი	14.3	1 073.6	89.5	3.0
მარნეული	25.4	636.1	53.0	1.8

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა, თბ., 2007.

კვლევით დადგინდა საქართველოს დიდ ქალაქებში, დღის განმავლობაში ბაზარზე გატანილი ყველის შემდეგი მოცულობებიც:

ცხრილი 31: ბაზარზე გატანილი ყველის საშუალო მოცულობა (ტონა/დღე)

ქალაქები	ბაზარზე ერთდღოულად გატანილი პროდუქციის რაოდენობა (ტონა)	%
თბილისი	174.5	77.69
თელავი	1.3	0.58
გორი	4.0	1.78
ახალციხე	1.55	0.69
ქუთაისი	11.3	5.03
ბათუმი	9.2	4.10
ზუგდიდი	12.4	5.52
რუსთავი	6.67	2.97
მარნეული	3.7	1.64
სულ:	224.62	100

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა, თბ., 2007.

როგორც 31-ე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ძირითად ქალაქებში დღის განმავლობაში გაყიდული ყველის მოცულობის 77% თბილისზე მოდის, 23% დანარჩენ 8 ქალაქზე.

როგორც კვლევამ აჩვენა, ბაზარზე პარასკევიდან კვირის ჩათვლით იყიდება ყველის მაქსიმალური რაოდენობა ($20\div40\%-ით$ აღემატება საშუალო მაჩვენებელს). კვირის დანარჩენ დღეებში ბაზარზე გაყიდული ყველის მოცულობა კლებულობს.

ყველით საცალო მოვაჭრეები ბაზარზე პროდუქციის შევსებას ყოველდღიურად ახორციელებენ. წვრილ მებითუმებს ბაზარზე ყველი კვირაში $2\div3$ ჯერ შემოაქვთ. რაც შეეხებათ მსხვილ მებითუმებს, ასეთი სავაჭრო რგოლი ადგილობრივი წარმოების ყველით ვაჭრობაში თითქმის არ ფიგურირებს.

კვლევის ფარგლებში შერჩეულ ცხრავე ქალაქში ძირითადად მოიხმარენ ადგილობრივი წარმოების ყველს. უცხოეთიდან შემოტანილი ყველის ძირითადი მოხმარება დიდ ქალაქებში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმშია და ყველის მოხმარების მთლიანი მოცულობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს. თბილისისათვის ეს რაოდენობა დაახლოებით $1\%-ია$.

4.2.4 ყველის მოთხოვნასა და ფასზე მოქმედი ფაქტორები

ყველის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების გამოსავლენად OPTO International-ის მიერ საქართველოს 9 ქალაქში ჩატარდა კვლევა. მიღებული მონაცემების დამუშავებით, ფაქტორთაგან, რომლებიც გავლენას ახდენს ყველის მოთხოვნაზე, პირველ რიგში, აღსანიშნავია სეზონურობა 32.1% , დღესასწაულები 27.9% და კონკურენცია 11.2% . დანარჩენი ფაქტორები ყველის მოთხოვნაზე უმნიშვნელოდ მოქმედებს. გასათვალისწინებელია, რომ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, პროპორციულად იზრდება მოთხოვნა ყველზე.

ყველის ხარისხიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად მოსახლეობის 72% მიიჩნევს ცხიმიანობას, დანარჩენი ნაწილი კი მისი

დამზადების პიგიენურ პირობებს. შეინიშნება შეფუთულ ყველზე, მოთხოვნის ზრდის ტენდენცია.

ცხრილი 32: ყველის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები (%-ობით)

ქალაქები	სეზონურობა	ხარისხი	დღესასწაულები	ცვალითმიკური მდგრადირება	ფასი	კონკურენცია	არ მოქმედებს
ზუგდიდი	5	1	6	3	6	3	0
ბათუმი	15	2	17	4	4	5	0
ქუთაისი	12	0	9	0	9	2	0
გორი	6	0	7	0	7	0	0
თელავი	6	0	0	0	0	4	0
მარნეული	7	0	4	0	4	0	0
რუსთავი	6	0	5	3	0	0	0
თბილისი	5	0	8	10	5	10	1
ახალციხე	7	0	4	3	0	0	0
სულ:	69	3	60	23	35	24	1
%	31.2	1.4	27.9	10.7	16.3	11.2	0.5

წყარო: OPTO International-ის მიერ ჩატარებული კვლევა, თბ., 2007.

მოსახლეობის და მოვაჭრეების ნაწილი, განსაკუთრებით საცალო მაღაზიებში, ითხოვს დაფასოებულ, ვაკუუმით შეფუთულ ყველს. რითაც მწარმოებელიც და მოვაჭრეც თავიდან აიცილებს დანაკარგებს (ყველის გამოშრობა, დაჭრისას ნაფხვენებად დაშლა) და უკეთესად შეინარჩუნებს ყველის გემურ თვისებებს.

იმერული ყველისა და სულგუნის გაყიდვის მაქსიმალური ოდენობა მოდის მაისის შუა რიცხვებიდან, აგვისტოს შუა რიცხვებამდე. ქარხნული ყველის (იგულისხმება ძირითადად სამცხე-ჯავახეთში ნაწარმოები ყველი) გაყიდვის მაქსიმალური ოდენობა მოდის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, ხოლო გუდის ყველზე (როგორც ცხვრის, ისე ძროხის ყველზე) გაყიდვის მაქსიმალური ოდენობა სექტემბრიდან, იანვრის ჩათვლითაა.

არასეზონურ პერიოდში ყველის ფასი დაახლოებით $30\div40\%$ -ით იზრდება. ყველა გამოკვლეულ ბაზარზე არც ერთი სახის ყველის დეფიციტი არ შეინიშნება, მაგრამ მისი სიძვირის გამო გარკვეულ თვეებში მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის ეს პროდუქტი სელმისაწვდომი არ არის.

ყველის ფასი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად $10\div20\%$ -ით იზრდება. ყველის რეალიზაციის ზემოთ აღწერილ სეზონურ და არასეზონურ პერიოდებს შორის კი ფასთა სხვაობა $30\div40\%$ -ია. დღესასწაულების დროს ბაზარზე ყველის ფასი ჩვეულებრივ პერიოდებთან შედარებით დაახლოებით $10\div20\%$ -ით მატულობს.

ყველის ხარისხიანობის პარამეტრებიდან მომხმარებელი ყურადღებას აქცევს შემდეგ მაჩვენებლებს: ყველი აუცილებლად უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და ახალი. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ყველი იყოს ცხიმიანი, დამზადებული ძროხის რძეზე და კალორიული.

კვლევამ აჩვენა, რომ ქარხნული ყველის ყიდვის ყველაზე გავრცელებული ინტენსივობაა თვეში $1\div2$ -ჯერ. გამოკითხული რესპონდენტებიდან 45% საერთოდ არ ყიდულობს აღნიშნულ ყველს. ქარხნული ყველის შესყიდვა ძირითადად თბილისის სამომხმარებლო ბაზრისთვისაა დამახასიათებელი. ქუთაისსა და ბათუმში მცხოვრებთა $10\%-ზე$ მეტი არ ყიდულობს ქარხნულ ყველს.

სოფლის ყველის ყიდვის ყველაზე გავრცელებული ინტენსივობაც, მსგავსად ქარხნული ყველისა თვეში, $1\div2$ -ჯერაა. გამოკითხულთაგან 10% საერთოდ არ ყიდულობს აღნიშნულ ყველს.

ჩვენი აზრით პროდუქტის წარმოებამდე ფერმერებმა კარგად უნდა შეისწავლონ სარეალიზაციო ბაზრები. აწარმოონ იმ სახეობის და ხარისხის ყველი, რომელზედაც მაღალი მოთხოვნაა და მეტი შემოსავლის მიღება შეიძლება. ამისათვის მნიშვნელოვანია ყველის

(სხვადასხვა სახეობების) წარმოების ტექნოლოგიური პროცესების კარგი ცოდნა, რისთვისაც ფერმერებმა მუდმივად უნდა იზრუნონ.

4.2.5 რძის პროდუქტების გასაღების ძირითადი არხები


ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების ბაზარში ყიდვა-გაყიდვის პროცესი დღესდღეობით სტიქიურად მიმდინარეობს. თითქმის ყველა ბაზართან არსებობს საბითუმო ვაჭრობისათვის გამოყოფილი ადგილები, სადაც განთავსებულნი არიან წვრილი მებითუმეები და ეწევიან, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობას. მათგან პროდუქტს იძენენ სხვა ბაზრების (ასევე იმავე ბაზრების) წვრილი საცალო გადამყიდველები და მიაქვთ დანარჩენ ბაზრებში შემდგომი რეალიზაციისათვის. საბითუმო ბაზრებში რძის პროდუქტებს იშვიათად ყიდულობენ მაღაზიები, რესტორნები, ბაგა-ბაღები, კერძო სკოლები და მოსახლეობა. ძირითადად მათ წვრილი მოვაჭრეები ამარაგებენ.

ადგილობრივი რძის პროდუქტები ძირითად ბაზრებზე (თბილისში და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში) შეაქვთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სატვირთო და მსუბუქი ავტომობილებით, როგორც საცალო, ისე ბითუმად მოვაჭრე გადამყიდველებს. ისინი პროდუქციას რეგიონულ ბაზრობებზე, ან პირდაპირ მეურნეობებში იძენენ ფერმერებისაგან (ან ადგილობრივი გადამყიდველებისაგან). თვით ფერმერებს და წვრილ ბითუმად მოვაჭრეებს პროდუქტი შეაქვთ ეგრედ წოდებულ დამის ბაზრობებზე.

საცალო ბაზრებში, საკუთარ მეურნეობაში ნაწარმოებ რძის პროდუქტებს ყიდიან ფერმერებიც, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა, რადგან საუკეთესო სარეალიზაციო ადგილები დაკავებულია წვრილი გადამყიდველების მიერ.

საქართველოს ბაზრებში ფერმერების მიერ წარმოებული რძის პროდუქცია შემდეგნაირად მომრაობს:

სქემა 3: ბაზრებზე ფერმერების მიერ წარმოებული რძის პროდუქტების მოძრაობის სქემა



წყარო: საკუთარი კვლევა

ფერმერული მეურნეობების მიერ წარმოებული სარეალიზაციო რძის პროდუქტების დიდი ნაწილი ყველზე მოდის. ეს განპირობებულია ყველის სხვა რძის პროდუქტთან შედარებით იოლი შენახვისა და მისი ტრანსპორტაციულობის გამო. გასაღების ბაზრების სიახლოეს ფერმერები ყიდიან, როგორც ნედლ რძეს, ისე მაწონს და რძის სხვა პროდუქტებს.

რძის გადამშუშევებელ საწარმოებში წარმოებული რძის პროდუქტები: განსხვავებით ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული რძის პროდუქტების რეალიზაციაში არსებული მდგომარეობისა, რძის გადამშუშევებელ საწარმოებში ნაწარმოები რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის სისტემა მოწესრიგებულია.

დიდ საწარმოებს, როგორებიცაა სანტე, ეკო-ფუდი, სოფლის ნობათი და სხვა აქვთ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი.

იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები: იმპორტირებული რძისა და რძის პროდუქტების კომპანიებს ისევე, როგორც რძის და რძის პროდუქტების ადგილობრივ მწარმოებელ საწარმოებს, გააჩნიათ

სადისტრიბუციო ქსელი. მათ მიერ შემოტანილი პროდუქციის განაწილება ხდება დიდი მაღაზიებში, პატარა მაღაზიებსა და სასტუმროებში.

ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის მოსაწესრიგებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფერმერული გაერთიანებების დაფუძნება. აღნიშნულ გაერთიანებებში გაწევრიანებული ფერმერები საერთო ინტერესების გათვალისწინებით უნდა ეწეოდნენ ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებას, მის ბრენდირებას და ბაზარზე დამკვიდრებას.

4.2.6 არსებული ინფორმაციული, საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემო

კვლევამ აჩვენა, რომ აქტუალური და ამომწურავი ინფორმაციული წყარო, რომლითაც მოვაჭრეებს ან მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური ინფორმაცია ბაზარზე არსებული პროდუქტების მოცულობების და ფასების შესახებ არ არსებობს. ერთადერთი გაზეთი, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს ბაზარზე არსებულ ყოველკვირეულ ფასებს, არის „სიტყვა და საქმე“. ასეთი პერიოდულობით მიწოდებული ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისა და მოვაჭრეების მოთხოვნილებას. გამოკითხულ რესპონდენტთაგან (მოვაჭრეებთაგან) არავინ ფლობს რაიმე მონაცემს, რომელიმე არსებული სავაჭრო ან მწარმოებელი ასოციაციის შესახებ.

საქართველოში სასურსათო ბაზრის (რძისა და რძის პროდუქტების) საკანონმდებლო და მარაგეულირებელი გარემოს აღწერისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება, რომლითაც სერტიფიცირების, ფიტო სანიტარული და ხარისხის კონტროლის სამსახურების ფუნქციონირება შეჩერებული იყო 2008 წლამდე. 2008 წელს აღნიშნული სამსახურების სრული ამოქმედება გარკვეული დროით კვლავ გადაიდო. შეიძლება ითქვას, რომ დღეს-დღეობით ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი ოფიციალური

სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა პროდუქციის ხარისხის სისტემურ კონტროლს.

სანიტარული თვალსაზრისით ბაზრებზე პროდუქტის შეტანა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. იმ ბაზრებში კი სადაც რძე და რძის პროდუქტები მოწმდება, ნიმუშების აღება ხდება არა პროდუქციის ბაზარში შესვლის დროს, არამედ დღის განმავლობაში, როდესაც პროდუქციის დიდი ნაწილი უკვე რეალიზებულია.

გამოკვლეული ბაზრების მესვეურებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ყველა ბაზარში არსებობს თავისუფალი ადგილები და ყველა მსურველს შეუძლია უპრობლემოდ ივაჭროს შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ. სავაჭრო ადგილები, როგორც წესი, გრძელვადიანი არენდით არ არის გაცემული და მოვაჭრები ყოველდღიურად იხდიან თანხას.

რაც შეეხება იმპორტირებულ პროდუქციას, უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟოებზე გაუქმებულია ფიტოსანიტარული სამსახური და მებაჟები ექსპორტიორი ქვეყნების მიერ გაცემულ სერთიფიკატს ეყრდნობიან.


ქვეყნის საზღვრებზე ფიტოსანიტარული კონტროლის აღდგენა და იმპორტირებული საქონლის ადგილზე შემოწმება ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს მექანიზმად მიღვაჩნია. ასევე აუცილებელია რძისა და რძის პროდუქტების (ყველა პროდუქტის) ბაზრებში შესვლისთანავე შემოწმება და მხოლოდ ამის შემდგომ მათი რეალიზაცია.

ბაზარზე არსებული პროდუქტების მოცულობების და ფასების შესახებ ფერმერებისათვის პვალიფიციური ინფორმაციის მისაწოდებლად მნიშვნელოვანია რეგიონში არსებობდეს შესაბამისი ბეჭდური საშუალებები. 2010 წლიდან, რეგიონალურ გაზეთს „სამხრეთის კარიბჯე“ დაემატა სასოფლო-სამეურნეო ჩანართი. მნიშვნელოვანია მზგავსი წამოწყებების პოპულარიზაცია და დახვეწა.

4.3 რეგიონში წარმოებული რძის და რძის პროდუქტების რეალიზაციის ანალიზი

ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებში წარმოების მიმართულებათა ცვლის პროცესი გაცილებით დაბალ ტემპში მიმდინარეობს, ვიდრე საბაზო მოთხოვნები. დღესდღეობით ოჯახურ მეურნეობებში მნიშვნელოვანია: პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის საკითხები, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მარკეტინგი, ნაკლებად აქტუალურია.

თვალსაჩინოება 5: წარმოებიდან მარკეტინგამდე



პროდუქციის წარმოების საკითხში, მეურნეობები ცდილობენ ნაკლები დანახარჯებით გაზარდონ პროდუქციის რაოდენობა. რეალიზაციის საკითხში, მეურნეობებისთვის მნიშვნელოვანია გაზარდონ ბაზარზე გასატანი პროდუქციის რაოდენობა და ამით მიაღწიონ მაღალ შემოსავლებს. თითქმის არც ერთი ოჯახური მეურნეობა არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ აწარმოოს და რეალიზება გაუკეთოს ისეთ პროდუქციას, რაც მოთხოვნადია ბაზარზე და მეურნეობისთვისაც შედარებით მაღალი მოგების მომტანი.

ზემოთ მოყვანილი თვალსაჩინოება მეურნეობებში „პროდუქციის წარმოებიდან მარკეტინგამდე“, ზოგადი სახისაა, მაგრამ პირდაპირპროპორციულად ასახავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეძროხეობით დაკავებულ ოჯახურ მეურნეობებში არსებულ სიტუაციას.

ჩვენ მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკვლეული, მეძროხეობით დაკავებული თითქმის არც ერთი სიდიდის მეურნეობისათვის არ არის დამახასიათებელი წარმოებული პროდუქციის სახეობის შერჩევა და რეალიზაცია, მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით. ა და ბ (ა- ძალიან მცირე მეურნეობა $1\div 2$ სული ძროხით, ბ- მცირე $3\div 5$ სული ძროხით) ჯგუფის მეურნეობებში არათუ მარკეტინგული დონისძიებების განვითარებას, არამედ წარმოების გაზრდას, ხარჯების შემცირებას და შესაბამისად, რეალიზებადი პროდუქციის ზრდას ნაკლები ყურადღება ექვევა. ამ მხრივ უკათესი სიტუაციაა გ და დ (გ- საშუალო $6\div 10$ სული ძროხით და დ- დიდი მეურნეობა $10\text{-}15$ მეტი ძროხით) ჯგუფის მეურნეობებში. თუმცა მარკეტინგულ დონისძიებებს, არც აღნიშნული ჯგუფის მეურნეობებში არ იყენებენ.

ა და ბ ჯგუფის მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის. მათში წარმოებული რძისა და რძის პროდუქციის დაახლოებით $10\div 30\%-ია$ სარეალიზაციოდ განკუთვნილი, რომელთა რეალიზაციაც, ძირითადად, ადგილზევე წარმოებს. აღნიშნული ჯგუფის მეურნეობებში სარეალიზაციოდ მზადდება რძე და მაწონი, იშვიათად სხვა სახის რძის პროდუქტი.

გ და დ ჯგუფის მეურნეობებში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების დიდი ნაწილი განკუთვნილია სარეალიზაციოდ. აღნიშნული ჯგუფის მეურნეობებში სარეალიზაციოდ მზადდება სხვადასხვა სახეობის ყველი, იშვიათად სხვა სახის რძის პროდუქტი. ყველის სახეობებიდან ჯავახეთისათვის დამახასიათებელია ქართული (ქარხნული) 5–6 კგ-იანი თავიანი ყველი, ხოლო სამცხისათვის

ოჯახური (იმერული, მთის) 1÷2 კგ-იანი თავიანი ყველი. გ და დ ჯგუფის მეურნეობები ზაფხულობით (მაისიდან სექტემბრის ბოლომდე) ეწევიან მომთაბარეობას. საზაფხულო საძოვრები, უმეტესწილად, სოფლებიდან 10÷15 და ზოგჯერ უფრო მეტი კილომეტრითაცაა დაშორებული. შესაბამისად, მეურნეობები ამზადებენ ყველს და სექტემბრის ბოლოსთვის, როდესაც ისევ ძირითად სამყოფელს უბრუნდებიან ბარში, იწყებენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. მათი პროდუქციის ძირითადი სარეალიზაციო ადგილი, რაიონულ ცენტრებში მდებარე აგრარული ბაზრებია. ჯავახეთში მდებარე მეურნეობებისათვის საზაფხულო საძოვრებზე მომთაბარეობა დამახასიათებელი არაა, რადგან მეურნეობების სიახლოვეს საკმარისი საზაფხულო საძოვრებია. ჯავახეთში მდებარე დიდი მეურნეობებისათვის დამახასიათებელია პროდუქციის ძირითადი ნაწილის თბილისის აგრარულ ბაზრებზე რეალიზაცია. ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე მეურნე (როგორც წესი, ნათესავები, ან მეგობრები) ამხანაგდება და ერთიანი ძალებით ახდენს წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირებას და რეალიზაციას.

როგორც თბილისისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების აგრარული ბაზრებისათვისაა დამახასიათებელი, ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რაიონული ცენტრების აგრარულ ბაზრებში, საუკეთესო სავაჭრო ადგილები ადგილობრივ წვრილ მოვაჭრეებს აქვთ დაკავებული. ისინი რძესა და რძის პროდუქტებს ბითუმად ღებულობენ ოჯახური მეურნეობებიდან და შემდგომ ახორციელებენ ამ პროდუქციის რეალიზაციას.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ქალაქის ტიპის დასახლებებში, კურორტულ ზონებში გაზაფხულსა და ზაფხულში მოქმედებს რძისა და რძის პროდუქტების (ძირითადად, ოჯახური მაწვნის) რეალიზაციის კარდაკარ (ეზოებში) შემოვლის წვრილვაჭრული საქმიანობა. აღნი-

შნულით დაკავებულნი არიან მცირე და ძალიან მცირე მეურნეობის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ პროდუქციასთან ერთად ახდენენ თავისი მეზობლებისა და ახლობლებისაგან შეძენილი პროდუქციის რეალიზაციასაც. აღნიშნულ პერიოდში ფასები რძესა და რძის პროდუქტებზე, რეგიონის კურორტულ ზონებში ჩვეულებრივ საბაზო ფასებთან შედარებით, საგრძნობლად იზრდება და პარალელურად, შეინიშნება პროდუქციის დეფიციტიც. დიდი მეურნობები ამ დროს საზაფხული სადგომებზეა, ხოლო მცირე მეურნეობები მზარდ მოთხოვნას (დამსვენებლების ხარჯზე) რძესა და რძის პროდუქტებზე, განსაკუთრებით აგვისტოს ოვეში, ვეღარ აკმაყოფილებენ.

ამ პერიოდში მთის საზაფხულო საძოვრებზე მდებარე გ და დ ჯგუფის მეურნეობები რძიდან აწარმოებენ ყველს. ზაფხულის პერიოდში მათთან აქტიურად მუშაობენ წვრილი და საშუალო მებითუმები, ეგრეთ წოდებული „მეყველეები“. ისინი მეურნეობებს წინასწარ ურიგდებიან და მთელი ზაფხულის განმავლობაში ყველს ამზადებინებენ. აღნიშნული მებითუმები დამზადებული პროდუქციის რეალიზაციას ეტაპობრივად ახორციელებენ. ცდილობენ შეძლებისდაგვარად ზაფხულში დამზადებული ყველი შეინახონ (ძირითადად იმავე მეურნეობებში, სადაც ყველის დამზადება ხდება) და რეალიზაცია გვიან შემოდგომიდან გაუკეთონ, როდესაც ყველზე ფასები საგრძნობლად იზრდება. აღნიშნული სახის გარიგებას მებითუმებთან დებენ ისეთი მეურნეობები, რომლებსაც ნალი თანხა სჭირდებათ და სხვა ყოფითი და პირადი პრობლემების გამო იძულებულნი არიან საკუთარი ნაწარმი შედარებით იაფად მისცენ მებითუმებს. ასეთი მეურნეობების შემოსავლები საგრძნობლად მცირდება.

მთის საზაფხულო საძოვრებზე მდებარე მეურნეობებიდან რძის პროდუქტების, ძირითადად ყველის, შეძენას (პერიოდულად, წინასწარი შეთანხმების გარეშე) დიდი ქალაქებიდან (ძირითადად თბილისიდან)

ჩასული წვრილი მებითუმეებიც ახორციელებენ. ისინი პროდუქციას ხანდახან არა ნადდი თანხით, არამედ ბარტერული გაცვლით (მაგ.: ზეთი, ხილი, ალკოჰოლური სასმელები და სხვა) იძენენ. ამ დროს რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი მეურნეობები განსაკუთრებით ზარალდებიან. მებითუმეები მათ გასაცვლელ პროდუქტს, როგორც წესი, მაღალ ფასში უანგარიშებენ, ხოლო მათგან შესაძენ რძის პროდუქტებს დაბალ ფასში.

იშვიათად, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ რეგიონში, რომელიმე კომპანია ადგილობრივი მეურნეობებიდან იძენს დიდი ოდენობით (ბითუმად) რძისა და რძის პროდუქტებს, მაგალითად, ჯარის, საბავშვო ბალების და სხვა ობიექტების მომარაგების მიზნით. მსგავსი შესყიდვები სრულდება ტენდერების მეშვეობით, რძის პროდუქტებიდან შესაძენ ძირითად პროდუქტს ყველი წარმოადგენს.

რეგიონის ტურისტულ ზონებში განთავსებული სასტუმროების და სანატორიუმის მფლობელები, ტურისტული პერიოდის განმავლობაში სტუმრებს ძირითადად „დიდი“ რძის გადამმუშავებელი კომპანიების მიერ წარმოებული რძის პროდუქტებით უმასპინძლდებიან (გარდა ყველის). ისინი დაინტერესებულნი არიან სოფლის ნატურალური პროდუქტებით (მათ შორის რძის და რძის პროდუქტების) სტაბილურად მომარაგებით. აღნიშნული დაინტერესება გასაკუთრებით მდალი იყო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარ ომამდე. 2010 წლიდან შეინიშნება ამ პროცესის გააქტიურება. სასტუმროების და განსაკუთრებით, სხვადასხვა პროფილის სანატორიუმების მესვეურები, ცდილობენ დაამყარონ სტაბილური კონტაქტი რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ მეურნეობებთან, მათგან მიიღონ მაღალხარისხიანი, შედარებით პომოგენური პროდუქტი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცირე მასშტაბებით, მაგრამ მაინც არსდება და წლიდან წლამდე სულ უფრო

აქტიური ხდება რძის ჩამბარებელი ცენტრების დაარსება და მოქმედება. აღნიშნულის მასტიმულირებელი, ძირითადად ადგილობრივი, რძის გადამმუშავებელი საწარმოების დაარსება. როგორც კვლევამ აჩვენა, რძის შემგროვებელი ცენტრები ძირითადად ასოციაციის ტიპის იურიდიულ ორგანიზაციებს ეკუთვნის და მათში ადგილობრივი რძის მწარმოებლებია გაერთიანებული. მიუხედავად ამისა, რძის შეგროვებაში რიგი პრობლემებია, ძირითადად: რძის ხარისხი, მისი პიგიენური მდგომარეობა, რძის შეგროვების/ჩაბარების სტაბილურობა როგორც შემგროვებელი პუნქტების მხრიდან, ისე მათი შემსყიდველების (ადგილობრივი რძის გადამმუშავებელი საწარმოები) მხრიდანაც და სხვა.

რძის წარმოება, შეგროვება და გადამუშავება 90-იან წლებამდე სახალხო მეურენობებისა და კოლმუურნეობების მიერ ხორციელდებოდა მათსავე საკუთრებაში არსებული ფერმებიდან. ამ პროცესებში მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული, მცირე ნაწილი იყო ჩართული. დღესდღეობით რძის წარმოებამ და გადამუშავებამ ფართო სიბრტყეზე გადაინაცვლა და რეგიონის მოსახლეობის დიდი უმეტესობა მოიცვა. სამწუხაროდ, მეურნეობების უმეტესობაში აღნიშნული საქმიანობით იძულებით არიან დაკავებულები, რადგან ალტერნატიული დასაქმება არ გააჩნიათ. მათი უმეტესობისთვის რძის წარმოების, შეგროვების, გადამუშავების და რეალიზაციის კულტურა უცხოა და ჩამოყალიბების პროცესს გადის. შეინიშნება ზოგიერთი მეურნეობის გამსხვილება, ზოგი მცირდება, ან საერთოდ წყვეტს საქმიანობას. თავის მხრივ, რიგი პრობლემები ახასიათებს ადგილობრივ რძის გადამმუშავებელ საწარმოებს. მათ საქმიანობაში შეინიშნება ქაოსური პროცესები რძის შეგროვების და პროდუქციის (სახეობის) წარმოების საკითხებში. როგორც კვლევამ აჩვენა აღნიშნული ძირითადად მწარმოებლების

მხრიდან საბაზრო ნიშის უქონლობითაა განპირობებული. ბაზარზე სტაბილურად დამკვიდრება რთული და ხანგრძლივი პროცესია.

თანდათანობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რძის შეძენისადმი ინტერესს დიდი ქართული რძის გადამმუშავებელი საწარმოებიც გამოთქვამენ. ზოგიერთი მათგანი ნატურალურ რძეს რეგიონში უკვე აგროვებს (ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში). შეგროვებული რძე მიაქვთ საწარმოებში (თბილისში) და იქ გადაამუშავებენ. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შემდგომ გააქტიურდა. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რძის მწარმოებელ კომპანიებს მოეთხოვებათ გამოშვებული პროდუქციის ეტიკეტზე მიუთითონ, პროდუქტი წარმოებულია ნატურალური რძისგან, თუ რძის ფხვნილისგან.

ჩვენი შეხედულებით, აუცილებელია ადგილობრივი რძის გადამმუშავებელი ფირმების გაძლიერება და რეგიონში წარმოებული რძის ადგილზე გადამუშავება. ამით ადგილობრივი მეურნეობები და რეგიონული ბიუჯეტი შედარებით მეტ სარგებელს ნახავენ.

ჩვენი დაკვირვებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი წარმოების რძესა და რძის პროდუქტებზე მომხმარებელთა მოთხოვნა შემდეგნაირად ნაწილდება: 1 – ყველი (იმერული, ქართული/ქარხნული, სულგუნი); 2 – რძე; 3 – მაწონი; 4 – ხაჭო; 5 – არაუანი; 6 – ნადული.

მოთხოვნა ყველზე მთელი წლის განმავლობაში მაღალია, განსაკუთრებით ლაქტაციის პიკურ პერიოდში (მაისი-ივნისი), როდესაც მასზე ფასი მცირდება. ყველის სახეობებში შედარებით მაღალი მოთხოვნა ოჯახურ/იმერულ ყველზეა, შემდეგ ქარხნულ/ქართულ ყველსა და სულგუნზე. მოთხოვნა რძესა და მაწონზეც შედარებით მაღალია მაის-ივნისის თვეებში. ხაჭოზე, არაუანსა და ნადულზე კი მეტნაკლებად თანაბარია წლის განმავლობაში.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად, ოჯახური მეურნეობისათვის ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისით რძისა და რძის პროდუქტების წარმოება შემდეგნაირად ნაწილდება:

თვალსაზრისი 6: რძის პროდუქტების წარმოების რანჟირება

რძის და რძის პროდუქტების	საშუალო მონაბაზის 1ლიტრი რძები	რანჟირება
1 იმურული ყველის თენილი ტებულება (1კგ)		
4.00 - 4.50 (7 ლიტრი რძე)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	4.50 - 5.00	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	0.50 - 1.00	0.10 - 0.15
		VII
2 სულინის თენილი ტებულება (1კგ)		
5.00 - 5.50 (9 ლიტრი რძე)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	6.00 - 7.00	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	1.00 - 2.00	0.15 - 0.25
		V
3 ხაჭის თენილი ტებულება (1კგ)		
2.5 (5 ლიტრი რძე)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	3.00 - 3.50	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	0.50 - 1.00	0.10 - 0.20
		IV
4 არავანის თენილი ტებულება (1კგ)		
3.00 (5 ლიტრი რძე)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	5.00 - 6.00	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	2.00 - 3.00	0.40 - 0.60
		III
5 ნაღულის თენილი ტებულება (1კგ)		
2.00 - 2.50 (40 ლიტრი რძალები)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	2.50 - 3.00	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	-	
		VII
6 მაწონის თენილი ტებულება (1კგ)		
0.55 - 0.60 (1 ლიტრი რძე)		
საშუალო საბაზითო ლიტებულება:	1.2 - 1.5	
საშუალო საბაზითო ამონაზები:	0.60 - 0.90	0.60 - 0.90
		II
